საქართველოს სსრ სახალხო განათლების
სამინისტროს რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური
ცენტრი

რ. მისურაძე

# მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება საბჭოთა საქართველოს სკოლების მაგალითზე

## მეთოდური მითითებანი

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1988

74.200.55
მ 178

ნაშრომში მოცემულია ქართულ საბჭოთა სკოლაში მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის სისტემის ჩამოყალიბების ისტორიული გზის ანალიზი. მასში დახასიათებულია საქართველოს გასაბჭოების პირველ ათწლეულში განათლების ფრონტზე მიმხდარი ცვლილებების შინაარსი, გაანალიზებულია სკოლისა და პედაგოგიკის განვითარების ძირითადი ტენდენციები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სკოლის სასწავლო პროგრამების და ესთეტიკური აღზრდის პრობლემის ირგვლივ გამოქვეყნებული თეორიული ნაშრომების ანალიზს. ავტორი აკეთებს კონკრეტულ მეთოდოლოგიურ და მეთოდურ დასკვნებს, რომელთა გათვალისწინებაც ხელს შეუწყობს მომავალი თაობის ესთეტიკური აღზრდის სისტემის შემდგომ სრულყოფას.

ნაშრომი გარკვეულ სამსახურს გაუწევს უმაღლესი სასწავლებლებისა და სახალხო განათლების სისტემის სხვა პრაქტიკოს მუშაკებს.

რედაქტორი შ. ხანთაძე

რეცენზენტები: ვ. ხაჩიძე
ი. ალავიძე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1988

М 4309000000 / ___ 608(05)–88

# შ ე ს ა ვ ა ლ ი

ყოველმხრივ ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირება, როგორც ადამიანის კომუნისტური აღზრდის აუცილებელი პირობა, საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების უმნიშვნელოვანეს იდეოლოგიურ ამოცანას წარმოადგენს.

სკკ პარტიის XXVII ყრილობამ ახალი ამოცანები დასახა სახალხო განათლების სისტემის წინაშე, დღის წესრიგში დააყენა ახლებურად აზროვნების უნარის მქონე ადამიანის აღზრდის აუცილებლობა.

ყრილობის მიერ სამოქმედო პროგრამად გამოცხადებული გარდაქმნის სტრატეგიული კურსის განხორციელება მჭიდროდაა დაკავშირებული მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის პრობლემების გადაჭრასთან.

ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბებაში თავისი წვლილი შეაქვს სწავლა-აღმზრდელობითი მუშაობის ყველა ფორმას. განსაკუთრებულია ამ მხრივ ესთეტიკური აღზრდის როლი. მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება დღეს, როდესაც საზოგადოების კულტურული განვითარების ამოცანები სულ უფრო მწვავედ აყენებს პიროვნების სულიერ მოთხოვნილებათა, მისი ინტერესების და მხატვრული განათლების გაფართოების აუცილებლობას. "უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, - ნათქვამია ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებაში, - საგრძნობლად გაუმჯობესდეს მოსწავლეთა მხატვრული განათლება და ესთეტიკური აღზრდა. საჭიროა ბავშვებს განუვითაროთ მშვენიერების გრძნობა, ჩამოვუყალიბოთ მაღალი ესთეტიკური გემოვნება, იმის უნარი, რომ გაიგონ და შეაფასონ ხელოვნების ნაწარმოებები, ისტორიისა და არქიტექტურის ძეგლები, მშობლიური ბუნების სილა-

მაზე და სიმღერე. ამ მიზნებისათვის უკეთ გამოვიყენოთ ყოველი სასწავლო საგნის, განსაკუთრებით ლიტერატურის, მუსიკის, სახვითი ხელოვნების ესთეტიკური შესაძლებლობანი, რომლებსაც დიდი შემეცნებითი და აღმზრდელობითი ძალა აქვს. გავაფართოოთ უმაღლესი სასწავლებლების სპეციალურ ფაკულტეტებზე ამ დისციპლინების მასწავლებელთა მომზადება. უზრუნველვყოთ, რომ ყველა კლასში ესთეტიკური ციკლის საგნებს ასწავლიდნენ კვალიფიციური სპეციალისტები." [1]

ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდისა და მათი კულტურული სახის ფორმირება ერთ-ერთ წამყვან მოთხოვნად ჩამოყალიბდა "ქვეყანაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების გარდაქმნის ძირითად მიმართულებებში".

აღნიშნულ დოკუმენტში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ხელოვნებისა და საერთოდ კულტურული მემკვიდრეობის გამოყენებას სტუდენტთა შემოქმედებითი აზროვნების, მათი აქტიური საზოგადოებრივი პოზიციების გამომუშავების საქმეში.

ყოველივე აღნიშნული საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ თანამედროვე მეცნიერულ-პედაგოგიური აზროვნება უმაღლესი თუ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის წინაშე მდგომი ამოცანების გადაჭრას მტკიცედ უკავშირებს ესთეტიკური აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანას, რაც, თავის მხრივ, მისი, როგორც მრავალმხრივი სისტემის სრულყოფილი შესწავლა-გააზრების აუცილებლობასაც აყენებს.

საბჭოთა სკოლის ისტორიაზე დაკვირვება ადასტურებს, რომ ესთეტიკური აღზრდის სრულყოფის პირობას, ჩვენს საზოგადოებაში, წარმოადგენს მისი შინაარსის მემკვიდრეობითობის პრინციპის საფუ-

---

1 ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის შესახებ. დოკუმენტების კრებული, თბ., 1985, გვ. 30.

ძველზე აგება. ეს მოთხოვნა ჩვენს პირობებში უშუალო გამოხატულებას პოულობს თანამედროვე სკოლის თეორიისა და პრაქტიკის აგებისას წარსულის მემკვიდრეობის გამოყენების აუცილებლობაში.

წარსულის პედაგოგიური მემკვიდრეობის ღრმად შესწავლა, მისი ძირითად კანონზომიერებათა ცოდნა და საზოგადოების განვითარების თავისებურებებთან დაკავშირება საშუალებას იძლევა, უკეთ გავერკვეთ მეცნიერების თანამედროვე პრობლემებში, ვიწინასწარმეტყველოთ მისი განვითარების თავისებურებანი და რაც მთავარია, გამოვიტანოთ აუცილებელი პრაქტიკული დასკვნები. აღნიშნული დებულება, ცხადია, ეხება ესთეტიკური აღზრდის ისტორიული პროცესის პედაგოგიურ შინაარსსაც, რომლის გულდასმით ანალიზს და აქედან გამოტანილ სწორ მეთოდურ დასკვნებს კარგი სამსახურის გაწევა შეუძლია თანამედროვე სკოლის თეორიისა და პრაქტიკისათვის. არ დავივიწყოთ ძირითადი ისტორიული კავშირები, - გვაფრთხილებდა ვ. ი. ლენინი, - შევხედოთ ყველა საკითხს ისეთნაირად, როგორადაც იგი წარმოიშვა ისტორიულად, განვითარების როგორი ეტაპი განვლო მან და რად იქცა მოცემული მოვლენა ამჟამად. სწორედ აღნიშნულ ლენინურ დებულებაზე დაყრდნობით, წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებული 1921-31 წლების მონაკვეთის ქართულ საბჭოთა სკოლაში ესთეტიკური აღზრდის სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიული პროცესი.

აღნიშნული პერიოდის ქართული პედაგოგიური აზრი და სკოლა მთელს საბჭოთა სკოლასთან ერთად ყალიბდებოდა. იგი, ბუნებრივია, დაზღვეული არ იყო დროის თანმდევი ტიპური ნაკლოვანებებისაგან, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ თანდათანობითი სრულყოფის კვალობაზე სკოლა, პედაგოგიკა სულ უფრო დამაჯერებლად წყვეტდა კულტურული მშენებლობის ამოცანებს.

ქართული საბჭოთა პედაგოგიკისა და სკოლის მნიშვნელოვან პრობლემათა შორის ერთ-ერთი პირველი ადგილზე თავიდანვე ედგა ესთეტიკური აღზრდის ერთიანი პროცესის ჩამოყალიბებისა და მასში ხელოვნების წამყვანი ფუნქციის რეალიზების ამოცანა. აღნიშნულ პრობლემას საქართველოს განსახკომის ერთიანი სასკოლო სისტემის, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის აუცილებელ ელემენტად განიხილავდა. ამოსავალს განსახკომისათვის ამ საკითხში წარმოადგენდა ვ.ი. ლენინის ფუძემდებლური მითითება ხალხის სულიერი ჩამოყალიბების საქმეში ხელოვნების როლის გაძლიერებისა და საზოგადოების ზოგადკულტურული დონის ამაღლების აუცილებლობის შესახებ.

იმისათვის, რომ ხელოვნება მიუახლოვდეს ხალხს, - წერდა ვ.ი. ლენინი, - უპირველესად ჩვენ უნდა შევძლოთ მათი ზოგადსაგანმანათლებლო და კულტურული დონის ამაღლება[1].

ზოგადი განათლებისა და საერთო კულტურული დონის ამაღლებაში ხელოვნების გამოყენების ლენინური იდეა, რომლის საფუძველზეც იგებოდა ესთეტიკური აღზრდა ეროვნულ სკოლაში, ემყარებოდა მისსავე ცნობილ მეთოდოლოგიურ თეზისს იმის შესახებ, რომ საჭიროა მოიძებნოს, მოინახოს, გამოკვლეულ იქნას ნაციონალური თავისებურებანი, რომ ერთიანი ინტერნაციონალური ამოცანების გადაწყვეტაში საჭიროა მოძებნილ, გამოკვლეულ, მონახულ და გამოყენებულ იქნას თითოეული ქვეყნის ნაციონალური თავისებურებანი[2].

სწორედ აღნიშნული პოზიციიდან გაანალიზებულ ქართულ სკოლაში დაგროვილი ისტორიული გამოცდილების შეჯერება საერთო საბ-

---

[1] В.И. Ленин о литературе и искусстве. 5-ое издание. М. 1976, с.658.

[2] В.И. Ленин. Полн. собр. соч., т. 41, с. 71.

ჭოთა სკოლის მიერ მოპოვებულ წარმატებებთან წარმოგვიდგება განსაკუთრებული ინტერესის საგნად, რომელსაც გარკვეულწილად შეუძლია პედაგოგიური თეორიისა და თანამედროვე სკოლის პრაქტიკის გამდიდრება.

საბჭოთა სკოლაში მისი არსებობის პირველი დღეებიდანვე მუშაობაში დამკვიდრებული ესთეტიკური სისტემის ანალიზი კარგა ხანია მკვლევართა ყურადღების საგნად იქცა. მის გაშუქებას ეძღვნება ცნობილ სპეციალისტთა ფ.ფ. კოროლიოვის, ტ.დ. კორნეიჩიკის, ნ.კ. გონჩაროვის, ნ.ა. კონსტანტინოვის, ი.ნ. მედინსკის, მ.ფ. შაბაევის და სხვათა ფუნდამენტური გამოკვლევები. აღნიშნულ ნაშრომებში ესთეტიკური აღზრდის საკითხები განხილულია სასწავლო-აღმზრდელობითი კომპლექსის სხვა კომპონენტებთან ერთად, სკოლის განვითარების ძირეული ეტაპების გათვალისწინებით და ამდენადაც თუმცა მოკლედ, მაგრამ საკმაო მასალას იძლევა მისი შინაარსის შესაფასებლად.

უფრო მიზანმიმართულად და კონკრეტულად ესთეტიკური აღზრდის ისტორიული პრობლემა საბჭოთა სკოლაში დახასიათებულია მკვლევრების ო.ა. აპრაკსინას, ა.პ. ფომიჩევის, მ.ა. იგნატიევის და სხვათა გამოკვლევებში.

საბჭოთა ნაციონალურ სკოლაში ესთეტიკური აღზრდის სისტემის ჩამოყალიბება-განვითარების საკითხები ნაკვლევია რ.ხ. ხასანოვის, ს.ი. რაიმოვის, ჰ.მ. მომინოვის, ს.გ. ჩელნოჩუკის, ლ.გ. ბეცნაკის, ე.ი. უშიმოვის, გ.რ. იულდაშევის და სხვათა სადისერტაციო გამოკვლევებში.

ქართულ პედაგოგიკაში ესთეტიკური აღზრდის ისტორიული სისტემებისადმი მიძღვნილი საგანგებო ნაშრომები თითქმის არ გაგვაჩნია. გამონაკლისს წარმოადგენს ნ. ზიდლაძის გამოკვლევა, რომელიც აღნი-

ფნული თვალსაზრისით განიხილავს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ მემკვიდრეობას. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენთვის საინტერესო საკითხის ირგვლივ მდიდარი მასალის მოპოვება შეიძლება ცნობილი მკვლევრების დ. ლორთქიფანიძის, გ. ჯიბლაძის, ტ. სარიშვილის, ი. ქინქლაძის, მ. თაბორიძის და სხვათა ნაშრომებში.

აღნიშნული ავტორთა ნაშრომების ანალიზი გვარწმუნებს, რომ მათში, მართალია, გამოკვლეულია ქართულ საბჭოთა სკოლაში ესთეტიკური აღზრდის ჩამოყალიბება-განვითარების ისტორიული პროცესის ცალკეული კომპონენტები, მაგრამ მთლიანობაში მისი წარმოდგენა სათანადო გამოკვლევის უქონლობის გამო მაინც ჭირს. ამდენად პრობლემის მთლიანი პედაგოგიური გააზრება ჯერ კიდევ საბოლოო გადაწყვეტას ელოდება.

სწორედ იმ გარემოებამ, რომ ქართულ პედაგოგიკაში აღნიშნული პერიოდის ესთეტიკური აღზრდის თეორია და პრაქტიკა მონოგრაფიულად არაა დამუშავებული, რაც შესაძლებლობას არ იძლევა შემუშავდეს ერთიანი მსოფლმხედველობრივი კონცეფცია საზოგადოების სოციალურ მშენებლობაში სკოლის მთლიანი როლისა და მნიშვნელობის შესახებ, განაპირობა ჩვენს მიერ გამოსაკვლევად აღნიშნული პრობლემის აღება.

ვფიქრობთ, ნაშრომში მოპოვებული და დამუშავებული მასალები შეიძლება გამოყენებულ იქნას უმაღლეს სასწავლებლებში ლექციების კითხვისას. გარდა ამისა, აღნიშნული მასალის შესწავლა და ესთეტიკური აღზრდის ისტორიული სისტემის გაანალიზება საშუალებას მოგვცემს შემუშავდეს რეკომენდაციები, რომლებიც გარკვეულ სამსახურს გაუწევს პედაგოგიკის თეორიასა და პრაქტიკას სწავლა-აღზრდის სისტემის შემდგომი სრულყოფის საქმეში.

ბუნებრივია, ნაშრომი დაზღვეული ვერ იქნება ნაკლოვანებებისაგან – ავტორი მადლიერების გრძნობით მიიღებს და შემდგომისათვის გაითვალისწინებს სპეციალისტთა მიერ გამოთქმულ ყველა ობიექტურ შენიშვნას.

## მოსწავლეთა ეთნიკური აღზრდის ზოგიერთი საკითხი რევოლუციამდელ საქართველოს სკოლაში

XIX საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და იდეოლოგიურ ცხოვრებაში ახალი პერიოდი დადგა. მეფის რუსეთის მიერ საქართველოს სრული და საბოლოო შემოზრუნებით ქვეყნის ცხოვრების ყოველი მხარე, მისი ყველა მიმართულება მთლიანად დაადგა რუსულ ორიენტაციას. ამ საფუძველზე ჩამოყალიბდა განათლების შინაარსი, რომელიც მომდევნო წლებში მთლიანად მოექცა სრულიად რუსეთის საიმპერიო განათლების სისტემის ფარგლებში XIX ს-ის მეორე ნახევარში, როდესაც ბატონყმობის გაუქმებასა და განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთგვარი აღმავლობის პირობებში მომზადდა ნიადაგი სახალხო სკოლების შექმნისა და ახალი პედაგოგიკის ჩამოყალიბებისათვის. ამ ცვლილებებით შეეგება საქართველოს სახალხო განათლების სისტემა თავის განვითარების მეორე პერიოდს, რომელიც XIX ს-ის 70-იანი წლებისათვის დაიწყო[1].

სახალხო განათლების სისტემის განვითარების არც ერთ ეტაპზე მეფის რუსეთის ცარისტული პოლიტიკა განაპირა ენების ბედ-იღბალზე, მათ განვითარება-აყვავებაზე არ ფიქრობდა. ძირითადი მიზანი ის იყო, რომ დაეჩქარებინათ ცალკეული ხალხების ნაციონალური თავისებურებათა ნიველირება და ამ გზით რუს ხალხთან მათი ასიმილაციის პროცესი. გამონაკლისს, ცხადია, არც საქართველო წარმოადგენდა.

ცარიზმის ანტიხალხური პოლიტიკა თავის უკიდურეს გამოვლინებებს ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისაგან სწრაფვის წი-

---

1 გ. თავზიშვილი, სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში 1801-1870 წ., თბ., 1948, გვ. 7.

ჩაალრმდე გრძოლის სფეროში აღწევდა. იდევნებოდა ნაციონალური კულტურის ყოველგვარი გამოვლინება, ეკრძალებოდა მშობლიურ ენაზე სწავლა და ამით საფუძველი ეყრებოდა ერის მიერ საკუთარი სახის დაკარგვის პროცესს.

ვ. ი. ლენინის სამართლიანი შეფასებით მეფის რუსეთმა ამიერკავკასია ჯერ პოლიტიკურად, ხოლო შემდეგ კი ეკონომიკურად დაიპყრო. "რუსეთის კაპიტალიზმი,-წერდა ვ. ი. ლენინი, - კავკასიას ითრევდა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს - ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს, - ქმნიდა ბაზარს თავისი ფაბრიკებისათვის. ქვეყანა, რეფორმის შემდგომი ხანის დასაწყისში ოდნავ დასახლებული ან დასახლებული მთიელებით, რომელნიც მსოფლიო მეურნეობიდან და ისტორიიდანაც კი განზე იდგნენ, თანდათან ნავთის მრეწველთა, ღვინის ვაჭართა, ხორბლის და თამბაქოს მეწარმეთა ქვეყნად იქცეოდა[1]. აღნიშნული ვითარება თავის ჭეშმარიტ სახეს უკვე XIX ს-ის მეორე ნახევრიდან იღებს, როდესაც საქართველოში სწრაფი ტემპით ვითარდება კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობანი. ამ საფუძველზე აღმოცენებულ ეკონომიკურ თუ კლასობრივ სტრუქტურულ ძვრებს თან სდევდა შესატყვისი იდეოლოგიური ცვლილებებიც. ამას ხელს ის გარემოებაც უწყობდა, რომ თვით რუსეთის იმპერიის ქალაქებში სულ უფრო ფართო მასშტაბით ვითარდება ახლებური საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრი, რომელსაც ხარბად ეწაფება იქ განათლების მისაღებად ჩასული და შემდეგ სამშობლოში მიბრუნებული ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები.

განსაკუთრებულ გავლენას ქართული დემოკრატიული აზროვნების ჩამოყალიბებაზე ამ დროისათვის ახდენს ბ. ბელინსკის, ა. გერცენის,

---

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 704.

ნ. დობროლიუბოვის, ნ. ჩერნიშევსკისა და სხვათა შემოქმედება. სწორედ მათი იდეებით იყო ნასაზრდოები ქართველ 60-იანელთა - ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, გ. წერეთლის, ი. გოგებაშვილის, ნ. ნიკოლაძის, ს. მესხისა და სხვათა მოღვაწეობა.

ი. ჭავჭავაძის ეროვნული დროშის ქვეშ დამდგარი ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილეთა შეხედულებით ქართველი ხალხის აღორძინება-აყვავებისათვის არ არსებობდა იმაზე უკეთესი საშუალება, ვიდრე სწავლა - განვითარება იყო. მათ სჯეროდათ, რომ ამ გზით შესაძლებელი იყო ქვეყანას თავისი "დავიწყებული ვინაობა" აღედგინა, ტანჯვის ბორკილი გადაეგდო და მონობისაგან თავი დაეხსნა.

მიზანი, რომელიც ქართველმა 60-იანელებმა დაისახეს, ძნელი და არც თუ ისე მალე განსახორციელებელი იყო. მას წინ ეღობებოდა მეფის რუსეთის მიზანმიმართული საგანმანათლებლო პოლიტიკა, რომლის ჩინოვნიკური ბარიერების დაძლევა იოლი არ იყო.

სკოლის განვითარებამ რევოლუციამდელ საქართველოში რამდენიმე ეტაპი გაიარა. ამჟამად ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ XX ს-ის დასაწყისის სკოლების მუშაობაზე და აქ ჩამოყალიბებულ ესთეტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის თავისებურებებზე.

XX საუკუნის პირველი ოცწლეულისათვის საქართველოს სინამდვილეში რამდენიმე ტიპის სასკოლო-სასწავლო დაწესებულება არსებობდა. სასოფლო ადგილებში შედარებით უფრო მეტად გავრცელებული იყო ე.წ. "პირველდაწყებითი სახალხო სკოლები" /3 წლიანი/ და საეკლესიო - სამრევლო სკოლები. ძირითადი კურსი აღნიშნული ტიპის სკოლებში აგებული იყო რელიგიური დოგმატიკის, ხუცური დამწერლობისა და საეკლესიო გალობის შესწავლაზე. აღნი-

მნული ტიპის სკოლების რიცხვი 1901–1910 წლებში საქართველოს გუბერნიებში 220-დან 500-მდე მერყეობდა. მათ რიცხვის მომატება ან მოკლება დამოკიდებული იყო საერთო სახელმწიფო პოლიტიკაზე, დემოკრატიული აზროვნების აღმავლობის ან პირიქით, შავრაზმული რეაქციის გაძლიერებაზე. აღნიშნული გარემოების გამო საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიის ოჯახებიდან გამოსული ახალგაზრდობა უმეტესად მაინც სკოლისგარეშე და ამდენად წერა-კითხვის უცოდინარი რჩებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნული მდგომარეობა მოსახლეობას მაინცდამაინც დიდ უბედურებად არ ეჩვენებოდა, რადგან ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკის სულ უფრო მზარდი რეაქციული ხასიათის გამო სკოლებს დიდი ავტორიტეტი აღარ ჰქონდათ. ამას ის გარემოება აპირობებდა, რომ განათლების მზრუნველი მოხელეები ყოველი ღონისძიებით ცდილობდნენ სკოლის კედლებიდან ეროვნულის საბოლოოდ და სრულად განდევნას, მართალია, ამ მხრივ საგანგებო მდგომარეობაში იყო დაწყებითი და საეკლესიო-სამრევლო სკოლები, მაგრამ უკეთეს დღეში არც ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა ანუ ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები, ქალთა ეპარქიალური სკოლა, სასულიერო სემინარია, კადეტთა კორპუსები თუ კომერციული სასწავლებლები და სავაჭრო სკოლები იყო.

სწავლების შინაარსი ყველა ამ სკოლაში არსებითად შეესატყვისებოდა მეფის რუსეთის კოლონიალურ პოლიტიკას. ამიტომ სასწავლო გეგმებში შეტანილი საგნების ჩამონათვალი ისეთი იყო, რომ ბავშვის გონების გახსნასა და მის მიერ მეცნიერული ცოდნის ათვისებას დიდი ყურადღება არ ექცეოდა.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იყო მშობლიური

ენის სწავლების საქმე, რომელიც საერთოდ სავალდებულო საგნად არ ითვლებოდა, ან ჩეჯად მცირე დრო ეთმობოდა. ძირითად სასწავლო საგანთა ჩამონათვალში შედიოდა საღვთო სჯული, რუსული ენა, არითმეტიკა, სუფთა წერა, მშობლიური ენა, საეკლესიო გალობა ან სიმღერა. ყოველი საგანი მხოლოდ რუსულად ისწავლებოდა, ხოლო ზოგან ქართული ენის სწავლებას მიზანშეწონილად მიიჩნევდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მოხელე-მასწავლებელს შეეძლო ამ საგნის სწავლება.

ამ მხრივ მდგომარეობა არც უმჯობესდებოდა არც გიმნაზიებში, სადაც საგანთა ჩამონათვალი მართალია ფართოვდებოდა, მაგრამ რუსიფიკატორული სულისკვეთება თავის უფლებებს ინარჩუნებდა.

საგნები რუსულ ენაზე ისწავლებოდა, ხოლო თვით სწავლების პროცესის შინაარსი დოგმატურ მეთოდიკაზე იყო დაყვანილი. ცხადია, აღნიშნულ სიტუაციაში სწავლებისა და აღზრდის საქმის სათანადო დაყენებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ამასთან უნდა ითქვას, რომ სასკოლო განათლების შინაარსი რევოლუციამდელ სკოლაში ყოველთვის ერთნაირი არ იყო. წლების მანძილზე იგი გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდა, თუმცა ძირითადი მაგისტრალური ხაზი რუსიფიკატორული პოლიტიკისა ყოველთვის უცვლელი რჩებოდა.

1915 წლისათვის, როდესაც პირველი იმპერიალისტური ომი ახალი დამთავრებული იყო, განათლების სამინისტრომ საჭიროდ მიიჩნია შემუშავებულიყო ზოგადი დებულებანი "ახალი სკოლის" მოსაწყობად. მიღებული გეგმის მიხედვით სკოლა უნდა გამხდარიყო შვიდწლიანი და ორსაფეხურიანი /პირველი - სამწლიანი, მეორე - ოთხწლიანი კურსით/, მას ნაციონალური და ზოგადსაგანმანათლებლო ხასიათი უნდა ქონოდა. შესაბამისი საგნების ჩამონათვალი

12 ჯგუფად იყოფოდა. პირველში შედიოდა საგანმანათლებლო საგნები – /საღვთო სჯული, რუსული ენა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია და ბუნებისმეტყველება/, მეორეში კი ე.წ. აღმზრდელობითი საგნები /ხატვა-ხაზვა, სიმღერა /მუსიკა/, ფიზიკური ვარჯიში /გიმნასტიკა , ცეკვა, ხელსაქმე/.

აღნიშნული რეფორმის მასალების გაცნობა ნათელყოფს, რომ პირველად მეფის რუსეთის სასკოლო განათლების ისტორიაში საკმაო ყურადღება დაეთმო მოსწავლეთა ესთეტიკური განათლებისა და აღზრდის ამოცანებს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ თითოროლა საათი მუსიკის, გალობის თუ ხატვისათვის ადრეც გვხვდებოდა სხვადასხვა ტიპის სასწავლო დაწესებულებათა გეგმაში, მაგრამ ამჟამინდელი მდგომარეობის დადებითი მხარე ის იყო, რომ პედაგოგიურ ლექსიკონში დამკვიდრდა თვით აღმზრდელობითი საგნების ცნება და მასში სათანადო ადგილი დაიჭირა ესთეტიკური ციკლის საგნების, კერძოდ, ხატვისა და მუსიკის სწავლებამ. უფრო მეტიც, რეფორმაში მითითებული იყო, რომ ე.წ. აღმზრდელობითი საგნები /სიმღერა, მუსიკა, ცეკვა, ხელსაქმე და სხვა/ შეიძლებოდა ესწავლებინათ ყველა იმ სასწავლებელში /კვირაში 3 დამატებითი საათის სახით/, სადაც ამას მიზანშეწონილად ჩათვლიდნენ და მეთოდურადაც უზრუნველყოფდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ XX საუკუნის პირველი ოცწლეულის ბოლოსათვის გარკვეული ყურადღება იგრძნობა სიტყვიერების ხელოვნების, კერძოდ, მხატვრული ლიტერატურის მიმართაც. თუ საუკუნის დასაწყისისათვის რუსული ენა-ლიტერატურის კურსში მხოლოდ ზოგიერთი მწერლის /ნ.ვ. გოგოლი, ა.ს. პუშკინი, მ.ი. ლერმონტოვი და სხვა/ ნაწარმოებთა ცალკეული ფრაგმენტები ისწავლება, ბოლო პერიოდისათვის სასწავლო პროგრამებში მათთან ერთად ფართო ადგილს იჭერს ა.ნ. ტოლსტოის, ი.ვ. ტურგენევის,

თ.მ. დოსტოევსკის, ნ.ნეკრასოვის და სხვათა შემოქმედებითი ნიმუშები.

ამასთან, სასწავლო პროგრამებში ასეთი ერთგვარად პროგრესული ცვლილებების შეტანის მიუხედავად, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესების სრულყოფა ჯერ კიდევ შორსაა, რადგან სკოლა ნაწყვეტილია რეალურ ცხოვრებას, თეორია კი პრაქტიკას. გამონაკლისს, ცხადია, არც ესთეტიკური აღზრდის მდგომარეობა წარმოადგენს " Современная школа , - ნათქვამია "ესთეტიკური აღზრდის" პროგრამის შესავალ ნაწილში, - страдает оторванностью от жизни, что односторонняя культура ума путем преимущественно книжного обучения оставляет без внимания область чувственной, что задатки творческой деятельности, щедро заложенные природою в юношестве, неполучают должного развития, что воспитанники средней школы выходят в жизнь без развитого художественного вкуса, без умения наблюдать окружающие красоты природы и наслаждаться ими и без знания величайших произведений человеческого гения в области искусств, знакомство с которыми отличает человека образованного от необразованного." [1]

ნათქვამი, ბუნებრივია, რევოლუციამდელი სკოლის ერთადერთი უბედურება არ იყო. არანაკლებ სიძნელეს ქმნიდა სწავლების მეთოდიკაში გაბატონებული ვიწრო ზეპირობა, რელ-

---------------

[1] Материалы по Реформе средней школы, 1915, с. 326.

გია და ლოგიკური აზროვნება. ლიტერატურის საუკეთესო კლასიკური ნიმუშების ანალიზის დროსაც კი, როგორც წესი, გვერდავლილი იყო ნაწარმოების სოციალური, კლასობრივი და ბოლოს მეცნიერული პოზიცია. მოსწავლეს არ შეეძლო თავისუფლად ეკითხა და რაც მთავარია ემსჯელა წაკითხულზე. სიმღერა-მუსიკის გაკვეთილი საუკეთესო გალობათა გაზეპირების, ხოლო ცალკეული დეტალების ხატვა გაუაზრებელი კოპირება-ხაზვის გაკვეთილებად იყო ქცეული.

ყოველივე ეს აქონდა მხედველობაში ვ. ი. ლენინს, როდესაც ძველ სკოლას წიგნური სწავლებისა და ზეპირობის სკოლას ეძახდა. აქ ადამიანს ათვისებინებდნენ [illegible] გამოუსადეგარ, ზედმეტ, მკვდარ ცოდნას და ამ საფუძველზე მათ დაშტამპული აზროვნების ჩინოვნიკ-მოხელეებად ზრდიდნენ.

საბედნიეროდ ქართული საზოგადოებრივი და პედაგოგიური აზროვნება არ წავიდა იმ მტამპების გზით, რომლისკენაც მას ცარისტული სკოლა უბიძგებდა და თავისი საუკეთესო წარმომადგენელთა ნაზრევის საფუძველზე პროგრესული მიმართულება აირჩია. გამონაკლისს ამ თვალსაზრისით არც ესთეტიკური აღზრდის თეორიული პროცესის გააზრება წარმოადგენდა. ამ მიმართულებით რევოლუციამდელ ქართულ პედაგოგიკაში საკმაო მასალის მოპოვება შეიძლება. ჩვენ ამ შემთხვევაში ყურადღებას გავამახვილებთ ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ შეხედულებებზე.

ილია ჭავჭავაძეს საგანგებო პედაგოგიური გამოკვლევები არ დაუწერია, თუმცა თავის წერილებში, პუბლიცისტურ ნარკვევებში და ბოლოს მხატვრულ ნაწარმოებებში ყურადღების გარეშე არ დაუტოვებია პედაგოგიკის არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, მათ შორის ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის პრობლემებიც

სწავლა-განათლების საკითხებს ილია მჭიდროდ უკავშირებდა ერის აღორძინებას, რისთვის ჯანსაღი ორიენტაციის შემუშავების აუცილებლობას. მას მტკიცედ სწამდა, რომ აღზრდა-განათლება ერთიანი პროცესია და ერთის ხარჯზე მეორის წინ წამოწევა დაუშვებელია: "დედა-აზრი ეხლანდელის პედაგოგიკის მიმართულების იგია, რომ ადამიანი, უნდა იწვრთნებოდეს სკოლაში ყოველი მხრით: გონებით, ზნეობა-ხასიათით, სულით და ხორცით და არც ერთი მათგანი არ უნდა შეეწიროს მეორეს."[1]

ი.ჭავჭავაძის მიხედვით მოზარდის სულიერი ფორმირების საქმეში უდიდეს როლს თამაშობს ხელოვნება. იგი კატეგორიულად იბრძვის ყბადაღებული ბურჟუაზიული თეზისის "ხელოვნება ხელოვნებისათვის" წინააღმდეგ და ასაბუთებს თეზისს ხელოვნების ცხოვრებისეული სინამდვილით განპირობებულობის შესახებ. "ცხოვრება ძირია, - წერს ი.ჭავჭავაძე, - ხელოვნება და მეცნიერება მასზედ ასხმული შტოები არიან"[2]. აქედან გამომდინარე ილია თვლის, რომ პროგრესის გარკვეულ საფეხურზე ხელოვნება, როგორც შედეგი ცხოვრებისეული სინამდვილისა, თვითონვე ახდენს უკუზეგავლენას ცხოვრებაზე, ადამიანზე და ნირს უცვლის მას. სწორედ ამიტომ წერდა ილია, რომ "მეცნიერებასა და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების გასამხობინებელ ღონისძიებათ".[3]

ილიას ღრმად სწამს, რომ ხელოვნება მეცნიერებასთან ერთად რეალისტური აზროვნების განმტკიცება-გაუმჯობესების საუკეთესო საშუალებაა. აქედან გამომდინარე, ილიას სწორად ესმის ხელოვნების აღმზრდელობითი როლიც. იგი მტკიცედ ებრძვის ყოველ-

---

1 ი.ჭავჭავაძე, თხზ., ტ. VIII, გვ. 388.

2 ი.ჭავჭავაძე, თხზ., ტ. I, გვ. 173.

3 ი.ჭავჭავაძე, თხზ., ტ. VI, გვ. 79.

გვარ სქოლასტიზმს, დოგმატიკას. მისი აზრით, ცოდნის მეძებს არ შეიძლება სამკაულის, მორთულობის მოპოვების ტოლფასი საქმე იყოს.

— ესთეტიკური აღზრდის შინაარსის გაგებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ილიას პოზიცია პედაგოგის მიერ მოსწავლის პიროვნების შეფასებისა და მათ შორის ჰუმანური ურთიერთობის დამყარების აუცილებლობის შესახებ. თავის მხატვრულ ეტიუდში "უცნაური ამბავი" ილია წერს, რომ "ბავშვი იგივე ადამიანია" და ამიტომ პედაგოგი მოვალეა თავიდან სცნობდეს მასში პიროვნებას, ყოველგვარი ადამიანური თვისებების მატარებელს. ილიას სწამს, რომ პედაგოგი წარმატებას ვერ მიაღწევს ბრძანებებით, დასჯით და მოსწავლეზე მოხელური მეთოქმედებით. საჭიროა, მათ შორის დამყარდეს მეგობრული ურთიერთობა. მისი აზრით, ბავშვის "წურთვნისათვის" აუცილებელია, რომ პედაგოგმა "სულში ჩაისვას" ბავშვი. ამ უკანასკნელმა კი მეგობრად დაიგულოს იგი.

ილია ჭავჭავაძის პედაგოგიური მემკვიდრეობის შემდგომი განვითარება-დამუშავება დიდაქტიკის პოზიციებიდან დაკავშირებული იყო იაკობ გოგებაშვილის სახელთან.

იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობა მთელი ეპოქაა ქართულ პედაგოგიურ აზროვნებაში. მას ყურადღების გარეშე არ დაუტოვებია არც ერთი მეტ-ნაკლებად ღირებული საკითხი, რომელსაც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა მოზარდი თაობის ამოცანების გადაწყვეტისათვის.

ი. გოგებაშვილის "დედა ენა" პირველად 1876 წელს დაიბეჭდა. მისი ეს ნაშრომი არსებითად პირველი ნიმუში იყო საყმაწვილო ლიტერატურისა ქართული ოჯახის წიგნის თაროზე, რომელსაც ბავშვის სულიერი გამდიდრება, მასში პატრიოტული გრძნობების გამოწვევა და მშვენიერების საშუალებით მისი აღზრდა-განვითარების უზრუნველ-

ყოფა ჰქონდა მიზნად. ი.გოგებაშვილმა უპირველეს ყოვლისა შეკრიბა ყოველივე ის საუკეთესო, რაც ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ან დაწერილის სახით მოიპოვებოდა და რადგან ეს საკმარისი არ იყო, თვითონაც ბევრი იგავ-არაკი, მოთხრობა, თუ მეცნიერულ-პოპულარული სტატია დაწერა და გამოიყენა კიდეც სასკოლო სახელმძღვანელოებში. ყველაფერი, რაც "დედა ენაში" იყო შეტანილი, ატარებდა მკვეთრად გამოკვეთილ აღმზრდელობით ხასიათს. დავიწყებული, ბუნებრივია, არც ესთეტიკური აღზრდა იყო. საინტერესოა, რომ ი.გოგებაშვილს ესთეტიკური აღზრდის მიზნად გარეშე სამყაროსადმი ემოციური დამოკიდებულების ჩამოყალიბება მიაჩნია. იგი დარწმუნებულია, რომ ადამიანი გარე სინამდვილეს არა მარტო გონებით, შემეცნებით აღიქვამს, არამედ გრძნობს კიდეც მას ესთეტიკურად. ი.გოგებაშვილისათვის ადამიანის ესთეტიკური განვითარების მძლავრ ფაქტორს წარმოადგენს მდიდარი მეტყველება, რომელშიც ამაღლებული გრძნობები ვლინდება და რომელიც, თავის მხრივ, დედაენის ბაზაზე ყალიბდება, ესთეტიკურ აღზრდაში დედაენის როლის შეფასება ი.გოგებაშვილის კონცეფციით, ეფუძნება აღზრდის ეროვნულობის იდეას. ადამიანის აღზრდა, ი.გოგებაშვილის აზრით, შეუძლებელია სწორად და საფუძვლიანად მიმდინარეობდეს, თუ იგი არ ეყრდნობა საკუთარი ხალხის ზნეობას, მორალურ ნორმებს, მისი ჩვევების გათვალისწინებასა და გრძნობაშესწავლის პროცესს. ამის განხორციელება კი, მისი აზრით, თავისი სრულყოფილი სახით შესაძლებელია მხოლოდ დედაენის ბუნებრივი შეთვისების პროცესში. თავის თხზულებაში "ბურჯი ეროვნებისა" ი.გოგებაშვილი აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით იხსენებს ა.უშინსკის სიტყვებს იმის თაობაზე, რომ "როდესაც ბავშვი სწავლობს დედა-ენას, მარტო გარეგან ნიშნებს და ხმებს როდი ითვისებს, იგი სვამს სულიერ სიცოცხლეს და ძალას მშობლიურ [illegible]დან. ენა უხსნის ბუნებას ისე, როგორც ვერ

აუხსნიდა ვერც ერთი ბუნებისმეტყველი, იგი ასწავლის ხასიათს ადამიანებისას, რომელნიც ბავშვებს გარს არტყია, საზოგადოებას, რომელშიც იგი ტრიალებს, მის ისტორიას და მისწრაფებათა ისე, როგორც ვერ ასწავლიდა ვერც ერთი ისტორიკოსი. მას შეჰყავს ბავშვი ხალხის რწმენისა და პოეზიის ტაძარში, ისე როგორც ვერ შეიყვანდა ვერც ერთი ესთეტიკოსი"[1].

ი.გოგებაშვილი ეთანხმება კ.დ.უშინსკის იმაში, რომ დედაენა ესთეტიკური აღზრდის საფუძველი ხდება გონების გამდიდრებისა და გრძნობათა გაცნობიერების მეშვეობით. გონება და გრძნობის ერთიანობა ხდება საფუძველი იმისა, რომ ადამიანს დაეუფლოს აღმაფრენა, გაუძლიერდეს მისწრაფებანი და ამ ნიადაგზე ჩამოუყალიბდეს მტკიცე ესთეტიკური პოზიციები.

ი.გოგებაშვილი მტკიცედ იცავს და ავითარებს აზრს იმის თაობაზე, რომ მშვენიერების გრძნობის განცდისა და ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია ფართო სიტყვიერი მარაგის ქონება. ეს მარაგი კი შინაარსობრივად მით უფრო ფართო იქნება, რაც უფრო კარგად იცის მოზარდმა დედაენის სიღრმეები.

ი.გოგებაშვილი მიიჩნევს, რომ ენა ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთობის აღმონაცენია და ფართო შესაძლებლობებს შეიცავს ბუნების მშვენიერების გამოსახატავად. "ქართული ენა ისეთივე მდიდარი და მრავალფეროვანია, როგორიც არის ბუნება კავკასიონისა, სადაც ერთ პატარა მანძილზე პოლუსი, ტროპიკი და ზომიერი სარტყელი ერთად შეყრილან, სადაც საუკუნო თოვლით შემოსილი მთის წვერები ზევიდან ძირს დასცქერიან: ბროწეულს, ლეღვს, ვაზს, ლიმონს, ფორთოხალს და სხვა ტროპიკულ მცენარეულობას და სადაც რამდენიმე ნაბიჯს გადადგამ, იმდენს ახალ-

---

1 ი.გოგებაშვილი,"ბურჯი ეროვნებისა",თხზ.,ტ. II, გვ.213.

ახალ სურათს შეხვდები. ქართული ენა ისეთივე მრავალფეროვანია, როგორიც არის ჩვენი ერის ისტორია, წარსული ცხოვრება, სავსე მრავალგვარი მოქმედებით, ფიქრებით, აზროვნებით, გრძნობით, დიდი სიხარულით, ძლიერი მწუხარებით და რომელიც წარმოადგენს იმგვარ ღრმას და დაუსრულებელს, რომ ასი შექსპირიც ვერ ამოსწურავდა მას ძირამდე.."[1].

ი. გოგებაშვილისათვის ენის ესთეტიკური აღმზრდელობითი ღირებულება უპირველეს ყოვლისა ხალხურ შემოქმედებაში, მის პოეზიაშია გამოვლენილი. იგი მიიჩნევს, რომ პოეტურ მეტყველებაში სხვაზე უკეთ ვლინდება ერის შემოქმედებითი შესაძლებლობები, მისი შინაგანი პოტენციალი და ის ერი, რომელიც სხვის ენაზე, სხვის ემოციურ აზროვნებაზე აღიზრდება, საკუთარსაც დაკარგავს და არც მთავარს, ხელოვნებას ვერ შექმნის, რადგან ჭეშმარიტი შემოქმედება დედაენის გარეშე არ არსებობს. თავისი შეხედულების დასადასტურებლად ი. გოგებაშვილს მოჰყავს ცნობილი რუსი მკვლევრის ა. პოტებნიას მიერ ფიქსირებული მაგალითი. იგი აანალიზებს რა რუსი პოეტის პლეშჩევის შემოქმედებას, მიანიშნებს, რომ უსუსურება, რომელიც ამ უკანასკნელის ნაწარმოებებში გამოსჭვივის, მშობლიური ენიდან მისი მოწყვეტის შედეგია. პოეტმა ფრანგული აღზრდა-განათლება მიიღო. აზროვნებითაც ამ ენაზე აზროვნებს, ცხოვრებით კი რუსულ გარემოშია მოქცეული. ამ უკანასკნელის ხასიათს ფრანგული ენა ვერ გამოხატავს, ამიტომაც მის მიერ ფრანგულად დაწერილი მხატვრული ნაწარმოებები ვერ გამოხატავს პოეტის ძლიერებას. ამასთან საგულისხმოა ისიც, რომ როდესაც პლეშჩევს საკუთარი გრძნობების გადმოცემა ლექსად უნდა, იგი რუსულ ენას მიმართავს, თუმცა ეს

---

1 ი. გოგებაშვილი, "ბურჯი ეროვნებისა", თხზ., ტ. II, გვ. 205.

უკანასკნელი მან ფრანგული ძლიერ შეისწავლა, ე.ი. გარედან, რომ ნაზი გრძნობების გამოსახატავად პოეტი იმ ენას მიმართავს, რომელიც მისთვის სულიერად ახლობელია, მაგრამ გვიან შესწავლილი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პოეტი ველარ ახერხებს ამაღლდეს ჭეშმარიტად შემოქმედებით სიმაღლემდე, მიაღწიოს გრძნობისა და სიტყვის მთლიანობას. ყოველივე ამის საფუძველზე ი.გოგებაშვილი ასკვნის, რომ "მეტყველებას თავისი მუსიკა აქვს, თავის ჰარმონია და ამ მუსიკის საიდუმლოს ენა უმხელს მხოლოდ ღვიძლ თავისიანებს"[1].

აღნიშნული პედაგოგიური კონცეფციის საფუძველზე აგებული მისი "დედა ენა" ქართველ მოსწავლეთათვის ის სულიერი საზრდო იყო, რომლის გარეშეც რაიმე სწავლა-აღზრდის საქმე სწორ მიმართულებას ვერ შეიძენდა.

მოზარდის ესთეტიკური სამყაროს ფორმირებაში ი.გოგებაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ბუნების შესწავლის საქმეს. მას სწამდა, რომ ბუნების შესწავლა არა მარტო მეცნიერულად მომგებიანი და საჭირო საქმეა, არამედ დიდ აღმზრდელობით ღირებულებასაც შეიცავს. იგი მოზარდს უყალიბებს მშვენიერების აღქმა-შეფასების, მისი განცდისა და ტკბობის უნარს. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით ი.გოგებაშვილმა "დედა ენაში" დიდი რაოდენობით შეიტანა მასალები ბუნების შესახებ, ხოლო მის მომდევნო გამოცემაში აღნიშნული შეავსო მასალებით საქართველოს და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის შესახებ. შემდგომში ამ მასალებს მან თავი მოუყარა თავის "ბუნების კარში", რომელიც, ერთი მხრივ, საფუძველი გაუხდა ბუნებისმეტყველებისა და გეოგრაფიის მწყობრი ელემენტარული კურსის შეტანას "დედა ენაში", ხოლო მეორე მხრივ, გარკვეული კონცეფციაც შეიმუშავა

---

1 ი.გოგებაშვილი, "ბურჯი ეროვნებისა", თხზ.,ტ.II, გვ. 221.

ბუნებისადმი ესთეტიკური დამოკიდებულების გამომუშავების პე-დაგოგიური პოზიციის თვალსაზრისით.

ესთეტიკური აღზრდისათვის განსაკუთრებით საინტერესოა ის გარემოება, რომ ი.გოგებაშვილმა პირველმა "დედა ენაში" /1912/ შედარებით სრულყოფილი სახით შეიტანა სიმღერა-მუსიკის მოკლე კურსი. აქვეა მოცემული ცალკეულ სიმღერათა სანოტო ჩანაწერე-ბიც.

საინტერესოა აგრეთვე ისიც, რომ "დედა ენის" სხვადასხვა გამოცემები დამშვენებული იყო რეალისტური სურათებითა და ილუს-ტრაციებით, რომელთაც გარკვეული შემეცნებითი თუ ესთეტიკური ინტერესი უნდა გაეღვიძებინა მოსწავლეებში.

## [illegible] აღზრდა 20-იანი წლების ქართულ საბჭოთა სკოლაში და მისი ჩამოყალიბების ძირითადი ტენდენციები /1921-1930 წლები/

## სახალხო განათლების საბჭოთა სისტემის შექმნა და განვითარება საქართველოში /1921-1930 წლები/

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ დაიწყო უდიდესი გარდაქმნები ქვეყნის ეკონომიკაში, სოციალურ ურთიერთობებში, კულტურულ და იდეოლოგიურ სფეროებში. ახალი წარმოებითი ურთიერთობების დამკვიდრება კანონზომიერად მოითხოვდა ზედნაშენური მოვლენების კარდინალურ შეცვლას.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგს, სადაც ასეთი გარდაქმნების განხორციელება აუცილებელი იყო, წარმოადგენდა სახალხო განათლება. აქ უნდა შექმნილიყო სრულიად ახალი ტიპის სისტემა, აბსოლუტურად განსხვავებული თავისი მიზანდასახულობით და მეთოდებით რევოლუციამდე არსებული სისტემისაგან.

სახალხო განათლების ახალი სისტემა უნდა დაფუძნებოდა ლენინურ პრინციპებს, რომელთა არსი მდგომარეობს შემდეგში:

-სახალხო განათლების საქმე მთლიანად გადადის სახელმწიფოს ხელში /სახელმწიფო სკოლების სისტემა/. სახელმწიფო უზრუნველყოფს მას სახსრებით და კვალიფიციური კადრებით. განათლების სისტემა ექვემდებარება სახალხო ხელისუფლების ორგანოებს;

- განათლებას ეძლევა საერო ხასიათი, სკოლა გამოყოფილია ეკლესიისაგან. საღვთო სჯულის სწავლება იკრძალება. სკოლის მიზანია ახალგაზრდობას ასწავლოს საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საფუძვლები;

- სკოლა თავისუფალია ყოველგვარი ეროვნული, რასობრივი, სოციალური თუ სქესობრივი უთანასწორობისაგან. ქალები და მამაკაცები განათლებას იღებენ ერთი სისტემით.

- სწავლება ხორციელდება ძირითადად ეროვნულ ენაზე;

-განათლების საბჭოთა სისტემა ხასიათდება ერთიანი და თანმიმდევრული სტრუქტურით, დაწყებითი სკოლიდან უმაღლესამდე.

-განათლების უფლება კონსტიტუციურ ნორმას წარმოადგენს.

საქართველოს საბჭოთა მთავრობას ჰქონდა შესაძლებლობა საბჭოთა რუსეთის მაგალითის მიხედვით განეხორციელებინა სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნა. საბჭოთა რუსეთი უკვე მესამე წელი იყო, რაც ახორციელებდა ამ გარდაქმნას, აყალიბებდა განათლების ახალ, საბჭოთა სისტემას.

1918 წლის 5 ივნისს რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტით, რომელსაც ვ.ი.ლენინი აწერდა ხელს, განათლების სახალხო კომისარიატს გადაეცა ყველა დაწყებითი, საშუალო, უმაღლესი /და დახურული/ ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალური დაწესებულებები."[1].

მალე ამას მოჰყვა საბჭოთა რუსეთის სახ.კომ.საბჭოს დადგენილება "სახალხო განათლების საქმის ორგანიზაციის შესახებ რუსეთის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში", რომელიც იმავე წლის 18 ივნისითაა დათარიღებული და ხელმოწერილია ვ.ი.ლენინის მიერ[2].

1919 წლის 18-20 მარტს რკპ /ბ/-ის VIII ყრილობაზე მიღებულ პროგრამაში განსაზღვრული იყო სახალხო განათლების დარგში პარტიის პოლიტიკის გენერალური ხაზი. პროგრამის მე-12 მუხლის § 3-ში ნათქვამი იყო: "ერთიანი შრომის სკოლის პრინციპების სრული განხორციელება დედა ენაზე ორივე სქესის ბავშვთა ერთად სწავლებით; სკოლა აუცილებლად საერო უნდა იყოს, ე.ი. თავისუფალი ყოველგვარი რელიგიური გავლენისაგან; მან მჭიდრო კავშირი უნდა განახორციელოს სწავლებასა და საზოგადო-

---

[1] Директивы ВКП /б/ и постановления Советского правительства о народном образовании.

[2] Народное образование в СССР, сборник документов, 1917-1973, М., 1974, стр. 14-16.

ებრივ-ნაყოფიერ შრომას შორის, რომელსაც კომუნისტური საზო-გადოების ყოველმხრივ განვითარებული წევრები"[1]. აქვე ფორმუ-ლირებული იყო ის საფუძვლები, რომელთაც უნდა დამყარებოდა სა-ხალხო განათლების საქმე საბჭოთა რესპუბლიკაში.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ რკპ /ბ/ ცენტრალური კომიტეტის ცირკულარული წერილი / 1921 წ. ნოემბერი/: "პარტიული ორგა-ნიზაციების კავშირის შესახებ სახალხო განათლების ორგანოებ-თან"[2], სადაც კონკრეტული სახით იყო ჩამოყალიბებული სახალხო განათლების საქმისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ძირითადი პრინციპები.

აღნიშნული დოკუმენტები და რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა-ში სკოლის რეორგანიზაციის პრაქტიკული გამოცდილება შესანიშ-ნავ სახელმძღვანელო მასალას იძლეოდა საქართველოში სახალხო განათლების ახალი სისტემის ჩამოყალიბების საქმის წარმარ-თვისათვის.

საქართველოში 1921 წლის 15 აპრილს რევკომის დეკრეტით გამოცხადდა სახელმწიფოსაგან ეკლესიის და ეკლესიისაგან სკო-ლის გამოყოფა[3]. იმავე წლის 6 ივნისს კი შეიქმნა საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატი[4].

----------------

1 სკკპ ყრილობების, კონფერენციების და ცენტრალური კომიტე-ტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. I, VII გამ. თბ. 1954, გვ. 534.

2 Директивы ВКП /б/, вып. I. экз. 28-29.

3 Борьба за Советскую власть в Грузии. Сб. документов и материалов. Тб., 1959, стр. 499.
შდრ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მოამბე, N 3რ. გვ. 10-11.

4 გაზ."კომუნისტში" 1922 წ. 9 იანვარს გამოქვეყნდა საქართვე-ლოს განათლების სახალხო კომისარიატის დებულება.

ხოლო 28 ივნისს რევკომის სპეციალური დეკრეტით "სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის გარდასაქმნელად, მის გასაერთიანებლად და გასაახლებლად ახალი პედაგოგიკის და სოციალიზმის საფუძვლებზე", ყველა დაწყებითი, არასრული, საშუალო სკოლა, ყველა ტიპის სახელმწიფო-საზოგადოებრივი და კერძო, ღია და დახურული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, აგრეთვე სკოლამდელი აღზრდისა და სკოლისგარეშე განათლების დაწესებულებანი გადაყვანილ იქნა განათლების სახალხო კომისარიატის განმგებლობაში[1].

დაიწყო სწავლება მშობლიურ ენაზე. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების დროისათვის 1920-1921 სასწავლო წელს სახალხო განათლების სისტემა შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

- დაწყებითი სახალხო სკოლები- 4 წლიანი სწავლებით.
- საშუალო სკოლა ანუ გიმნაზიები ასევე 4 წლიანი სწავლებით.
- უმაღლესი - დაწყებითი სკოლები- 4 წლიანი სწავლებით.

ამათგან დაწყებითი სკოლები გადაყვანილი იყო დედა ენის სწავლებაზე. დანარჩენ საფეხურებზე სწავლება ძირითადად რუსულ ენაზე წარმოებდა, ზოგიერთი კერძო სასწავლებლის გამოკლებით.

1921 წლის 23 აგვისტოს საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის ცირკულარით მოხდა სასკოლო სისტემის რეორგანიზაცია და ჩამოყალიბდა:

დაწყებითი სკოლები - 4 წლიანი სწავლებით.

რვაწლიანი შრომითი სკოლები, ორი საფეხურით, I-IV და V-VIII არასრული საშუალო სკოლა /ოთხ-ოთხი/. ტექნიკუმები -

---

1. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, თბ. 1976, გვ. 824-825. დეკრეტი გამოქვეყნდა გაზ. "კომუნისტი", 1921 წ. 30 ივნისს.

4 წლიანი სწავლებით /სრული საშუალო სკოლა/ ტექნიკუმების I კურსი დაკომპლექტდა უმაღლეს-დაწყებითი სკოლების კურსდამთავრებულთაგან და გიმნაზიების V კლასის მოსწავლეთაგან.

1920-1921 სასწავლო წელს საქართველოში საშუალო სკოლების /გიმნაზიების/ საერთო რაოდენობა უდრიდა 77-ს[1]. ამათგან ერთი ნაწილი კერძო სასწავლებლებს წარმოადგენდა. /მაგალითად, 51 გიმნაზიიდან 23 კერძო იყო. უშ. იბოლაძე, სახ. გან. გვ. 12-13/. 1921-1922 სასწავლო წელს კი მათი რაოდენობა 109-მდე, ე.ი. 32 ერთეულით გაიზარდა. ეს იყო ძირითადად ტექნიკუმები. ტექნიკუმები ორი ტიპისა იყო: სოციალურ-ეკონომიური და სპეციალური. ორივე აძლევდა მოსწავლეს სრულ საშუალო განათლებას. ახლადგახსნილი სკოლების ერთი ნაწილი, იმის გამო, რომ არ იყო სათანადო პირობები და პედაგოგიური კადრები, იმავე წელს დაიხურა; ასე რომ, სასწავლო წლის ბოლოს /1921-1922/ მათი რიცხვი 97-მდე დავიდა, ამათგან 61 იყო სოციალურ-ეკონომიური, ხოლო 26-სპეციალური ტექნიკუმი[2]. ასეთი ვითარება დარჩა 1924 წლამდე. საშუალო განათლების ქსელს არსებითი ცვლილება ამ პერიოდში აღარ განუცდია. ეს იყო გარდამავალი ხანა.

რაც შეეხება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქსელს, საერთოდ ამავე პერიოდში, მისი ზრდა შემდეგი მონაცემებით გამოიხატა: 1920-1921 წლებთან შედარებით 1921-1922 წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები გაიზარდა 117 ერთეულით და მიაღწია 1879-ს. მათში სწავლობდა 202,289 მოსწავლე[3]. სხვა მონაცემე-

---

1 უშ. იბოლაძე, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა საბჭოთა საქართველოში, I, 1961, გვ. 144.

2 იქვე, გვ. 144-145.

3 უშ. იბოლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 150, ცხრილი N 1.

ბით ასეთი სკოლების რაოდენობა – 198 იყო, ხოლო მოსწავლე-თა რაოდენობა 165,168[1]. ჭეშმარიტებასთან ახლოს პირველი რიცხვები უნდა იყოს, ვინაიდან მას არაერთხელ იმეორებს განათლების სახალხო კომისარიატი თავის ანგარიშებში და სტა-ტისტიკურ ცნობებში.

რა პრობლემები იდგა ამ პერიოდში სახალხო განათლების სისტემის წინაშე და როგორ მიმდინარეობდა ამ პრობლემების გადაწყვეტა?

უპირველეს ყოვლისა, ძირითად პრობლემას წარმოადგენდა მშრომელ მასებში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ამოცანა. სახალხო განათლების სისტემას, ბუნებრივია, ამ პრო-ბლემის გადაწყვეტაში თავისი სიტყვა უნდა ეთქვა და თქვა კიდეც. მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა იყო აგრეთვე სკოლის გაეროვნულების საკითხი. ეს პრობლემა არ ამოიწურებოდა სწავ-ლების პროცესის გადაყვანით ეროვნულ ენაზე. საჭირო იყო აგრეთვე, ამ პროცესის უზრუნველყოფა სათანადო სახელმძღვა-ნელოებით და დოკუმენტაციით, ეროვნული პედაგოგების კვალი-ფიციური კადრებით.

"სკოლის გაეროვნულების ქვეშ, – წერს უშ. იმედაძე, – ამ დროს საკუთრივ სწორედ გულისხმობდნენ ისეთი სკოლის შექმნას, რომელიც პასუხობს ეროვნულ თავისებურებებს, ეროვნული რესპუბ-ლიკების ხალხების პოლიტიკური, ეკონომიური და კომუნისტური აღზრდის ზოგადკაცობრიულ ამოცანებს ურთიერთად ახამებს ქვეყ-ნის სოციალისტური გარდაქმნის სპეციფიკურ ეროვნულ ამოცანებ-თან"[2].

---

1 ი. ჟანტურია, სახალხო განათლება საბჭოთა საქართველოში, თბ., 1958, გვ. 8. ასეთივე ცნობებია 1926 წ. გამოქვეყნებულ სტა-ტისტიკურ კრებულში, N 2.

2 უშ. იმედაძე, სახალხო განათლება საბჭოთა საქართველოში, თბ., 1961 წ. გვ. 57.

დადებითად გადაწყდა საბჭოთა სკოლის საერო სკოლად გადაქცევის ამოცანაც. 1921 წლის 15 აპრილს, როგორც უკვე ვთქვით, საქართველოს რევკომმა სპეციალური დეკრეტით აკრძალა სკოლებში და სასწავლებლებში /როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო დაწესებულებების/ საღვთო სჯულის სწავლება[1]. სასკოლო განათლების მიზნად გამოცხადდა საზოგადოებრივი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საფუძვლების ათვისება მოსწავლე ახალგაზრდობის მიერ, მათ შორის მოვლენებისადმი დიალექტიკური მიდგომის დანერგვა. სკოლის დემოკრატიზაცია ასევე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო. დაკანონდა ქალ-ვაჟთა ერთად სწავლება, მოისპო ყოველგვარი შეზღუდვა მოსწავლეთა სოციალური თუ ეროვნული ნიშნების მიხედვით. იდეური ასპექტით ინერგებოდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის და კომუნიზმის მაღალი იდეები, ყალიბდებოდა კომუნისტური სულისკვეთება და მსოფლმხედველობა. სკოლის ამოცანად იქცა კომუნისტური მომავლის შეგნებული და აქტიური მშენებლის აღზრდა.

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წლებში ჩაეყარა საფუძველი იმ პრინციპების განხორციელებას /კულტურული რევოლუციის განხორციელებაში მონაწილეობა, სკოლის გაეროვნულება და განთავისუფლება სულიერი იდეოლოგიისაგან, სწავლების დაკავშირება მეცნიერული ცოდნის საფუძვლების ათვისებასთან, სკოლის დემოკრატიზაცია და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პლატფორმაზე გადასვლა... და ა.შ./, რომელსაც უნდა დაეყრდნობოდა სახალხო განათლების ახალი სისტემა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ საბჭოთა განათლების სისტემის შესაფერის ფორმათა ძიებანი და დამკვიდრება ერთბაშად არ მომხდარა. სანამ ჩამოყალიბდებოდა

---

1 მოამბე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა, № 3, გვ. 10-11.

საბჭოთა სკოლის თანამედროვე სისტემა, სახალხო განათლების საქმეში რადიკალური გარდაქმნა განიცადა. საბჭოთა განათლების სისტემამ საქართველოში პირველი სერიოზული გარდაქმნები უკვე 1924 წელს განიცადა. სათანადო წესდება დამტკიცდა 1923 წლის 18 დეკემბერს. რვაწლედის ნაცვლად საშუალო სკოლაში 9 წლიანი სწავლება დაწესდა /8-17 წლის ასაკის ბავშვებისათვის/. ცხრაწლედი იყოფოდა ორ საფეხურად: ოთხწლიან სკოლად და ცხრაწლიან სკოლად /აერთიანებდა ოთხწლედსა და ხუთ უფროს კლასს/. მეორე საფეხურის მაღალი კლასები იყოფოდა ორ კონცენტრად: პირველი მოიცავდა V-VI-VII კლასებს, მეორე VIII-IX კლასებს. ეს სისტემა რუსეთის სკოლიდან იქნა გადმოღებული მზამზარეული სახით[1].

ამრიგად, შეიქმნა სამი ტიპის სკოლა: დაწყებითი /4წლიანი, 8-12 ასაკის ბავშვთათვის/, შვიდწლიანი /დაწყებითის 4 კლასი და საშუალო სკოლის პირველი სამი კლასით, 8-15 წწ. ასაკოვანთათვის/, ცხრაწლედი /ოთხწლედი, საშუალო შვიდწლიანი სკოლის სამი კლასი და ცხრაწლედის ორი უკანასკნელი კლასი, 8-17 წლის ასაკის ბავშვთათვის/.

ამასთან დაკავშირებით გაუქმდა ჰუმანური ტექნიკუმები. მეცხრე კლასდამთავრებულთ ენიჭებოდათ უფლება, შესულიყვნენ უმაღლეს სასწავლებელში. სპეციალური ტექნიკუმები დატოვებულ იქნენ მოქმედებაში. საშუალო სკოლის შვიდწლედდამთავრებულ ბავშვებს ჰქონდათ უფლება, გაეგრძელებინათ სწავლა VIII-IX კლასებში ან შესულიყვნენ რომელიმე სპეციალურ ტექნიკუმში, სადაც მათ შეეძლოთ ზოგად საშუალო განათლებასთან ერთად მიეღოთ პროფესიული ცოდნა. რეფორმის მიზანი იყო საერთო განათლების ასაკობრივი ზღვრის ამაღლება /15-17 წლის ასაკამდე/, და სწავლების პროცე-

---

[1] Директивы ВКП/Б/ и постановления Советского правительства о народном образовании за I9I7-I947 г.г. М., I947, стр.I28.

სის კიდევ უფრო მეტად დააკავშირებს პრაქტიკასთან, შრომასთან. ჰუმანური ტექნიკუმების გაუქმება /და შეცვლა 9 წლედით/ სწორედ ამით საბუთდებოდა. ეს ტექნიკუმები უმთავრესად სიტყვიერი, ვერბალური ხასიათის სკოლები იყო და იმ ხანად გავრცელებული ტერმინოლოგიით - მათ სქოლასტიკურ სასწავლებლებად ნათლავდნენ, რაც, რა თქმა უნდა, სწორი არ იყო. არსებული სასკოლო სისტემის შეცვლა განხორციელდა 1924 წელს პროექტის შესაბამისად[1]. ჩამოყალიბდა სამი ტიპის სკოლა - დაწყებითი, შვიდწლიანი და ცხრაწლიანი სკოლები. არსებული პირველი კლასები, სადაც 6-7 წლის ბავშვები სწავლობდნენ 0 კლასად გადაკეთდა. მათი მიზანი იყო ბავშვთა მომზადება სასკოლო რეჟიმისათვის. ჰუმანური ტექნიკუმების ლიკვიდაცია თანდათანობით მოხდა და 1925 წლის ბოლოს დამთავრდა[2].

ცხრაწლიანი სკოლის წესდება დაიბეჭდა დაგვიანებით 1926 წელს ჟურნალ "ახალი სკოლისაკენ" -ის ფურცლებზე /N 12 , გვ. 59-64 /, რუსული წესდება დაიბეჭდა 1923 წელსვე.

სკოლის ახალ სისტემაზე გადასვლა დიდი ხარვეზებით განხორციელდა: მატერიალურ-ტექნიკური პირობების უქონლობის გამო რვაწლიანი სკოლების ცხრაწლიანად გადაკეთება კი არ ხდებოდა, არამედ - შვიდწლიან სკოლებად. ხოლო ცხრაწლიანი სკოლები ჰუმანური ტექნიკუმების გარდაქმნის გზით იქმნებოდა და არა რვაწლიანი სკოლების გაზრდის გზით. ამდენად, სახალხო განათლების საშუალო სკოლის სისტემას ზრდა არ განუცდია. პირიქით შემცირდა კიდეც. 1924-1925 წელს საქართველოში 77 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა იყო, რამში 12 874 მოსწავლე სწავლობდა. ამ სისტემას შესამჩნევი ზრდა არც შემდეგ წლებში განუცდია. ჩაგალი-

-------------------

1 ეს გარდაქმნები კარგადაა ასახული ჟურნალ "ახალი სკოლისაკენ"-ის ფურცლებზე, რომელიც სწორედ 1924 წელს დაარსდა /იხ. N1/.

2 უმ. იბოლაძე, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა საბჭოთა საქართველოში, 1961, I, გვ. 159.

თად, 1929–1930 წლებში მათი რიცხვი მხოლოდ 6 ერთეულით გაიზარდა და 83 გახდა[1].

ამავე დროს საშუალო სკოლაში მაღალ საფეხურზე სწავლების ვადა შემცირდა: კუმანური ტექნიკუმები ოთხწლიანი იყო /I–IV კლასები/, რამაც ნაცვლად დაწესდა ცხრაწლედი /VIII–IX კლასები/, და, მაშასადამე, სწავლების ვადა 2 წლით შემცირდა. ახლა თუ გავითვალისწინებთ, რომ დაწყებითი და რვაწლიანი სკოლების პირველი კლასები 0 ჯგუფებად გადაკეთდა, გამოვა, რომ საერთო ზოგადსაგანმანათლებლო სწავლება ამ პერიოდში 3 წლით შემცირდა, ეროვნული სკოლები ამ ვითარებამ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. აქ ხომ საერთო საგნების /ენა, ლიტერატურა, გეოგრაფია და სხვა/ სწავლებასაც ითვალისწინებდა, ამიტომაც ეროვნული სკოლების პროგრამები მეტი მოცულობისა იყო, ვიდრე საერთო რუსული სკოლებისა. ასეთ პირობებში კი სწავლების ვადის სამი წლით შეკვეცამ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში სწორედ ეროვნული /კერძოდ, ქართული/ სკოლები ჩააგდო. შეიკვეცა პროგრამები, გადიტვირთა მოსწავლეთა დროის ბიუჯეტი.

ვერც კუმანური ტექნიკუმების ვერბალური ხასიათი იქნა დაძლეული. ამ პერიოდის შვიდწლედმა და ცხრაწლედმა შეინარჩუნეს სწავლების სიტყვიერი ხასიათი. "სწავლება არ იყო, ან სუსტად იყო დაკავშირებული პრაქტიკულ-სამეურნეო და საზოგადოებრივ-კულტურულ მშენებლობასთან"[2].

გამოსავლის ძიება უკვე 1925–1926 წლებში დაიწყეს. დადგა საკითხი სრულად შვიდწლიანი სკოლების პროფილის შეცვლის შესახებ,

---

1 უ.შ. იბილაძე, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა საბჭოთა საქართველოში, 1961, I გვ. 159.

2 საბჭოთა საქართველოს 10 წელი, თბ., 1931, გვ. 174.

მათთვის სასოფლო-სამეურნეო განხრის მინიჭებისა და მათი გარდაქმნის შესახებ სოფლის ახალგაზრდობის /ან გლეხთა ახალგაზრდობის/ სკოლებად. ეს ღონისძიება, რა თქმა უნდა, აჩქარებდა ზოგადი განათლების საქმეს, ვინაიდან მთელი ხუთი წლით ამცირებდა ზოგადი განათლების ასაკობრივ დონეს.

ამ ღონისძიებას დროებითად თვლიდნენ და კომპრომისად მიიჩნევდნენ. ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების IV ყრილობამ ამ სკოლების მიზანდასახულება შემდეგნაირად განსაზღვრა: "ისეთი სკოლების შექმნა, რომელიც კულტურული მიწათმოქმედების ახალ ტიპს აღზრდის, რომელიც მიწის კოლექტიურად დამუშავებისაკენ, კოოპერირებისაკენ მიისწრაფვის, ალკკ და განსახკომების ძირითად ამოცანას უნდა წარმოადგენდეს"[1].

1926 წელს საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა დებულება: "სოფლის ახალგაზრდობის სკოლის აგროწარმოებითი მუშაობის ორგანიზაციის შესახებ", რომლითაც აღნიშნულ სკოლებს ევალებოდათ, ჩაენერგათ ბავშვებისათვის სოფლის მეურნეობის კოოპერირების უპირატესობის შეგნება, კერძომესაკუთრეულ წვრილ მეურნეობებთან შედარებით. ამით სკოლას უნდა აღეზარდა კოლექტივიზაციის მომხრე მუშაკები და პროპაგანდისტები.

მოხდა ისე, რომ სკოლის სპეციალურმა დანიშნულებამ აგროდისციპლინებისა და პრაქტიკული მუშაობის დანერგვამ დაიქვემდებარა ზოგადი განათლების ინტერესები, რაც, რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგებოდა პედაგოგიური მეცნიერების ელემენტარულ დებულებებს. მაგრამ ეს კომპრომისი იმხანად გამართლებული და აუცილებელი ჩანდა. გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებმა დიდი სამსახუ-

---

1 Четвертый съезд Ком. организации Закавказья /5-9 декабря 1925 г./, стеногр. отчет, Тб., 1926, стр. 487.

რი გაუწია ჩვენში კოლექტივიზაციის მოძრაობისა და გაძლიერების დიდ ისტორიულ პროცესს. 1929 წლიდან ისინი საკოლმეურნეო ახალგაზრდობის სკოლებად იწოდებოდნენ. მაგრამ სახალხო განათლების საერთო სისტემა დაზიანდა. სოფლის სკოლები ველარ ასრულებდნენ დაწყებითი განათლებისა და უმაღლესის ერთმანეთთან დამაკავშირებელ როლს, ვერ აძლევდნენ ახალგაზრდებს იმ ზოგად განათლებას, რომელიც აუცილებელი იყო სწავლების უმაღლეს საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად.

სოფლის სკოლების ქსელი ნელა, მაგრამ განუხრელად იზრდებოდა 1923-1929 წლებში მათ შვიდწლიანი სკოლების საერთო რაოდენობის 38%-ს მიაღწიეს.

რაც შეეხებოდა ქალაქების შვიდწლედებს, საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატმა საჭირო ჩათვალა მათი გადაკეთება საქარხნო-საფაბრიკო შვიდწლედებად. ეს საქმე 1926-1930 წლებში დაიწყო, მაგრამ ნელი ტემპით და მრავალი დაბრკოლების გადალახვით. მასობრივი ხასიათი მან 1930 წლის შემდეგ მიიღო. სოფლის ახალგაზრდობისა და საქარხნო-საფაბრიკო სკოლებმა 1934-1935 წლებამდე იარსებეს. შემდეგ კი მათ ბაზაზე ისევ ზოგადსაგანმანათლებლო შვიდწლედები შეიქმნა.

საშუალო სკოლის უფროს კლასებში /VIII-IX კლასები/ 1926 წლიდან შემოიღეს განხრები, სპეციალიზაცია ზოგადსაგანმანათლებლო ფუნქციების შენარჩუნებით. ამის აუცილებლობა ნაკარნახევი იყო ჩვენში უმაღლესი განათლების სისტემის სისუსტით. საშუალო სკოლადამთავრებულები ვერ ახერხებდნენ უმაღლესში შესვლას სწავლის გასაგრძელებლად, ვინაიდან უმაღლესი განათლების სისტემის ზრდა მეტად უმნიშვნელო იყო. იმ დროს, როდესაც საშუალო სკოლა ჩვენში 5000-6000 აბიტურიენტს უშვებდა, უმაღლესში მიღება 1000-1500 კაცით განისაზღვრებოდა. უმაღლე-

სის გარეშე დარჩენილი ახალგაზრდების რაოდენობა სწრაფად იზ-რდებოდა. სპეციალობის უქონლობის გამო არ ხერხდებოდა მათი ჩაბმა შრომით საქმიანობაში.

დადგა საკითხი იმის შესახებ, რომ საშუალო სკოლის უმაღლეს კლასებში მოემზადებინათ საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტები. ამის შესახებ გაიმართა საუბარი ამიერკავკასიის კომ.ორგანიზაციების მეოთხე ყრილობაზე, სრულიად საქართველოს ცკ-ის მესამე მოწვევის მესამე სესიაზე, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოში და ა.შ. იმისათვის, რომ არ შეემცირებინათ მინიმუმამდე საშუალო სკოლების რაოდენობა, ამჯობინეს საშუალო სკოლებისათვის მიეცათ განხრები. ეს პროცესი დაიწყო 1926 წლის იანვრიდან. 29 იანვარს განათლების სახალხო კომისარიატმა გამოსცა საგანგებო ცირკულარული წერილი[1]. ეს ღონისძიება ერთ-ებითაა გამოცხადებული.

აღსანიშნავი იყო, რომ ამის გამო არ უნდა შესუსტებულიყო ზოგადსაგანმანათლებლო სწავლება. მაგრამ პრაქტიკულად ამის შესრულება შეუძლებელი შეიქნა.

1926 წლიდან საშუალო სკოლებში შემოღებულ იქნა 4 განხრა: პედაგოგიური, სასოფლო-სამეურნეო, კოოპერაციული და საბჭოთა ადმინისტრაციული. რესპუბლიკის 83 ცხრაწლიანი სკოლიდან /ავტონომიური ერთეულების გამოკლებით/ პედაგოგიური განხრა მიიღო 24 სკოლამ, სასოფლო-სამეურნეო - 10-მა, კოოპერაციული - 18-მა. დარჩენილი 11 სკოლიდან 9 ყოველგვარი განხრის გარეშე დარჩა, 2-ს მისცეს ელექტროტექნიკური განხრა. საბჭოთა ადმინისტრაციული განხრა იმ ხანად არც ერთ სკოლისათვის არ მიუ-

---

1 გამოქვეყნდა ჟურნ. "ახალი სკოლისაკენ", 1926, N 2-ში, გვ. 25-28.

ნიშნავდა[1].

მაგრამ მძიმე ვითარებას ქმნიდა ის გარემოება, რომ განხრათა მინიჭება მყარი არ იყო: ყოველწლიურად ცვლილებები შეჰქონდათ მასში. მაგალითად, უკვე მომდევნო სასწავლო წელს /1926-1927/ რესპუბლიკის 65 სკოლიდან /ავტონომიური ერთეულების – აფხაზეთის, აჭარის და სამხრეთ-ოსეთის გამოკლებით/ პედაგოგიური განხრა ჰქონდათ უკვე 14 სკოლას /ნაცვლად 24-ისა/, სასოფლო-სამეურნეო – 1-ს, საბჭოთა-ადმინისტრაციული-13-ს, პედაგოგიურ პოლიტსაგანმანათლებლო-2-ს, ელექტროტექნიკური-2-ს, კომუნალური – 1-ს, სასოფლო-სამეურნეო და კოოპერაციული-3-ს, ინდუსტრიული და პედაგოგიური – 1-ს, ელექტროტექნიკურ პედაგოგიური – 1-ს, პოლიტსაგანმანათლებლო და კოოპერაციული–3-ს, განხრის გარეშე იყო დატოვებული 11 სკოლა.

პროფილებში ცვლილებები შეიტანეს შემდეგ სასწავლო წელსაც: 1927-1928 წწ. სხვა განხრებთან ერთად ჩნდება სამხატვრო-კერამიკული განხრაც: შემდეგ წელს იგი აღარ ჩანს.

ერთი სიტყვით, განხრების შემოღება-დაწესებას სტაბილური ხასიათი არ ჰქონდა და გასაგები უნდა იყოს, რა რთულ მდგომარეობაში ჩააყენებდა ეს გარემოება საშუალო სკოლას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საკმაოდ გაურკვეველი სიტუაცია სუფევდა ქართულ სკოლაში სწავლის ხანგრძლივობის საკითხშიც: პედაგოგებს, მეთოდისტებს თუ განათლების სახალხო კომისარიატის მუშაკებს ამ საკითხზე ერთიანი აზრი არ ჰქონდათ.

დრო და ვითარება იმის საჭიროებას აყენებდა, რომ სახალხო განათლების სისტემას, რომლის საფუძველსაც ახალი პოლიტი-

---

1 საქართველოს სსრ მთავრობის 1925-1926 წწ. მოქმედების ანგარიში, გვ. 286, მოყ.: უშ. ობოლაძის, დასახ. ნაშრომი, გვ. 225.

კური ორიენტაციის პირობებში ეროვნულ ენაზე სწავლა-აღზრდა წარმოადგენდა, ადგილობრივი პირობების შესაბამისი სახე და სტრუქტურა მისცემოდა. ეს საკითხი ჯერ კიდევ XIX ს-ის 80-იანი წლებიდან იდგა დღის წესრიგში და მოწინავე ქართველი ინტელიგენციაც იმ აზრისა იყო, რომ სწავლის ხანგრძლივობა ჩვენში უფრო დიდი უნდა ყოფილიყო, ვიდრე რუსეთში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგაც ეს საკითხი კვლავ აქტუალური იყო და ამიტომაც სასწავლო გეგმები განსხვავებული სახით შედგა, ვიდრე ეს იყო რსფსრ-ის სკოლებში. განსხვავება უპირველესად იმაში გამოიხატა, რომ სასწავლო გეგმაში მისთვის კუთვნილი ადგილი დაიჭირა მშობლიურმა ენამ, საქართველოს ისტორიამ და გეოგრაფიამ. ამ პერიოდისათვის ეროვნული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წინაშე დაისვა რამდენიმე ძირეულად საპასუხისმგებლო ამოცანა:

ა/ უპირველეს ყოვლისა, მას დედაენის მეშვეობით ახალგაზრდობისათვის ზოგადი განათლება უნდა მიეცა იმ ზომით, როგორც ამას რუსული სკოლები უზრუნველყოფდნენ.

ბ/ მეორე, მას სათანადო მოცულობით უნდა ესწავლებინა ბავშვებისათვის ადგილობრივი საგნები, საქართველოს ისტორია და გეოგრაფია;

გ/ მესამე, ჩვენი ახალგაზრდობა კარგად უნდა დაუფლებოდა რუსულ ენას;

დ/ მეოთხე, სკოლას უნდა შეეიარაღებინა ახალგაზრდა ერთ რომელიმე სპეციალობაში სათანადო ცოდნა-ჩვევებით იმ ზომით, რომ კურსდამთავრებულს შემდგომში მომზადების გარეშე შესძლებოდა შეესრულებინა საშუალო კვალიფიკაციის მუშაკის მოვალე-

იმა მის მიერ არჩეულ პროცესში[1]: გადამჭრელი ამოცანების ასეთი ფართო მასშტაბის სკოლის სტრუქტურული სახის გაუმჯობესებასაც საჭიროებდა. საქართველოს განსახკომმა ამ საკითხში გაიზიარა სკოლის რიგი პრაქტიკოსის პოზიცია, აღნიშნა, რომ სკოლა ვერც უმაღლესისათვის და ვერც ცხოვრებისათვის ახალგაზრდის მომზადებაში ვერ იჩენს თავს. ამიტომ მისი აზრით, სახალხო განათლების სისტემის ძირეულ რგოლად უნდა ქცეულიყო არა 10, არამედ 11 წლიანი სკოლა. განსახკომის ეს პოზიცია თანდათანობით რეალობად იქცა. 1928-29 წლებისათვის საშუალო სკოლაში გამოშვება არ იყო, ხოლო 1929-30 სასწავლო წლისათვის ცხრაწლიან სკოლას მიუმატეს X კლასი.

მდგომარეობიდან გამოსავალი 20-იანი წლების ბოლოს სხვაც მოიძებნა. კერძოდ, 1930 წლისათვის განხრიანი საშუალო სკოლები რეორგანიზებულ იქნა ტექნიკუმებად და სპეციალურ სასწავლებლებად. ამ ღონისძიებამ, ერთი მხრივ, სკოლა გაანთავისუფლა მისთვის არასპეციფიკური და რთული საქმიანობისაგან, ხოლო მეორე მხრივ, საკუთრივ თვითონვე შექმნა საფუძველი სახალხო მეურნეობისათვის მაღალკვალიფიციური კადრის აღზრდისათვის.

---

1 უშ. ოზოლაძე, დასახ. ნაშრომი, I, გვ. 230.

## მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის ძირითადი ტენდენციები 20-იანი წლების საბჭოთა პედაგოგიკასა და სკოლაში

ქართულ საბჭოთა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას თავისი განვითარების პირველი პერიოდისათვის /1921-23 წწ. პირველი სასკოლო სისტემის წლები/ ჯერ კიდევ არ გააჩნდა თეორიულად დამუშავებული და პრაქტიკულად საფუძვლად გამოცდილი აღზრდის, კერძოდ, ესთეტიკური აღზრდის მყარი პრინციპები. ამ მხრივ, გარკვეული, ამასთან ნიშანდობლივი გარდატეხა ხდება უკვე 1924 წლიდან, როდესაც აღმზრდელობითი მუშაობის ფარგლებში საერთო და ესთეტიკურმა აღზრდამ კერძოდ მნიშვნელოვნად წა-იწია წინ, თუმცა საბოლოო სრულ მეთოდოლოგიურ ნიადაგზე იგი მხოლოდ 30-იანი წლებიდან დადგა.

1921-23 წლებში შემუშავებულ ძირითად სასკოლო დოკუმენ-ტაციაში ჯერ კიდევ მხოლოდ ზოგადად იყო მოხაზული სასკოლო აღზრდის მიზან-ამოცანები და მისი განხორციელების გზები. მომდევნო 1924-25 წლებში კი, როგორც უკვე ითქვა, უფრო კონ-კრეტდება კომუნისტური აღზრდის საერთო შინაარსი, ზუსტდება მისი განხორციელების ძირეული ასპექტები.

საგულისხმოა, რომ ახალი სასწავლო-აღმზრდელობითი სის-ტემის აგებას საქართველოს სსრ განსახკომი ძველი სკოლის მკაცრი კრიტიკით იწყებდა და მუშაობის მიზნად ყოველმხრივ ჰარმონიულად, თავისუფლად განვითარებული თაობის აღზრდას აცხადებდა[1].

განსახკომის რესპუბლიკის აზრით, ახალი სკოლა მიზნად ისახავდა მოზარდი თაობის ყოველმხრივ: გონებრივ, ფიზიკურ-მორალურ, ესთეტიკურ აღზრდას. საამისოდ უდიდესი მნიშვნელობა

ეძლეოდა. ბავშვთა თვითმოქმედებას, შრომით წრთობას, ფიზიკურ ვარჯიშს, ხელგარჯილობას, თამაშს და ა.შ.

განსახკომის მიერ შემუშავებულ პირველ სასწავლო პროგრამებში ყურადღება უმეტესწილად გადატანილია შრომის, თამაშის, ფიზიკური და ესთეტიკური აღზრდის ფართოდ გაშლაზე, უფრო მეტიც, პროგრამათა ავტორების აზრით, ახალი სკოლა და მის წინაშე მდგომი ამოცანები საერთოდ ვერ განხორციელდება ხატვა-ძერწვის, მუსიკა-გალობის, ხელგარჯილობის ყველა დარგის, თამაშისა და ტანვარჯიშის გარეშე, აღზრდის საქმეში მათ "ტოლუფლებიან მთავარ ღერძებად" გამოცხადების გარეშე. "ხატვა, ძერწვა, მუსიკა-გალობა, ხელგარჯილობის ყველა დარგი, თამაში და ტანვარჯიშიც ტოლუფლებიანი და თანასწორუფლებიანი საგნებია ახალ სკოლაში მათემატიკა-ისტორიასთან და გეოგრაფია სიტყვა კაზმულთან" /გვ. 11/[1].

რა თქმა უნდა, განსახკომის ეს პოზიცია უდაოდ პროგრესული იყო და მას არ შეიძლება გარკვეული გავლენა არ მოეხდინა ესთეტიკური აღზრდის აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსის შემდგომ სრულყოფაზე. ამასთან აღსანიშნავია, რომ ესთეტიკური აღზრდის შინაარსის წინა პლანზე წამოწევა მარტო სასწავლო პროგრამებს როდი ახასიათებდა. მეთოდურ კრებულში "ბუნება სკოლაში" აღნიშნულია, რომ "ადამიანის პიროვნებისა და ხასიათის გამოწრთობისათვის და მთელი მისი სულიერი ბუნების სათანადოდ გამდიდრებისათვის სრულიად ტოლფასი და ერთმანეთის ტოლუფლებიანად თანშეჩავსებელია, როგორც სულიერი /ხაზგასმა ჩვენია–ი.მ./, ისე ფიზიკური აღზრდა". ამით აიხსნება ის საპატიო და ძირითადი ადგილი, რომელიც ძველი სკოლის ე.წ. "სა-

1 მთლიანი რვაწლიანი შრომის სკოლის პროგრამები, ტფ. 1921, ნაწილი I, გვ. 11.

სწავლო" საგნებთან ტოლუფლებიანად მიკუთვნილი აქვს ახალ სკოლაში, როგორც ხელოვნების სხვადასხვა დარგებს /ხატვა, გალობა, მუსიკა, "პლასტიკა", ძერწვა-ქანდაკება და სხვ./, ისე ერთი მხრივ, ხელგარჯილობასა და სხვადასხვა ხელოსნობას და მეორე მხრივ, ტანვარჯიშს, თამაშს და სპორტს"[1]. მოტანილი აზრი ნათლად აჩვენებს საქართველოს სსრ განსახკომის პოზიციას აღზრდის საქმეში ესთეტიკური აღზრდის ხვედრითი წილის ამაღლების თაობაზე, რითაც ცხადია, ხაზი ესმება ყოველმხრივ ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირებისათვის წარმოებული მუშაობის სწორ მიმართულებას.

საგულისხმოა, რომ განსახკომმა თავისი პოზიციის განხორციელებისათვის ერთგვარად რისკიც კი გასწია, იმდენად რამდენადაც რვაწლიანი სკოლის გეგმებში ზოგადსაგანმანათლებლო საგნების შემცირების ხარჯზე საკმაოდ გაზრდა დრო თამაშის, ხატვის, მუსიკა-გალობისა და სხვა მსგავსი გაკვეთილებისათვის /იხ. ცხრილი 1, გვ. 34/.

თავისთავად განსახკომის ეს პოზიცია ერთგვარად საკამათო იყო, რადგან მასში მთლად სრულყოფილად ვერ ითვალისწინებდნენ გონებრივი შრომის, მეცნიერული ცოდნის დაუფლების სპეციფიკურობას, მის სირთულეებს და გამოდიოდა, რომ ესთეტიკური და გონებრივი განვითარება არასწორად უპირისპირდებოდა ერთმანეთს. გარდა ამისა, მდგომარეობას ართულებდა ის გარემოებაც, რომ დროის მოთხოვნათა შესაბამისად სკოლის მუშაობის მთელი შინაარსი დამყარებული იყო თავისუფალი აღზრდის პრინციპებზე, კერძოდ თვითსწავლაზე, ურთიერთსწავლასა და საერთოდ ხალისიან, ძალდაუტანებელ სასწავლო მუშაობაზე.

ბუნებრივია, რომ თავისუფალი აღზრდის პრინციპების ასე ფართო მასშტაბით კულტივირებამ სწავლების მეცნიერული

---

1. "ბუნება სკოლაში", ნაწ.1, ჟ.9, 1921, გვ.4-5 /საერთო რაოდენობა გვ. 100/.

შინაარსის ნაწილობრივმა იგნორირებამ და აღზრდის ორიენ-ტაციამ ბავშვის პირადი გამოცდილების, გამდიდრების, ემპირიული ცოდნა-ჩვევებით მისი გამდიდრების აუცილებლობის გამოცხადე-ბამ გარკვეული დაღი დაასვა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაო-ბის მთლიანობას, ცალმხრივი და ზედაპირული გახადა იგი.

"ის ძირითადი პრინციპები, რომელთა საფუძველზე ცდილობ-და საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი აეგო სასკოლო მუშაობა 1921 წელს, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგ ოთხ მუხლად:

1/ იმის გამო, რომ აღზრდის ახალი სისტემის ცენტრში დგას ცოცხალი ბავშვი, მისი ბუნებრივი ზრდა და განვითარება, სკოლასა და სკოლისგარეშე წარმოებული მუშაობა მთლიანად, უნდა დაექვემდებაროს ბავშვის, როგორც ბიოლოგიური არსების, ფსი-ქოფიზიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

2/ სკოლაში წამყვანი ადგილი უნდა დაიკავოს ბავშვის ხასიათის აღზრდამ, რაც შეეხება განათლებას, რომელიც აღზრ-დის ერთ-ერთ ფუნქციას, უფრო ზუსტად, მის დანამატს წარმო-ადგენს, იგი უნდა დაექვემდებაროს აღზრდის ამოცანებს და განისაზღვროს იმ ცოდნა-ჩვევებით, რაც ხელს შეუწყობს ბავშვის პირადი გამოცდილების გამდიდრებას.

3/ სკოლასა და ცხოვრებას შორის მტკიცე კავშირი უნდა დამყარდეს. სკოლა ცხოვრებას უნდა შეეზარდოს და ცხოვრება სკოლას, რათა ბავშვმა შეიძინოს ცხოვრებაში ორიენტირების უნარი, შეეგუოს გარემო წრეს.

4/ წიგნი და მასწავლებლისადმი ბრმად მორჩილება, რო-გორც ძველი სკოლის უძრაობის და დოგმატურობის ძირითადი სა-ფუძველი, საბოლოოდ უნდა მოისპოს; ახალ სკოლაში მუშაობა

უნდა დაეფუძნოს არა წიგნის ზეპირობას, არამედ ცხოვრების უშუალოდ შესწავლას, არა მასწავლებლის ავტორიტეტს, გაკვეთილს, სწავლებას, წვრთნას, არამედ ბავშვის გამდიდრებას პრაქტიკული გამოცდილებით ცხოვრებასთან უშუალო კავშირში"[1].

უკიდურესობანი საქართველოს სსრ განსახკომის რეფორმის შინაარსში არსებითად იმის შედეგიც იყო, რომ მისი მუშაკები უკრიტიკოდ იღებდნენ განათლების საქმეთა სახელმწიფო კომისარიატის მიერ შემუშავებულ და რსფსრ-ს ერთიანი შრომის სკოლის დებულებასთან ერთად 1918 წლის 16 ოქტომბერს გამოქვეყნებულ "დეკლარაციას ერთიანი შრომის სკოლის შესახებ". ცნობილია, რომ აღნიშნულ დეკლარაციაში საბჭოთა სკოლისათვის მასალების და საჭირო დებულებების გვერდით შევიდა ისეთებიც, რომლებიც უშუალო კავშირში იყო და გამომდინარეობდა იმდროინდელ, მოდური ბურჟუაზიულ-პედაგოგიური თეორიებიდან, როგორც გ. კერშენშტეინერის, ვ. ლაის, მ. მონტესორის, ჯ. დიუის, ნაწილობრივ პ. ბლონსკისა და სხვათა მოძღვრებებთან. ამის შედეგი იყო სწორედ "თავისუფალი აღზრდის თეორიის "ფართო მასშტაბით გავრცელება. განათლების სახალხო კომისარიატის პოზიცია მაშინ ისეთი იყო, რომ მისთვის მისაღები იყო ყოველივე, რაც ძველ სკოლას უწინააღმდეგებოდა და აღზრდის არა მეცნიერებათა სისტემის დაუფლებას, არამედ პრაქტიკული გზით ბავშვის პირადი გამოცდილების შევსებას ისახავდა. ამიტომაა, რომ მთლიანი რვაწლიანი შრომის სკოლის პროგრამებში პირდაპირაა მითითებული ზემოდასახელებულ ავტორთა შრომების შესწავლის აუცილებლობაზე და აქვე მოდის მათი ნაშრომების თარგმანთა გრძელი სია[2].

---

1. უშ. იზილაძე, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა საბჭოთა საქართველოში, I, თბ., 1981, გვ. 249.

2 მთლიანი რვაწლიანი შრომის სკოლის პროგრამები, ნაწ. I, ტფ. 1921, გვ. 40–49.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ პროგრამების, მეთოდური წერილებისა და ცირკულარების დამუშავება, რომელიც 1921-23 წლებში მოქმედებდა ჯერ კიდევ ორიოდე წლით ადრე, კერძოდ, 1918 წლისათვის დაიწყო. ამ საქმით მაშინ შესაბამისი კომისიები იყო დაკავებული. სწორედ ამ პერიოდისათვის "თავისუფალი აღზრდის თეორიას" დიდი გასაქანი ჰქონდა საქართველოში.

1921 წლიდან, მას შემდეგ, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა ზემოაღნიშნული კომისიების მუშაობა უკვე სხვა გზით წავიდა; კერძოდ, მათგან მოითხოვდნენ, კონკრეტი დაემყარებინათ რსფსრ-ს განსახკომთან და მის მიერ მიწოდებული მასალით ემუშავათ. ასევე მოხდა, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნე, ვერც ეს მასალა იყო დაზღვეული ნაკლოვანებებისაგან და ბუნებრივია, ვერც მის მიხედვით წარმოებული მუშაობა იქნებოდა უნაკლო, ამასთან ესთეტიკური აღზრდის მესვეურები, ცხადია, გულგრილნი ვერ დარჩებოდნენ "თავისუფალი აღზრდის" თეორიის ისეთი დებულების მიმართ, როგორიც იყო – სწავლებაში ემოციური აქტივობის წამყვანი როლი, ბავშვის თვითმოქმედების განვითარება, სწავლაში ხალისიანობის, შემოქმედებითი უნარების გამოვლენის, ჰარმონიული განვითარებისა და სხვა მსგავსი საკითხები. ბუნებრივია, ყოველივე ეს განათლების სისტემის მაშინდელი მესვეურებისათვის კარგი იარაღი იყო ძველი რუტინული სკოლის დასანგრევად, მაგრამ სიძველეში დადებითი მოვლენების შემჩნევა აღარავის უცდია, რითაც, ცხადია, მეორე უკიდურესობაში გადავიდნენ.

საქართველოს სსრ განსახკომის ამგვარი პოზიცია, რომელსაც 1923 წლის ჩათვლით არსებითი ცვლილება არ განუცდია, თავის გავლენას ახდენდა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ყველა მხარეზე, კერძოდ, მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდაზეც, უფრო

სწორედ კი ამ მიზნით ნაკარნახევ სასწავლო პროგრამებისა და მეთოდური გამოკვლევების შინაარსზე.

1921-1923 წლებში სულ ორჯერ იქნა გამოცემული დაწყებითი კლასების საგნობრივი პროგრამები. ამათგან პირველი უფრო ვრცელი იყო, რადგან მოიცავდა ყველა საგნის პროგრამას საკუთარი განმარტებითი ბარათებითურთ. რაც შეეხება 1923 წლის პროგრამებს, ისინი გადამუშავდა და შეიცავდა მხოლოდ ბუნების /ბუნებისმეტყველების მაშინდელი სახელწოდება/, სამშობლოს აღწერის, გეოგრაფიის, საზოგადოებათმცოდნეობის და მათემატიკის პროგრამებს. როგორც პირველ, ასევე მეორე გამოცემაში გატარებული იყო საქართველოს სსრ განსახკომის ერთ-ერთი ძირეული მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც რეალური სკოლის სასწავლო გეგმით ნაკარნახევი საგნების სწავლება მჭიდრო კავშირურთიერთობაში უნდა წარმართულიყო, თუმცა ცალკეული საგნები თავის უფლებაში რჩებოდა. "...პროგრამაში", - წერდნენ შემდგენლები, - "ახალი სკოლის კიდევ ერთი მოთხოვნილება ხაზგასმით გატარებული: ყველა სასკოლო საგნის სწავლება ერთმანეთთან მჭიდროდ გადაბმული /ხაზგასმა ავტორებისაა - რ.მ./ და ერთმანეთისათვის ყოველმხრივ გამოყენებული: ძერწვა, ხატვა, თამაში, გალობა, ენა, ანგარიში, ბუნება, ხელგარჯილობა და სხვ. მაგალითად ბუნება -გეოგრაფიისათვის და ხატვა ხელგარჯილობა ენის სწავლებისათვის და ბუნებისათვის, ბუნება და ენის სწავლება, ხატვა ხელგარჯილობისათვის და სხვა"[1].

1921-1923 წლებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი კლასების სასწავლო გეგმას შემდეგი სახე ჰქონდა:

---

1 მთლიანი რეალური შრომის სკოლის პროგრამები, ნაწ. I, 1921, გვ. 14.

ცხრილი N 1

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| 1. ქართული ენა | | 5 | 5 | 5 |
| 2. გეომეტრია და ანგარიში | | 5 | 5 | 4 |
| 3. თამაში და ტანვარჯიში | საბავშვო ბაღი | 2 | 2 | 2 |
| 4. ბუნება | | 3 | 3 | 3 |
| 5. ხატვა | | 2 | 2 | 2 |
| 6. მუსიკა-გალობა | | 2 | 2 | 2 |
| 7. ხელგარჯილობა | | 2 | 2 | 2 |
| 8. გეოგრაფია | | - | 2 | 2 |
| საათების ჯამი | - | 24 | 22 | 22 |

სასწავლო გეგმის ანალიზი ადასტურებს, რომ საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს კარგად ჰქონდა შეგნებული დაწყებით სკოლაში ესთეტიკური აღზრდის მნიშვნელობა და ამიტომაც ამ მიზნით ნავარაუდევი საგნების სწავლებას დროის საკმაოდ დიდი ოდენობა ეთმობა.

ამ თვალსაზრისით 1921-23 წლების სასწავლო გეგმა დაწყებითი კლასებისათვის ბევრად უფრო პროგრესული იყო, ვიდრე მომდევნო ათწლეულების პროგრამები. სხვა საკითხების გვერდით მათში დიდი ყურადღება ექცევა ესთეტიკური აღზრდისა და საგანთა შორის კავშირის განხორციელებას. მაგალითად, დედა-ენის მასწავლებლებს პროგრამა ავალებდა – ხატვით, ძერწვით, გამოჭრა-დაწებებით, კონტურების გამოყენებითა და დაშტრიხვით ბავშვები თანდათანობით შეემზადებინა წერითი მოქმედების ჩვევების ასათვისებლად. საკუთრივ ენის შესწავლისას საჭირ-

ჯიშიც ირჩეოდა XIX ს-ის ბოლო პერიოდის საუკეთესო ქართული მოთხრობები, პოემები, კლასიკური და ხალხური ლექსები, ზღაპრები, არაკები და ლეგენდები. ამასთან პროგრამა ითხოვდა, რომ შერჩეული მასალა მოსწავლეს მისცემოდა შემოქმედებითად, თავისუფლად, რათა მათში ფაქიზი გრძნობები აღეძრა. მოსწავლეებს ევალებოდათ მოთხრობების შედგენა სურათის მიხედვით, მოქმედ პირთა შესახებ საკუთარი დამოუკიდებელი მოთხრობების შედგენა. ასეთი მუშაობა, ცხადია, გარკვეულად ეხმარებოდა და წინ სწევდა მოსწავლის მხატვრულ-ესთეტიკურ აზროვნებას, ავარჯიშებდა და ავითარებდა მას.

აღსანიშნავია, რომ 1921 წელს გამოცემული სასწავლო პროგრამის ძირითად მოთხოვნებს ესთეტიკური აღზრდის მნიშვნელობის შესახებ და სასწავლო პროგრამებში მათი რეალიზაციის თანმიმდევრობას შორის გარკვეული წინააღმდეგობა და შეუთანხმებლობა შეინიშნება. საქმე იმაშია, რომ პროგრამების განმარტებითი ბარათი ნათლად ითხოვს სკოლაში სხვა საგნებთან ერთად თანაბარი უფლება მიენიჭოს ხატვას, ძერწვას, მუსიკასა და გალობას. ეს მოთხოვნა კი შემდეგ სასწავლო პროგრამებში რეალიზებული არ არის- კერძოდ, ირიბად სიტყვითაა მოცემული მოსაზრებანი, თუ როგორი შინაარსისა უნდა იყოს ესთეტიკური აღზრდა საერთოდ. პროგრამის ავტორთა აზრით, "ხატვა, თიაქმის როგორც თამაში, მჭიდროდ და ყოველმხრივადაა ჩაქსოვილი ბავშვის ცხოვრებაში და მისი აღმზრდელობითი მნიშვნელობის მტკიცება ზედმეტია"[1], /გვ. 28/.

ხატვის პროგრამაში მითითებული იყო, რომ დაწყებითი სასკოლო ასაკის ბავშვისათვის უფრო მისაწვდომია ხატვა თავისუფალ თემაზე. პროგრამის შემდგენლების აზრით, ბავშვმა ის

-----------

1 მთლიანი რვაწლიანი შრომის სკოლის პროგრამები, ნაწ. I, გვ. 28.

უნდა ხატოს, რაც მას სურს. გარდა თავისუფალი ხატვისა, მათ აზრით, ბავშვი უნდა მუშაობდეს მოგონებით, მეხსიერებით და დამსურათებელ ნახატზე. პროგრამა მიიჩნევს, რომ მოდელის ან ცოცხალი ბუნების ხატვა დაწყებით სასკოლო ასაკში ნაადრევია და არც უნდა დაინერგოს. საინტერესოა პროგრამის შემდგენელთა დამოკიდებულება სახატავი მასალებისადმი. ამ უკანასკნელის ჩამონათვალი საკმაოდ ფართოა. კერძოდ, რეკომენდებულია ფანქარი, ცარცი, საღებავები. ამასთან პროგრამაში ზოგადად იყო მითითებული ხატვაში მუშაობის ძირითად სახეებზე და ამით მთავრდებოდა. ამასთან პროგრამა მასწავლებელს ურჩევდა, გამოეყენებინათ მ. მონტესორის მიერ შემოტანილი ე.წ. კონტურული ხატვა[1], რასაც მათი აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ მოსწავლეს ხელი უმაგრდება ფანქრის ხმარებაში. ხოლო კონტურული ნახატის გაფერადებით ბავშვებს უვითარდებათ საგნის ფორმათა ძირითადი ელემენტების დანახვისა და ფერის ესთეტიკური შეგრძნების უნარი.

გარკვეულ ინტერესს ესთეტიკური აღზრდის თვალსაზრისით იმსახურებს პროგრამა ხელგარჯილობაში, თუნდაც იმიტომ, რომ მასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ძერწვის საკითხები. საგულისხმოა, რომ ხელგარჯილობასა და ძერწვაში ფართოდ უნდა გამოეყენებინათ მუყაო, ქაღალდი, თიხა, წებო, საღებავები, კვერცხის ნაჭუჭი, თოკი, ფოთლები, ყვავილები, ჩხირები, მცენარეთა თესლები და ა.შ. ხელგარჯილობაში მუშაობა რეკომენდებული იყო კოლექტიური ან ინდივიდუალური სახით მასწავლებლის დახმარებით ან უმისოდ. სხვა კონკრეტულ საკითხებზე საუბარი პროგრამებში არ არის. კიდევ უფრო ძუნწადაა წარმოდგენილი პროგრამაში სიმღერა-გალობის სწავლების საკითხები.

---

1 მთლიანი ჩვაწლიანი შრომის სკოლის პროგრამები, ნაწ. I, გვ. 26-29.

კერძოდ, მასში ნათქვამია, რომ ამ ასაკში 5–10 წუთზე მეტი ზედიზედ გალობა, ბავშვებისათვის მავნებელია, აგრეთვე მავნებელია სიარულის დროს გალობა, როგორც ეს სიმღერიდან თამაშობებშია შემოღებული, მეტადრე, თუ ეს თამაში მტვრიან დარბაზში წარმოებს და არა ეზოში. სიმღერების ტექსტი უნდა იყოს მოკლე, მარტივი და შინაარსით ასაკის სათანადო, ე.ი. სრულიად ელემენტარული, კონკრეტული და ყოვლად უტენდენციო"[1]. ბუნებრივია, სიმღერის სწავლება აქ საკმაოდ მარტივ პროცესადაა წარმოდგენილი და ამ სახით გაგებული მისი შინაარსი არცთუ საჭიროებით მისაღები დღევანდელი თვალსაზრისით, მაგრამ თავის დროზე მას უსათუოდ ჰქონდა გარკვეული დადებითი მნიშვნელობა. ბოლოს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 20-იანი წლების მანძილზე ხატვისა და მუსიკის სწავლების პროგრამების უკეთესი ვარიანტები თითქმის აღარც შექმნილა. მან მხოლოდ ზოგიერთი არაარსებითი ხასიათის ცვლილება განიცადა.

პროგრამის ავტორები საგანგებოდ ჩერდებიან და შესაბამის ყურადღებას მიაპყრობენ საბავშვო ბაღში მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის საქმეს. "ძველ სკოლაში", აღნიშნავენ ისინი, – "აღზრდის ეს მხარე ძირითად საგნების რიცხვმეტად შემოღებული 2–3 მესამეს: ახლოვან გაკვეთილამდის იყო შეზღუდული ახალ სკოლაში კი... აღზრდის ამ მხარისათვის ჭანიშნულ საგნებს გონივრული აღზრდის საგნებთან საჭიროებით ტოლფასოვანი და ტოლმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ"[2].

----------------

1 მთლიანი რვაწლიანი შრომის სკოლის პროგრამები, ნაწ. I, ტფ. გვ. 29–30.

2 მთლიანი ე წლიანი შრომის სკოლის სასწავლო გეგმები და პროგრამები, ტფ. 1921, I, გვ. 30.

ავტორთა აზრით, ახალ სკოლაში მის პირველსავე საფეხურ-ზე ანუ საბავშვო ბაღის დონეზე, სწორედ ესთეტიკური აღზრდა უნ-და იყოს წამყვანი აღზრდის სხვა ფორმებს შორის, რადგან ეს ასაკი ჩვეულებათა ჩანერგვისა და პიროვნების ჩამოყალიბების ასაკია [1].

პროგრამის ავტორთა აზრით, საბავშვო ბაღში ესთეტიკური აღზრდის განხორციელების შემდეგი ძირითადი გზები არსებობს:

1. ბუნება მთელი თავისი მრავალფეროვნებით. ამასთან, მათი აზრით, ამ ეტაპისათვის სრულიად გამოუსადეგარია აღზრ-დელის, პედაგოგის საუბარი ბუნების მშვენიერების გარშემო, რადგან მოზრდილისა და ბავშვის გრძნობა-აღქმის ასპექტში დიდი განსხვავებაა, შესაბამისად განსხვავებულია მშვენიერე-ბის საზომიც და შესაძლოა, უფროსმა ბავშვს თავს მოახვიოს მისთვის გაუგებარი, მიუწვდომელი არაესთეტიკური შთაბეჭდილე-ბები.

2. მუსიკა-ძერწვა და ხატვა. ამ უკანასკნელში, პროგრამის ავტორთა აზრით, ძირითადია ფერთა მრავალგვარობა. რაც შეეხება ფორმებს, ამ ასაკისათვის უმჯობესია დიდი მასშტაბით დახატული მარტივი გეომეტრიული ნაკვთები: წრე, სამკუთხედი და სხვ. იმ პირობით, რომ ისინი სხვადასხვა ფერით უნდა შეიღებოს.

3. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე კედლებს სათა-ნადო სიმარჯვის სურათებით და ოთახის გემოვნებით, ყვავილე-ბის საშუალებით მორთვას. პროგრამის ავტორები თვლიან, რომ ღარიბ-ღატაკთა ოჯახებიდან მოსული ბავშვებისათვის ლამაზად და სადად მორთული ოთახი ესთეტიკური სიამოვნების უმთავრესი წყარო იქნებოდა.

4. მასწავლებლის მხატვრული თხრობა.

---

1 მთლიანი 8 წლიანი შრომის სკოლის სასწავლო გეგმები და პრო-გრამები, ტფ. 1921, I, გვ. 20.

პროგრამის ავტორთა აზრით, მასწავლებელმა უხვად უნდა მიიტანოს მოსწავლეებამდე საინტერესო ამბები, ზღაპრები, თქმულებები, ესაუბროს მათ გმირების განცდებსა და თავგადასავალზე. ამასთან, მათი აზრით, მასწავლებლის ხმამაღალი კითხვა ამ ასაკისათვის სასურველი არაა.

20-იან წლებში და უფრო გვიანაც გავრცელებული ტრადიციის მიხედვით, ესთეტიკური აღზრდის ძირითად საშუალებად სკოლაში ხატვა, სიმღერა-გალობა და ნაწილობრივ ხელგარჯილობა გაიხილებოდა. დედაენასა და ლიტერატურას ეს ფუნქცია ჯერ კიდევ არ ეკისრებოდა, თუმცა მათი სწავლების პროცესში ესთეტიკური აღზრდის ელემენტი დავიწყებული არასოდეს ყოფილა.

1921 წლისათვის შედგენილ ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამებში[1], I-IV კლასებისათვის ძირითადი ყურადღება გადატანილი იყო ენობრივი ხასიათის ამოცანებზე, სიტყვის მარაგის გამდიდრება, მკაფიო, გამომეტყველებითი კითხვა და ლამაზად წერის უნარის გამომუშავება. V კლასიდან კი ამ მოთხოვნებს ემატებოდა ლიტერატურულ-მხატვრული ანალიზის საკითხები. VII კლასებიდან პროგრამული ერთის დიდი ნაწილი ეთმობოდა ლიტერატურის კითხვას. საგულისხმოა, რომ საანალიზო მასალად V-VI კლასებში უპირატესად ხალხური სიტყვიერების ნიმუშები /იგავ-არაკები, ლეგენდები, ლექსები, პოემები და ა.შ./ გამოიყენებოდა, თუმცა შესაძლებლად იყო მიჩნეული ზოგიერთი თანამედროვე მწერლობის ნიმუშის შესწავლაც. VII-VIII კლასების პროგრამებში, როგორც უკვე ითქვა, დიდი ყურადღება ჰქონდა დათმობილი მხატვრული ლიტერატურის კითხვას, მისი საუკეთესო ნიმუშების გაცნობას, იდეურ-თემატურ და მხატვრულ ანალიზს. ამავე პერიოდში შეისწავლებოდა პოეტიკის სიტყვიერების და საერთოდ ლიტერატურის

---

1. 1922 წლამდე დედაენა და ლიტერატურა შერწყმულად ისწავლებოდა ერთ საგნად და სასწავლო გეგმაშიც ამ სახით იყო წარმოდგენილი.

თეორიის ზოგიერთი საკითხი. პროგრამის შემდგენელთა აზრით, VII-VIII კლასების მოსწავლეებს წარმოდგენა უნდა ჰქონოდა ეპითეტის, ნოველის, მოთხრობის, პოემის, ელეგიის, დრამის თუ სხვათა ჟანრის შესახებ.

ლიტერატურის სწავლების პროგრამა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ხელოვნების ხალხურობის პრინციპის დაცვასა და მის გააზრებას. ამისი რეალიზებისათვის ძირითად გზად ცალკეული ნიმუშების ისტორიზმის პრინციპის საფუძველზე შესწავლა იყო მიჩნეული. პროგრამა განსაკუთრებულად ხაზს უსვამდა ლიტერატურული ნიმუშების მხატვრული ანალიზის აუცილებლობას. "მხატვრული ნაწარმოების გაცნობას მხოლოდ მაშინ აქვს განმავითარებელი და ესთეტიკური, საზოგადოებრივ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა, როცა მოწაფე პირდაპირ, უშუალოდ განიცდის მის სტილს, ფორმას, მთელი შინაარსისა და მხატვრული იდეის მთლიან გავლენას, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ნაწარმოების გაცნობა შეერთებულია მისი ტექსტის კითხვასთან შესაფერისი ახსნით და სტილისტიკურ-ისტორიული კომენტარებით.

ერთი სიტყვით, თვით ნაწარმოებთა პირდაპირი გაცნობა და არა მხოლოდ განყენებული მსჯელობა და საუბარი მათ შესახებ, ასეთია ძირითადი დიდაქტიკური დებულება, რომელსაც გულისხმობს ქართული სიტყვიერების წინამდებარე პროგრამა"[1].

საგულისხმოა, რომ სხვა ტიპის სკოლებისათვის შედგენილი ლიტერატურის პროგრამაშიც არც ერთი კლასი არ იყო დარჩენილი შესაბამისი მხატვრულ-ესთეტიკური ამოცანების გარეშე. უკვე პირველივე კლასიდან /სოფლურ-კომუნური ტექნიკუმები/, ყურადღება მახვილდებოდა ისეთ თემებზე, როგორიცაა მხატვრული ლიტე-

------------

1 სოფლურ-კომუნური ტექნიკუმების სასწავლო გეგმა და პროგრამები, ტფ. 1921, გვ. 7-8.

რატურის მნიშვნელობა, ხალხური სიტყვიერებისა და მხატვრული ლიტერატურის მიმართების საკითხები. ქართული მწერლობის ადრეული ხანის /V–XIII/ მიმოხილვითი ანალიზი, ნათარგმნი ლიტერატურა XIX ს-ის მწერლობის ზოგიერთი ნიმუში და ა.შ.

მეორე კლასიდან აქცენტი გადადიოდა ძველი ქართული ლიტერატურის კლასიკური პერიოდის უფრო ღრმა შესწავლაზე, კერძოდ, ეპოქის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ მიმოხილვაზე. პროგრამა ითხოვდა შესწავლილიყო ჩახრუხაძის, შოთა რუსთაველის, შემდგომ კი XVII–XVIII ს-ის ქართული ლიტერატურის, კერძოდ, თეიმურაზის, ვახტანგ VI, ბესიკის, სულხან-საბა ორბელიანის, დ.გურამიშვილისა და სხვათა შემოქმედება ზოგიერთ თანამედროვე ნაწარმოებთან პარალელურად. აქვე უნდა განხილულიყო სიტყვიერების თეორიის ცალკეული საკითხები.

მესამე კლასისათვის ნავარაუდევ პროგრამებში ძირითადი ყურადღება ეთმობოდა XIX ს-ის ქართული ლიტერატურის შესწავლას. პროგრამა ითხოვდა, მოსწავლეები გასცნობოდნენ ეპოქის სოციალურ-კულტურულ ვითარებას და ამ ფონზე გამოეკვლიათ ალ.ჭავჭავაძის, გრ.ორბელიანის, ნ.ბარათაშვილის, გ.ერისთავის, ი.ჭავჭავაძის, ა.წერეთლის და სხვათა შემოქმედების ძირითადი საკითხები.

მეოთხე კლასის პროგრამაც არსებითად XIX ს-ის ლიტერატურას უთმობდა, თუმცა აქ უკვე საკმაო სიღრმით შეისწავლებოდა გ.წერეთლის, ალ.ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას, ე.ნინოშვილის, დ.კლდიაშვილის შემოქმედება. პროგრამაში საკმაო ყურადღება უნდა დასთმობოდა "შრომის პოეზიას", გლეხების ცხოვრების თემას.

პროგრამის მეორე ნახევარში უკვე შეტანილი იყო XX ს-ის

პირველი მეოთხედის მხატვრული ლიტერატურის ზოგადი მიმოხილვა და მითითებული იყო, შესაძლებლობის ფარგლებში, ლიტერატურული კრიტიკისა და ლიტერატურულ-ფილოლოგიური ხასიათის გამოკვლევათა შედეგად მიღებულ უმთავრეს მიღწევათა გაცნობის მიზანშეწონილობაზე.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის უფროსი კლასების და სოციალურ-ჰუმანური ტექნიკუმების პირველ-მეოთხე კლასებისათვის შედგენილი ეს პროგრამები უდაოდ წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ახალ ქართულ საბჭოთა სკოლაში მშობლიური ლიტერატურის სწავლების სისტემის მოწესრიგების გზაზე. იგი პასუხობდა დროის მოთხოვნებს, ალბათ ამიტომაც იგი გავლენას ახდენდა მოზარდი თაობის ზნეობრივ-ესთეტიკური ფორმირების პროცესზე, მაგრამ ისიც ცხადია, რომ პროგრამები დაზღვეული არ იყო გარკვეული ნაკლისაგან.

ეს უკანასკნელი იმაში ვლინდებოდა, რომ უპირველეს ყოვლისა დაცული არ იყო თანმიმდევრობა ქართული ლიტერატურის განვითარების სხვადასხვა პერიოდს შორის. ამასთან, ლიტერატურული ნაწარმოების შესწავლისას ყურადღება უმეტესწილად გადატანილი იყო ეპოქის სოციალ-პოლიტიკური მოვლენების ანალიზზე, ხოლო მისი ესთეტიკური და მხატვრული მხარე ხშირად შეუმჩნეველი რჩებოდა. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ხშირად აყალიბებდა მშობლიური ლიტერატურის, როგორც სასწავლო დისციპლინის, საგანმანათლებლო, აღმზრდელობით და მხატვრულ-ესთეტიკურ ღირებულებას, ხშირად მიუთითებდა საგნის სწავლების გზებსა და საშუალებებზე, თვით მიზანსის რეალიზება ყოველთვის თანმიმდევრული და მიზანშეწონილი ვერ იყო. ეს კი იმაში ვლინდებოდა, რომ პროგრამაში ლიტერატურის ცალკეული ძეგლები, მწერლების გვარები და ნაწარმოებები მითითებული იყო ზოგადად, გარ-

კვეთილი პრინციპისა და ლოგიკის გარეშე.

მშობლიური ლიტერატურის სასწავლო პროგრამა იზიარებდა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში იმ დროს გაბატონებულ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ყოველი მწერლის შემოქმედება უსათუოდ რომელიმე ლიტერატურული მიმდინარეობის გავლენის ფონზე უნდა განხილულიყო. ასეთი ტენდენცია კი ორიგინალურ ქართულ ლიტერატურას თვითმყოფად სახეს უკარგავდა და მისი შეფასების არასწორ სტერეოტიპს ამკვიდრებდა.

1924–1925 სასწავლო წლიდან მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლებაში უკვე შესამჩნევი ცვლილებები ხდება. ეს მოვლენა, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებული იყო სწავლებაში კომპლექსური მეთოდების შემოტანასთან. საქართველოს სსრ განსახკომში გაკრიტიკებული კომისიის ფარგლებში შეეცადა ენობრივი და ლიტერატურული მასალა შეეზავებინა და ერთიან კომპლექსურ თემაში წარმოედგინა. ცხადია, ასეთმა ხელოვნურმა ღონისძიებამ ერთგვარი არევ-დარევა შეიტანა ლიტერატურის საშუალებით მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის სისტემის ჩამოყალიბების საქმეშიც. შვიდწლიანი სკოლის პროგრამებში, რომელიც 1925 წლისათვის გამოიცა, ლიტერატურული მასალა დაჯგუფებული იყო ისეთი კომპლექსური თემების ირგვლივ, როგორიცაა სოციალური ურთიერთობა ბატონყმობის დროს, სოციალური ურთიერთობა ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, სოციალური ურთიერთობა კაპიტალიზმის დროს და ა.შ. ცხადია, ამ კომპლექსში წარმოდგენილი ლიტერატურული მასალის ანალიზი ესთეტიკური ხარისხისა ვერ იქნებოდა. ამიტომ ერთგვარი უხერხულობის დასაძლევად პროგრამის ავტორებს უცდიათ ლიტერატურული მასალის ნაწილი გაეერთიანებინათ ისეთი თემების ირგვლივ, როგორიცაა: საქართველოს ბუნება პროზასა და პოეზიაში, საქართველოს ბუნება და ხალხის ყოფა, ომებისა და ბრძო-

ლის სურათები, საკაცობრიო მოჯივები ქართულ ლიტერატურაში და სხვა[1].

VIII კლასის პროგრამა მთლიანად ფოლკლორის შესწავლას გეგმავდა და მოითხოვდა, რომ ხალხური შემოქმედების თემატიკა განხილული ყოფილიყო კლასიკური ნიმუშების თემასთან კავშირში. ამგვარი მიდგომა არასწორი იყო, რადგან პროგრამაში არსებითად აღარ მოიძებნებოდა ადგილი ძველი პერიოდის კლასიკური მემკვიდრეობის შესწავლისათვის.

IX კლასებში პროგრამა XIX ს-ის ლიტერატურის შესწავლის აუცილებლობის თვალსაზრისზე იდგა. ამასთან აქ შესასწავლი მასალა ჯგუფდებოდა შემდეგ კონკრეტულ თემებში: "გლეხი და მუშა, და კლასთა შორის ბრძოლა ჩვენს მწერლობაში", ჭმუნვა და სევდა მწერლობაში, გამოწვეული საქართველოს პოლიტიკურ-სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობით, "კაპიტალისტური წესწყობილებისაკენ მიდრეკილება ჩვენი ცხოვრებისა, გამოხატული ჩარჩ-ვაჭრების სახით". აქვე მოიპოვება უფრო სპეციფიკურ-ლიტერატურული თემატიკა, მაგალითად: "სატირა ჩვენს მწერლობაში", "ბუნება ჩვენს მწერლობაში," "მსოფლიო ჰანგები ჩვენს მწერლობაში" და ა.შ.

აშკარაა, რომ ლიტერატურულ ნაწარმოებთა ამგვარი პროგრამული დალაგება და შესწავლა ბევრს ვერაფერს შესძენდა მოსწავლის მხატვრულ-ესთეტიკურ გემოვნებას. ამას ის გარემოებაც ემატებოდა, რომ პროგრამის მიხედვით ლიტერატურული ნაწარმოების ანალიზის საფუძვლად სოციოლოგიური მიდგომა მიიჩნეოდა.

პროგრამა პირდაპირ ითხოვდა, რომ ლიტერატურის შესწავლისას "ესთეტიკურ კრიტიკასთან" ერთად უსათუოდ "წმინდა სოციოლო-

---

1 შვიდწლიანი შრომის სკოლის პროგრამები /მეორე საფეხურის პირველი კონცენტრი, V, VI, VII ჯგუფები /თბ., 1925 წ. გვ.73-79.

გიურ მეთოდს"[1] დამყარებოდნენ. ცხრაწლიანი სკოლის პროგრამებში კი უფრო კატეგორიულადაა მითითებული ლიტერატურის სწავლებაში "ევოლუციური და სოციალური მეთოდის"[2] გამოყენების აუცილებლობაზე, სავალალო ისაა, რომ პროგრამები მასწავლებელს არ განუმარტავდა, თუ რა უნდა ეგულისხმა მას ამ მეთოდის ქვეშ. ბუნებრივია, როგორიც არ უნდა ყოფილიყო მეთოდის შინაარსი, იგი, ცხადია, შორს იქნებოდა ნაწარმოების ესთეტიკური ღირებულების ჭეშმარიტი ანალიზიდან.

1928 წლისათვის გამოცემულ ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო პროგრამაში უმთავრეს მიზნად მეტყველების განვითარება იყო გამოცხადებული.

საამისოდ, პროგრამის ავტორთა აზრით, პედაგოგს საგანგებო ზრუნვა ესაჭიროება, რათა შეძლებს მიაღწიოს:

1. მოსწავლეებს სიტყვათა მარაგი გაუმდიდროს,
2. ტერმინების ხმარებაში სიზუსტესა და მკაფიობას შეაჩვიოს,
3. დაწყობილი მსჯელობის ჩვევა შეუქმნას[3].

ცოტა ქვემოთ პროგრამის ავტორები წერენ, რომ ლიტერატურის შესწავლას, გარდა აღნიშნულისა სხვა მნიშვნელობაც აქვს, მათ შორის კი არის "ლიტერატურის შესწავლა (ლიტ. ნიმუშების სოციოლოგიური და ესთეტიკური ანალიზი)"[4]. მათი აზრით, შვიდწლედდამთავრებული მოსწავლე უნდა ერკვეოდეს ისეთ საკითხში, როგორი-

---

1 შვიდწლიანი სკოლის პროგრამები, 1925, ტფ., გვ. 73.

2 ცხრაწლიანი სკოლის პროგრამები, ტფ., 1925, გვ. რ.

3 მთლიანი შრომის სკოლის პროგრამები და მეთოდური წერილები. მეორე საფეხურის პირველი კონცენტრი, V, VI და VII ჯგუფი, ტფილისი, 1928, გვ. 1.

4. იქვე, გვ. 2.

და "პოეტიკის ელემენტები /პოეზიის ჟანრები ან ჟანრების სახეები, პოეტური, მხატვრული მეტყველების ხერხები, ლექსის, მხატვრული პროზისა და მეცნიერული ხასიათის ნაწარმოებთა დამახასიათებელი თვისებები/. ლიტერატურული ნაწარმოების შესაფასებლად მას საკმაოდ უნდა ჰქონდეს განვითარებული მხატვრული გემოვნება"[1], დასახული მიზნის მიღწევას პროგრამის ავტორები ლიტერატურული ნიმუშების სოციოლოგიური ანალიზებით ვარაუდობდნენ "ლიტერატურული ფაქტის გაგებისათვის, - წერდნენ ისინი, - საჭიროა ეპოქის სოციალ-ეკონომიკური და კულტურული ფონის მოხაზვა და პირიქით, ლიტერატურული სახეების შეთვისება სოციოლოგიურად აღძრავს საზოგადოებრივი ურთიერთობისა და კლასთა ბრძოლის შეგნებას. საზ. მეცნიერება და ლიტერატურა ხელიხელჩაკიდებული უნდა მიისწრაფოდნენ ცხოვრების შერევნებისაკენ პარალელური გზით...: ლიტერატურული მოვლენების ანალიზი სოციოლოგიურ-მარქსისტული თვალსაზრისით უნდა წარმოებდეს, როგორც შინაარსის, ისე ფორმების მხრივ: ლიტერატურა, როგორც სოციალ-ეკონომიური, კლასობრივი ურთიერთობის მეტად რთული ანარეკლი"[2].

ამ პოზიციიდან დანახული ლიტერატურის ნიმუშებიდან სასწავლო პროგრამაში /V-VI -VII ჯგუფები/ შეტანილი იყო მხოლოდ ისეთები, რომელთაც გარკვეული სოციალური სიმწვავე და ჟღერადობა გააჩნდათ.

V ჯგუფისათვის ნავარაუდევ პროგრამაში შეტანილი იყო ლიტერატურული ნაწარმოებები, რომლებიც ასე თუ ისე ეხმაურე-

-----------

1 მთლიანი შრომის სკოლის პროგრამები და მეთოდური წერილები. მეორე საფეხურის პირველი კონცენტრი, V, VI და VIII ჯგუფი, ტფილისი, 1928, გვ. 2.

2 იქვე, გვ. 3.

ხიდნენ ქალაქის ან სოფლის ცხოვრებას. VI კლასისათვის ნავარაუდევი იყო მასალა დაკავშირებული კაპიტალიზმის მეშოვრასა და ნატურალური მეურნეობის რღვევასთან, კლასთა ბრძოლისა და სოციალური ურთიერთობების საკითხებთან. ხოლო VIII კლასისათვის ყურადღება მახვილდებოდა კაპიტალიზმის პირობებში ეროვნული ჩაგვრის, კლასთა ბრძოლის გამწვავების და რევოლუციის საკითხებზე, ჩვენს მწერლობაში მეოჭრილ საკაცობრიო პრობლემებზე და ადამიანის პიროვნების ბედზე მისი ბატონყმური ურთიერთობის პირობებში.

პროგრამებს თან ერთვოდა კლასგარეშე საკითხავი მასალა მსოფლიო ლიტერატურიდან შედგენილი იმავე პრინციპების მიხედვით, რომელიც საფუძვლად ედო ძირითად კურსს.

როგორც ჩანს, აღნიშნულმა პროგრამამ საქართველოს განსახკომის იმედი ვერ გაამართლა, რადგან აშკარა გახდა, რომ მშობლიური ლიტერატურის სწავლების მდგომარეობა ვერ პასუხობდა მისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. უკვე 1929 წლისათვის გამოცემული ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამების განმარტებით ბარათში პირდაპირ იყო ჩაწერილი, რომ ქართული ლიტერატურის სწავლება ცუდად დაყენებულ საზოგადოებათმეცნიერებად იქცა და საჭირო იყო ენერგიული ღონისძიებების გატარება შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად[1]. საგულისხმოა ის გარემოება, რომ იმავე განმარტებით ბარათში ავტორები განსაკუთრებულად უსვამდნენ ხაზს ლიტერატურის სწავლებაში მისი მხატვრულ-ლიტერატურული ანალიზის აუცილებლობას. უფრო მეტიც, ისეთი მიდგომა ნაწარმოების შესწავლის საფუძვლადაა აგებული. პროგრამაში მითითებული იყო წინა წლების პროგრამის უმთავრეს

---

1 ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამები, თბ., 1929, გვ. რ.

ნაკლზე, კერძოდ იმაზე, რომ ნაწარმოების მხატვრულ-სტილისტიკური ანალიზი, სწორედ ის, რაც მთავარია შრომაში იყო მიჩქმალული, ხოლო მისი სოციოლოგიური ღირებულების გარკვევა მთავარ საქმედ ცხადდებოდა. 1929 წლის პროგრამის ეს პოზიცია უსათუოდ სწორი იყო; მაგრამ თვით მის შიგნითვე აღებული კურსის რეალიზება თანმიმდევრობით ვერ ხორციელდებოდა. საქმე იმაშია, რომ პროგრამას უკიდურესად არასწორად ესმოდა "მხატვრულ-სტილისტური" ანალიზის ცნება. იგი წარმოდგენილი ჰქონდა სოციოლოგიური ანალიზების დანამატად, მის შემავსებლად. ძირითადი მაინც ნაწარმოების კლასობრივი, სოციალურ-პოლიტიკური სული იყო. ამ ტენდენციით აგებული პროგრამა უარყოფით შეფასებას აძლევდა ყველა მწერალს, რომელიც თავადაზნაურული წარმომავლობისა იყო. ამით კი არსებითად უარს ამბობდა ქართული ლიტერატურის კლასიკურ, ოქროს ფონდზე. რაც თქმა უნდა, ლიტერატურის სწავლებისა და ამ პროცესში მოსწავლეთა მხატვრული განათლების საკითხები საჭირო პედაგოგიურ დონეზე ვერ გადაწყდებოდა.

ყოველივე, რაც ზემოთ მშობლიური ლიტერატურის სასწავლო პროგრამების შესახებ ითქვა, ცხადია, მხოლოდ ნაწილობრივ თუ გვიხსნის საქმის ვითარებას. არანაკლებ საინტერესოა, თუ როგორ მიმდინარეობდა პრაქტიკულად სწავლების პროცესი, რა სახელმძღვანელო დოკუმენტებით, თუ წიგნების საფუძველზე ხორციელდებოდა იგი.

უკვე 1921-1926 წლებისათვის საქართველოს განსახკომი გაცხოველებულ მუშაობას ეწევა სასწავლო სახელმძღვანელოების შესადგენად დედაენასა და ლიტერატურაში - მეორე საფეხურის სკოლებისათვის. ამ მუშაობამ გარკვეული შედეგი გამოიღო და უკვე 1924-1925 სასწავლო წლისათვის სკოლაში შევიდა გადამუ-

შავებული თუ ორიგინალური სახის რამოდენიმე სახელმძღვანელო. მაგალითად; V-VI კლასებში მშობლიური ლიტერატურის ძირითად სახელმძღვანელოს წარმოადგენდა ივ.გომელაურის მიერ შედგენილი ქრესტომათია "სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები", ნაწ. I-II. VII კლასელები მუშაობდნენ ს.გორგაძისა და შ.თამუკაშვილის მიერ შედგენილი ქრესტომათიით, VIII კლასელთათვის გამოცემული იყო ს.გორგაძის სახელმძღვანელო "ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია", გარდა ჩამოთვლილისა 1925 წლისათვის გამოვიდა და სკოლებს დაეგზავნა ავტორთა კოლექტივის მიერ შედგენილი სამი ქრესტომათია IX კლასისა და სპეციალური ტექნიკუმების II-III კლასებისათვის. ივ.გომელაურისა და ს.გორგაძის მიერ შედგენილ ქრესტომათიებში თავმოყრილი იყო XIX-XX ს-ის ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები, ავტორისეული შენიშვნებითა და კომენტარებით, რასაც უდავოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ცალკეული მწერლის შემოქმედების მონოგრაფიული შესწავლისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ს.გორგაძის მიერ გაწეული მუშაობა. იგი ცდილობდა მწერლის შემოქმედების თუ მისი ცალკეული ნაწარმოების შეფასებისას, მდგარიყო მარქსისტული ფილოსოფიური მსოფლმხედველობის პოზიციაზე, ცდილობდა მისთვის კუთვნილი ადგილი მიეპოვებინა ლიტერატურული ნაწარმოების მხატვრულ-ესთეტიკურ ანალიზსა და მისი აღმზრდელობით ღირებულების სათანადო შეფასებაში. "მხატვრული სიტყვიერების ნაწარმოები,—წერდა ს.გორგაძე, – ხელოვნების ნაწარმოებია და მისი გაცნობა, რთულად თუ არა ნაწილობრივ მაინც უშუალოდ უნდა წარმოებდეს: წინააღმდეგ შემთხვევაში მხატვრული ნაწარმოების შესწავლას დაეკარგება ყოველგვარი ლიტერატურულ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა: მოწაფის გულსა და გონებას, განსაკუთრებით პირველს, იმის შესახებაც ვერ ეტყვის სხვისი პი-

რიდან მოსმენილი შინაარსი, მაგალითად, "ვეფხისტყაოსნისა", რამდენსამე ამ უკანასკნელის თუნდაც ერთის ან ორი დამახასიათებელი ადგილის წაკითხვა"[1], ავტორის მოსაზრება ლიტერატურული ნაწარმოების უშუალოდ გაცნობის, მისი უშუალოდ წაკითხვის აუცილებლობის შესახებ უდაოდ პროგრესული მოვლენა იყო და სწორი პედაგოგიური იდეების დანერგვასაც უწყობდა ხელს.

ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ს. გორგაძის მოსაზრებები მოსწავლეთათვის მხატვრული ნაწარმოების გაცნობის პედაგოგიური პროცესის შესახებ: იგი თვლიდა, რომ ნაწარმოების წვლილისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მარტო მის შინაარსს, არამედ მის გარეგნულ მხარეს ანუ მხატვრულ ფორმას: "მის გეგმას; მხატვრულ ადგილებს, პოეტურ გამოთქმებს, ენის გრამატიკულ და ლექსიკურ თავისებურებას და საზოგადოდ ნაწარმოების სტილის ავკარგიანობას, ხოლო როცა ნაწარმოები გალექსილია, სასურველია ლექსიკასაც მიექცეს ყურადღება"[2]. სამწუხაროა, რომ საქართველოს განსახკომმა, რომელიც ლიტერატურის სწავლების საკითხში ვულგარული სოციოლოგიის პოზიციაზე იდგა, ალღო ვერ აუღო ს.გორგაძის ტიპის მოწინავე მეთოდურ აზროვნებას, არ გახადა იგი სახელმძღვანელოდ და ამით ლიტერატურის სწავლების საქმეს ავნო. ს.გორგაძის ნაშრომი 1927 წლის შემდეგ აღარ გამოცემულა. საინტერესოა, რომ ამ წლიდან საქართველოს განსახკომი ახალ გზას დაადგა: დაიწყო ლიტერატურის სახელმძღვანელოების სამუშაო წიგნებად გადაკეთება, თუმცა ეს პროცესი 1930 წლამდე ვერ დასრულდა. ძირითადი ტენდენცია იმაში გამოიხატა, რომ

---

1 ს.გორგაძე, ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია დართულებით ახალი მწერლობიდან, მე-5 გამოცემა, თბ., 1927, გვ. 5.

2 იქვე, გვ. 5.

1927 წლიდან სახელმძღვანელოებში თანდათან დაიწყეს სიტყვაკაზმული მწერლობის საუკეთესო ნიმუშების - პოემების, ლექსების, მოთხრობების, თუ სხვათა რიცხვის თანდათანობით შემცირება. ეს მოვლენა იმით იყო მოტივირებული, რომ თითქოს კლასიკური მხატვრული ლიტერატურის ჩვენამდე მოღწეული ნიმუშების უმეტესობა ვერ პასუხობდა საზოგადოებათმეცნიერულ მოთხოვნებს, რომელსაც სასწავლო პროგრამები აყენებდა იმ დროს. კიდევ უფრო უარესი ის იყო, რომ სახელმძღვანელოთა შემდგენლებმა ხელი მიჰყვეს ლიტერატურის კლასიკური ნიმუშების გადაკეთება-შეკვეცას, ვითომდა პროგრამულ მოთხოვნებთან მათი ადაპტირების მიზნით. სხვათა შორის, ეს საკითხი მაშინ ძლიერ აღელვებდა მოწინავე ინტელიგენციასა და პრაქტიკოს პედაგოგებს. ამ საკითხში აღებული გეზი უფრო გაღრმავდა მას შემდეგ, რაც 1929 წლის 23 იანვარის გაზეთმა "განათლების მუშაკი" შეაჯამა დიდი ხნის მანძილზე წარმოებული დისკუსია და დასკვნა განაზოგადა სარედაქციო წერილის სახით. გაზეთი პირდაპირ მიუთითებდა, რომ დასახული მიზნის მისაღწევად აუცილებელია ლიტერატურული მასალის სათანადო შერჩევა-დამუშავებას ვენდოთ, ხოლო რაც საჭიროა, ცვლილებებიც კი უნდა შევიტანოთ თვით მხატვრულ ნაწარმოებში, სულ ერთია ვის კალმსაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგიო. გაზეთი ამ შემთხვევაში საქართველოს განსახკომის პოზიციას გამოხატავდა და ამით გზა ეხსნებოდა გარკვეულ თვითნებობას კლასიკური ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულების საკითხში. აქედან კი გასაგებია, რომ ამგვარად შესწავლილი ლიტერატურა მოსწავლეთა მხატვრულ-ესთეტიკური აღზრდა-განათლების საქმეს წინ ვერ წასწევდა.

მხატვრული ლიტერატურის სწავლებისა და ამ პროცესში მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის ძირითადი საკითხის დასახელებასთან ერთად გარკვეულ ინტერესს იწვევს მხატვრული აღზრდის ამოცანების გადაწყვეტის პრაქტიკა რუსული ლიტერატურის სწავლების პროცესში.

1921 წლის რუსული ენისა და ლიტერატურის სასწავლო პროგრამაში სერიოზული ყურადღება ექცეოდა იდეურ-მორალური და ესთეტიკური აღზრდის საკითხებს. იმდროისათვის სოციალურ-ჰუმანური ტექნიკუმების I-III კლასებში რუსული ლიტერატურის ისტორიულ კურსს ასწავლიდნენ. პროგრამაში საკმაოდ ფართოდ და ღრმად იყო ფორმულირებული ის ამოცანები, რომელიც აღნიშნული კურსის წინაშე იდგა. სიტყვიერების სწავლების მიზანია, - აღნიშნულია პროგრამაში, -1/ გაუმდიდროს და გაუფართოვოს მოსწავლეს მხატვრული სიტყვიერების ახალი საუკეთესო ნაწარმოებთა და ნიმუშების გაცნობით.

2/ მხატვრულ და კრიტიკულ ნაწარმოებთა შესწავლის დროს გააცნოს მოსწავლეს სამეცნიერო და კრიტიკული გამოკვლევის ელემენტარული მეთოდები/წესები/.

3/ განუვითაროს და განუმტკიცოს მოწაფეს მშვენიერების გრძნობები /სიყვარული საერთოდ მშვენიერებისადმი/, გაუღვიძოს შემოქმედებითი ნიჭი და ასწავლოს შეგნებულად მოპყრობა ლიტერატურულ ნაწარმოებთან.

4/ უჩვენოს მოწაფეს, რომ მხატვრულ ნაწარმოებსა, თანამედროვე მოძრაობასა და ცხოვრებას შორის მჭიდრო და განუყრელი დამოკიდებულებაა და საზოგადოდ სიტყვიერება ექვემდებარება იმავე კანონზომიერ განვითარებას, როგორც კაცობრიობის. მოქმედების და ცხოვრების სხვადასხვა მხარეები.

5/ შეაჩვიოს მოწაფე ლიტერატურულ მეტყველებას, დაამუშაოს და თანდათან განუვითაროს მას ლიტერატურული ენა სხვადასხვა ვარჯიშის საშუალებით"[1].

პროგრამაში საკმაო სისრულით იყო წარმოდგენილი რუსული კლასიკური ლიტერატურა, კერძოდ, პირველ კლასში წასაკითხავი იყო ა.გრიბოედოვის "ვაი ჭკუისაგან", მ.ლერმონტოვის "მწირი" და "დემონი", ნ.გოგოლის "სტაროსვეტსკის მებატონეები", "შინელი" და სხვათა თხზულება.

მეორე კლასიდან კი შეჰქონდა ა.პუშკინის "ევგენი ონეგინი", "ბორის გოდუნოვი", "ძუნწი რაინდი", მ.ლერმონტოვის "ჩვენი დროის გმირი", ნ.გოგოლის "რევიზორი", ბ.ბელინსკის წერილები პუშკინის შესახებ და სხვა; მესამე კლასში შეისწავლებოდა ისევ ნ.გოგოლის "მკვდარი სულები", ლ.ტოლსტოის "ომი და მშვიდობა", თ.დოსტოევსკის "ძმები კარამაზოვები", მ.გორკის "სიმღერა შევარდენზე", "სიმღერა ქარიშხალზე" და ა.შ. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ პროგრამაში ფართოდ იყო წარმოდგენილი კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა და გასაგები გახდება, რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა რუსული ლიტერატურის სწავლების საქმეს.

მიუხედავად ამისა, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საეჭვოა პროგრამის მოთხოვნათა რეალიზება პრაქტიკულად მომხდარიყო, რადგან არარუსულ სკოლაში ასეთი ფართო მასშტაბის მასალის ათვისება უსათუოდ ძნელი იქნებოდა. ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ პროგრამა ნაკლებ ყურადღებას უთმობდა სხვა სახის ენობრივ სავარჯიშოებს. უფრო მეტიც, იგი თითქმის არ ითვალისწი-

---

1 სოციალურ-კულტურული ტექნიკუმების პროგრამები, 1921 წ. გვ. 17-18.

ნებდა ასეთი სახის მასალის შესწავლას.

1926 წლიდან ასეთი უკიდურესობანი ერთგვარად კი გასწორდა, მაგრამ იმის გამო, რომ პროგრამები კომპლექსურობის პრინციპზე აიგო, ლიტერატურის სწავლებამ, ქართული სკოლების მსგავსად, თითქმის მთლიანად დაკარგა მხატვრულ-ესთეტიკური განმავითარებელი პოტენციალი. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რუსული ლიტერატურის სწავლების სათანადო დონეზე დაყენებას ბევრს ვერაფერს მატებდა სახელმძღვანელოები, სადაც უმეტეს შემთხვევაში დავიწყებული იყო ნაწარმოების მხატვრულ-ესთეტიკური ანალიზის აუცილებლობა. წინა პლანზე ისევ და ისევ მიჩვეული სოციოლოგიზმი მოდიოდა. 20-იანი წლების ქართული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობაში გარკვეული ადგილი უჭირავს დაწყებითი კლასების გვერდით ზედა კლასებში ესთეტიკური ციკლის საგნების, სიმღერა-მუსიკისა და ხატვის სწავლების სათანადოდ ორგანიზების ამოცანას. სასწავლო გეგმებში საკმაო რაოდენობით იყო გამოყოფილი ერთ ამ საგნის სწავლებისათვის, მაგრამ მდგომარეობას ის გარემოება ართულებდა, რომ სკოლას ჯერ კიდევ არ გააჩნდა გამოკვეთილი სახის მქონე სასწავლო პროგრამები, მაგალითად, 1928 წლისათვის შედგენილ სასწავლო გეგმაში სიმღერა-მუსიკისა და ხატვისათვის კვირეულად ნავარაუდევია 15 საათი /V-VIII კლასები/, თუმცა პროგრამაში ამის თაობაზე არაფერია ნათქვამი.

ესთეტიკური ციკლის დისციპლინებისათვის დამოუკიდებელი სახის მქონე სასწავლო პროგრამები შვიდწლიანი სკოლებისათვის გამოქვეყნდა 1928 წელს. ამასთან საგულისხმოა, რომ სასწავლო საათების რაოდენობა წინა წლებთან შედარებით თითქმის განახევრებული იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ როგორც სიმღერა-

მუსიკის, ასევე ხატვის პროგრამა ძირითადად რსფსრ-ის სკოლე-
ბისათვის შედგენილ ანალოგიურ დოკუმენტს იმეორებდა, თუმცა
გარკვეული განსხვავება მათ შორის უსათუოდ იყო.

ქართული სკოლებისათვის შედგენილ სიმღერა-მუსიკის
პროგრამაში საგნის სწავლების მიზანი წარმოდგენილი იყო
ისეთი ფორმების სახით, როგორიცაა ვოკალურ-გუნდური მუსიკა,
მუსიკალური ანბანი, საუბარი მუსიკაზე და მუსიკის მოსმენა,
სასწავლო პროგრამაში დროის მოთხოვნათა შესაბამისად სწორა-
და განსაზღვრული მუსიკის სწავლების მიზან-ამოცანები სკო-
ლაში: "ბავშვებთან რევოლუციონერის ჩვევის მიზანს წარმოადგენს,
– აღნიშნულია პროგრამაში, – მისცეს მათ საერთო მუსიკალური
განვითარება და შთაუნერგოს არა მხოლოდ შეგნების, არამედ
მუსიკალური მოვლენების შეთვისების უნარიც... სიმღერის აზრი
და მნიშვნელობა საერთო კულტურულ მშენებლობაში, ახალი ყო-
ფა-ცხოვრების შექმნაში, რომ სიტყვა, ორკესტრი და გუნდი არ
იყოს მათთვის უბრალო ბგერა, არამედ აძლევდეს მათ გარკვეულ
წარმოდგენას ამ მუსიკალურ კოლექტივზე, როგორც მუსიკალური
შესრულების მნიშვნელოვან ძალებზე"[1].

ამოსავალს პროგრამებისათვის წარმოადგენდა მუსიკის
ტექნიკური მხარეების ათვისებისათვის ზრუნვა. უპირველეს
მნიშვნელობას ამ თვალსაზრისით პროგრამა უთმობდა მუსიკალური
ანბანის შესწავლას; რომლის საფუძველზეც მოსწავლეს უნდა შეს-
ძლებოდა სანოტო ჩანაწერების წაკითხვა, პატარა მოცულობის
პიესების საკუთრივ შესრულება, ნოტების მიხედვით სიმღერა
და რაც მთავარია ცალკეული მელოდიების ნოტების საშუალებით

---

1 მთლიანი შრომის სკოლის პროგრამები და მეთოდური წერილები, მეორე საფეხურის პირველი კონცენტრი, თბ., 1928, გვ. 188–189.

ჩაწერაც კი. პროგრამა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მუსიკის საშუალებით პირველი ელემენტების განვითარება-ჩამოყალიბებას. სწორედ ამიტომ პროგრამაში ვრცლად იყო წარმოდგენილი მასალა მუსიკაზე საუბრისათვის. ეს განყოფილება ძირითადად V-VI კლასებისათვის იყო ნაკარნახევი და ითვალისწინებდა მუსიკალური ინსტრუმენტების /ფანდური, ჩონგური, სალამური, სტვირი და სხვ./... ეროვნული, ხალხური სიმღერების /ურმული, ნანა, გუთნური, სუფრული, ნადური, მგზავრული და სხვა/ საცეკვაო მუსიკის, შუა საუკუნეების მუსიკის და მუსიკალური საკრავების, სიმფონიური ორკესტრის, გუნდის /სამხმიანი, ორხმიანი/ და ა.შ. გაცნობას. მუსიკაზე საუბრის განყოფილება კიდევ უფრო ფართოდ და შინაარსობლივად საინტერესოდ იყო წარმოდგენილი VII კლასის პროგრამაში. აქ მოსწავლეებს აცნობდნენ ოპერის ჟანრს, ასმენინებდნენ და ესაუბრებოდნენ ისეთი საოპერო სპექტაკლების შესახებ, როგორიცაა: "დაისი", "აბესალომ და ეთერი", "თქმულება შოთა რუსთაველზე", "ივანე სუსანინი", "თავადი იგორი", "ბორის გოდუნოვი" და სხვა. ამავე კლასში მოსწავლეებს აცნობდნენ ფორტეპიანოს, ორღანს და მათთვის დაწერილ მუსიკას. ფართოდ იყო შეტანილი მასალა ცალკეულ კომპოზიტორთა შემოქმედების შესახებ. მათ შორის კი იყვნენ არა მარტო ქართველი, არამედ რუსი და სხვა გამოჩენილი ევროპელი კომპოზიტორები /ზ. ფალიაშვილი, ნ. სულხანიშვილი, დ. არაყიშვილი, ი. ბახი, ჯ. ვერდი, მ. მუსორგსკი, მ. გლინკა, ა. ბოროდინი, ნ. რიმსკი-კორსაკოვი, პ. ჩაიკოვსკი და სხვ./. VIII კლასის პროგრამა ოპერის ჟანრის გარდა ითვალისწინებდა სხვა მუსიკალური ფორმების გაცნობასაც, კერძოდ, საუბარი უნდა ჩატარებულიყო სიმფონიის, სონეტის, ფუგის, მენუეტის, მაზურკას, ვალ-

სის და სხვათა ორგანოთ. საგულისხმოა, რომ იმავე კლასის პროგრამა ითხოვდა ქართული მუსიკის მოკლე ისტორიული კურსის შესწავლას. ამგვარ რეფორმას, პროგრამის შემდგენლის აზრით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სწორი მუსიკალური კულტურის ფორმირებისა და ბავშვის ჩამოყალიბებისათვის.

საუბრების ასე გაწარმოებული სახით შემოჭრა პროგრამაში ძირითადად პრაქტიკული სახის სავარჯიშოების შეკვეცის ხარჯზე ხორციელდებოდა. ამ საკითხში პროგრამის ავტორები იზიარებდნენ შეხედულებებს, რომლის მიხედვითაც გარდატეხის ასაკისათვის საარტიკულაციო აპარატში მიმდინარე სერიოზული ცვლილებების გამო ხმამაღალი სიმღერა სასურველი არაა და იგი მუსიკაში თეორიულმა ვარჯიშმა უნდა შეცვალოს. "VI-VII ჯგუფებში, - აღნიშნულია პროგრამაში, - არ მღერიან, ეს იმიტომ, რომ ამ დროს ბავშვები ისეთ ხანაში არიან, როდესაც მათში ხდება ერთგვარი გარდატეხა ხმებისა /მუტაცია/ და ამ დროს სიმღერას შეუძლია ვნება მიუტანოს მათ ხმას"[1].

პროგრამის ავტორების ეს პოზიცია ადვილი გასაგები იქნება თუ ვიტყვით, რომ მუსიკალური აღზრდის მეთოდიკაში დღემდე საკამათოა ეს საკითხი და მთლიანად ჯერ კიდევ არაა გარკვეული, როგორი უნდა იყოს მიმართება თეორიულ და პრაქტიკულ სავარჯიშოებს შორის სიმღერა-მუსიკის გაკვეთილზე. თუ ამ საკითხში პროგრამის შემდგენლები დროის მოწინავე პოზიციის დონეზე იდგნენ და ითვალისწინებდნენ იმდროინდელ პედაგოგიური გამოკვლევების შინაარსს, სამაგიეროდ მათ აშკარად არასწორად ესმოდათ, რომ რადგან ბგერის ფიზიკურ ბუნებას ბავშვები ფიზიკის გაკვეთილებიდან იგებენ, მუსიკის პედაგოგს ისღა დარჩენია, მუსიკასთან დააკავშიროს იგი.

1 მთლიანი შრომის სკოლის პროგრამები და მეთოდური წერილები, მეორე საფეხურის პირველი კონცენტრი, ტფ., 1925, გვ. 190.

აქედან ირკვევა, რომ პროგრამის ავტორები, თავიანთი კეთილი განზრახვის მიუხედავად სკოლას ნაკლებ იცნობდნენ. ბუნებრივია, სკოლის ტექნიკურ-მეთოდიკური და პედაგოგიური კადრით მაშინდელი აღჭურვის პირობებში ასეთი სასწავლო პროგრამის ათვისება ნაკლებად მოხერხდებოდა.

განხილული სასწავლო პროგრამა, როგორც უკვე ითქვა, არსებითად იმეორებდა რსფსრ-ს სკოლებისათვის შედგენილ ანალოგიურ დოკუმენტს. ამასთან მთავარი ღირსება ის იყო, რომ ქართულ პროგრამაში ფართოდ იყო წარმოდგენილი ქართული მუსიკის ნიმუშები.

ცდა იმისა, რომ ბავშვის მუსიკალური განვითარება დაფუძნებული ყოფილიყო ეროვნული მუსიკის შინაარსზე, უსათუოდ სწორი იყო და ამგვარმა მიდგომამ შემდგომში დიდი როლი შეასრულა მუსიკის სწავლების შინაარსის სრულყოფაში.

სიმღერა-მუსიკისაგან განსხვავებით ხაზვის პროგრამა უფრო მოკლე და სქემატური იყო. ეს უკანასკნელი სწორედ პროგრამის მიმართ უფრო ითქმის, ხოლო რაც შეეხება მის განმარტებით ბარათს, იგი ვრცელი და ფართო იყო.

ხაზვის პროგრამა ძირითადად მიჰყვებოდა და იმეორებდა რსფსრ-ს განსახკომის მიერ 1927 წლისათვის გამოცემულ ანალოგიურ დოკუმენტს.

პროგრამა აწესებდა უმთავრეს მოთხოვნას, სასწავლო საგანი დალაგებული ყოფილიყო სისტემატური წესის მიხედვით, ამასთან იმ პირობით, რომ სკოლა არ დაბრუნებოდა ძველი სკოლისათვის ნიშანდობლივ "აკადემიური წესით სწავლებას". პროგრამის მიხედვით, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მოსწავლის შემოქმედებითი აზროვნებისა და ინდივიდუალობის განვითარებას.

ამ თვისების გამომუშავებაში კი, პროგრამის ავტორების აზრით, მასალის სისტემატურად დალაგებას თავისი უარყოფითი კვალი არ უნდა დაეჩნია. მეთოდიკას დამუშავებით, – ნათქვამია პროგრამა-ში, – თუ ვიფიქრებდით, რომ პროგრამაში მოცემული თანდათანობა სასწავლო მასალის გავლისას შეუძლებელს ხდის მოწაფეთა მიერ შემოქმედებითი ინიციატივის გამოჩენას და ხატვის სწავლების წინანდელ წესს უბრუნდება. ამ აზრში ქართული პროგრამა იმე-ორებდა თავისსავე რუსულ ანალოგს და ცდილობდა ხატვის მიზა-ნის რეალიზაციას ისეთი მასალა შემოეტანა, რომელიც ხელს შეუწყობდა დასახული მიზნის გადაწყვეტას. შვიდწლიანი სკოლის V-VII კლასებისათვის პროგრამა ვარაუდობდა, ბავშვებს ემუშა-ვათ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: მარტივი საოჯახო ნივთების ხატვა ნატურიდან, ალბომის, ცხოველებისა და ფრინველის სილუეტების ხატვა, ფიგურის მოძრაობის ჩვენება მარტივი სქე-მის სახით, ფორმის შეცნობილი სტილიზება, არშია, წიგნის მა-კეტის ხატვა, ილუსტრაციების შესრულება შესასწავლი მასალის თემებზე, ჯგუფური ნახატი, მოცულობითი ნაკეთი კოლექტიურად, წარმოდგენების ფორმირება პერსპექტივისა და კომპოზიციის ხა-ზის შესახებ, ხატვა თავისუფალ თემაზე და სხვ. პროგრამის განმარტებითი ბარათი მოითხოვდა, ბავშვებს შეეთვისებინათ სასკოლო სპექტაკლებისათვის დეკორაციებისა და კოსტუმების ესკიზების დამზადების ჩვევები. ასევე სასურველად იყო მიჩ-ნეული კედლის გაზეთისათვის ფოტომონტაჟის წესის შესწავლა, საღებავების გამოყენების ჩვევების ათვისება და ა.შ.

ხატვის პროგრამის ანალიზი ნათლად აჩვენებს, რომ მისი შემდგენლები ცდილობდნენ, საგნის სწავლების პროცესი მაქსი-მალურად ახლოს ყოფილიყო ცხოვრებასთან, რეალურ საჭიროებას-თან. ამასთან, რუსული პროგრამისაგან განსხვავებით აქ თით-

ქმის ძირითადად იყო იგნორირებული ხელოვნებაზე საუბრის ორგანიზაციის და მთელი დაკვირვით ხატვის პრაქტიკულ პროცესზე გადადიოდა. ეს გარემოება, ცხადია, პროგრამის სერიოზულ ნაკლს წარმოადგენდა. პროგრამის უდაო ღირსებას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ მასში ფართოდ იყო ნავარაუდევი კოლექტიური ხასიათის სამუშაოები. ჯგუფურად შესრულებული სამუშაო ერთიანი მიზნისა და ამოცანების პირობებში უდაოდ შეუწყობდა ხელს მოსწავლეებში კოლექტივიზმის გრძნობის გაღვივებას, ინიციატივიანობის, შემოქმედებითი აზროვნებისა და მსჯელობის უნარის განვითარებას.

სასწავლო დოკუმენტაციის ჩვენს მიერ აქ გაკეთებული ანალიზი ნათლად აჩვენებს, რომ საქართველოს განსახკომისა და მის ირგვლივ შემოკრებილ სპეციალისტებს ჯერ კიდევ არ გააჩნდათ ერთიანი აზრი ესთეტიკური აღზრდის სისტემის შინაარსობრივად გასაზღვრავად, სასკოლო მშენებლობის პირველი პერიოდის ძიებე-ვები თუ შეცდომები ზოგჯერ თვისებრივად ახალ დონეზე ვეღარ ადის, ან მეორდება შეცვლილი სახით თვით მომდევნო ხანაშიც კი. საერთოდ ცნობილია, რომ 1924 წლიდან იწყება სასკოლო განათლების ახალი სისტემის ჩამოყალიბება, რომელსაც თან მოჰყვა ფართო მასშტაბით ზრუნვა სასკოლო აღზრდის სისტემის შემდგომი სრულყოფისა-დაზუსტებისათვის.

აფასებდა რა განვლილი 3–4 წლის მუშაობას, განათლების სახალხო კომისარიატი უკვე 1924 წლისათვის ხედავდა, რომ დასავლეთის ბურჟუაზიული იდეოლოგიის საფუძველზე აღმოცენებული და რუსზე ორიენტირებული პედაგოგიკა სათანადო სამსახურს ვერ გაუწევდა ქართული საბჭოთა სკოლის წინსვლის საქმეს, ამიტომ განსახკომი ცდილობს ახლებურად გაიაზროს სასკოლო მშენებლობის ამოცანები, შეუწონასწოროს იგი დროის მოთხოვნებს. განსახკო-

მის აჩქარებამ რუსეთში გარკვეული შედეგიც გამოიღო და სასკოლო მუშაობის სწავლა-აღზრდის შინაარსის გაგებაში ბევრი სიახლე შეიტანა, მაგრამ მიზნის მიღწევის გზების ძიებაში ჯერ კიდევ ბევრი გაუგებრობები არსებობდა. 1923–1924 წწ. რსფსრ-ის მაგალითისამებრ ჩვენი რესპუბლიკის სკოლებში საგნობრივის ნაცვლად შემოიღეს კომპლექსური პროგრამები. ამან, ცხადია, საგნობრივი სწავლების გაუქმება გამოიწვია, ეს კი, თავის მხრივ, სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი სისტემის შემდგომ გართულებაზე მიანიშნებდა.

საგულისხმოა, რომ საქართველოს სკოლებში კომპლექსური პროგრამების დანერგვა მაშინვე არ მომხდარა. განათლების სახალხო კომისარიატი ერთგვარად აყოვნებდა ამ საქმეს. მართლაც, 1923 წელს, მაშინ, როდესაც რსფსრ-ს სკოლებში შემოღებულ იქნა კომპლექსური პროგრამები, საქართველოში ისევ საგნობრივ პროგრამებს ამუშავებენ, თუმცა ყოველი მათგანის განმარტებით ბარათში ზოგადად მაინც მიუთითებენ კომპლექსური სისტემის ამა თუ იმ ასპექტზე. საქართველოს განსახკომი თავის ასეთ პოზიციას იმით ასაბუთებდა, რომ კომპლექსური სისტემის ირგვლივ იმ დროისათვის ჯერ კიდევ აზრთა სხვადასხვაობა იყო და ერთიანი პოზიციის უპირატესობის იდეას იცავდა. ეს მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. უკვე 1924 წლისათვის კომპლექსურმა სისტემამ ისე ფართოდ მოიკიდა ფეხი მთელი ქვეყნის მასშტაბით, რომ მისი მიღების აუცილებლობა სრულიად ნათლად გამოიკვეთა. ამიტომ 1924–1925 წლებში უკვე ორჯერ გამოიცა კომპლექსური პროგრამები. აღსანიშნავია ისიც, რომ მათში ორიგინალური თითქმის არაფერი ყოფილა, რადგან მთლიანად და უკრიტიკოდ იმეორებდა რსფსრ ანალოგიურ სასწავლო დოკუმენტებს. სა-

არქივი დოკუმენტების გაცნობა გვარწმუნებს, რომ მიუხედავად კომპლექსური პროგრამების პუბლიკაციისა, საქართველოს განსახკომი, თვით 1928 წლის ბოლომდეც კი არ ჩქარობდა მათ მასობრივ დანერგვას. 1927 წლიდან კომპლექსური პროგრამები მაინც დაინერგა და სკოლის მუშაობაც ერთიორად რთული გახდა. განსაკუთრებით ძნელი შეიქნა აღმზრდელობითი მუშაობის წარმოება, მათ შორის ესთეტიკური აღზრდის სისტემის დაყენებაც, რადგან ამ მიზნით [illegible] საგნების სწავლების შინაარსი აირია ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალური საგნების მიზან-ამოცანებში, რითაც ბუნებრივია, დაკარგა თავისი სპეციფიკური შინაარსი.

აღნიშნულმა სიძნელეებმა სულ მალე იჩინა თავი. ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმო იყო თვით პრაქტიკოს მასწავლებელთა პოზიცია, ისინი ყველა საგნისათვის დამოუკიდებელი მიმართულების მიცემას მოითხოვდნენ. ამის შედეგი იყო, რომ სწავლების კომპლექსურ სისტემას თანდათან შეეკვეცა ფრთები და მისი გავრცელების მასშტაბი შემოიფარგლა, თუმცა ისიც ცხადია, რომ მან თავისი არსებობის მცირე ხნის მანძილზე, სკოლას საერთოდ და ესთეტიკური აღზრდის საქმეს, კერძოდ, საკმაოდ ავნო.

ეს ნაკლოვანებები არ გამოსწორებულა არც პროექტული მეთოდების პირობებში, რომელიც ბევრ სპეციალისტს თავის დროზე კომპლექსური სისტემისათვის დამახასიათებელი ყველა ნაკლის შემავსებლად ესახებოდა, თუმცა შემდგომში დრომ აჩვენა, რომ პროექტთა მეთოდით სწავლებას არ შეეძლო სწავლებისა და აღზრდის დროის მოთხოვნათა დონეზე დაყენება. იგივე შეიძლება ითქვას დალტონ გეგმის შესახებაც.

გავაანალიზეთ რა სკოლის ძირითადი სასწავლო დოკუმენტაცია, ახლა საჭიროდ მიგვაჩნია, შევჩერდეთ თეორიული პედაგოგიური აზროვნების განვითარებაზე.

20-იანი წლების ქართულ პედაგოგიკაში ჯერ კიდევ ცოტა რაოდენობით გვაქვს სპეციალური მონოგრაფიული გამოკვლევები პედაგოგიკის ცალკეულ საკითხებზე. მხოლოდ პერიოდის მეორე ნახევრიდან დაიწყო პატარა მოცულობის ბროშურების გამოცემა. თან ისინიც იშვიათად თუ ეკუთვნის ცალკეულ ავტორებს, ძირითადად საინსტრუქციო-მეთოდური კრებულები გამოდის. ამ თვალსაზრისით იშვიათ გამონაკლისს და 20-იანი წლების ქართული პედაგოგიური აზროვნების შენაძენს წარმოადგენს ცნობილი პედაგოგის, შემდგომში სახალხო განათლების გამოჩენილი მოღვაწის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის მიხეილ ზანდუკელის ნაშრომი "ესთეტიკური აღზრდა ერთიან შრომის სკოლაში", რომელიც 1922 წელს გამოიცა.

წინასიტყვაობაში ავტორი მიუთითებს, რომ იმდროინდელ ქართულ პედაგოგიურ ლიტერატურაში არ მოიპოვებოდა არც ერთი გამოკვლევა, რომელშიც ესთეტიკური აღზრდის საკითხები იქნებოდა გაშუქებული. მოთხოვნილება კი ამ ტიპის ლიტერატურაზე უსათუოდ იყო სკოლის პრაქტიკული საჭიროებიდან გამომდინარე.

მ. ზანდუკელი ეთანხმება გამოჩენილი ინგლისელი პედაგოგისა და მკვლევარის ჯონ რესკინის აზრს იმის თაობაზე, რომ ადამიანთა საზოგადოებაში ძალიან ცოტაა ხალხი, რომელთაც "დანახვა" შეუძლიათ და ამის საფუძველზე დაასკვნის: "ასეთი გარემოება გახლავთ შედეგი ძველი სკოლის დამახინჯებული ესთეტიკური აღზრდისა ან აღზრდის ამ მხარის უყურადღებოდ დატოვებისა. ახალმა სკოლამ კი უნდა მისცეს მშრომელი ხალხის შვილს "დანახვის" ცოდნა და უნარი და მით აზიაროს ის თანამედროვე კაცობრიობის საზოგადოებრივ კულტურულ ცხოვრებას. ახალი სკოლა არ აუვლებელ რიგზანს აღნიშნავს სხვა მეთოდებთან ერთად ესთეტიკური აღზრ-

დიდაც"[1].

სანამ უშუალოდ ესთეტიკური აღზრდის რაობას შეეხებოდეს, ავტორი მიზნად ისახავს, გაამუქოს პედაგოგიკის მიზანი საერთოდ და ესთეტიკური აღზრდის ადგილი მასში.

ავტორის მართებული შენიშვნით, საერთოდ პედაგოგიკის და აღზრდის მიზანი ცვალებადობას განიცდის საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების შესაბამისად. ავტორი "თუ გვინდა გავიგოთ თანამედროვე პედაგოგიკის მიზანი და მისწრაფება, საჭიროა გავითვალისწინოთ ის პრობლემები, რომელნიც დგანან თანამედროვე საზოგადოების წინაშე"[2], ავტორი თვლის, რომ საჭიროა ახლის ჰიგრძნოთ ცხოვრების მაჯისცემა და დავუახლოვოთ აღზრდა მის მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე შ. ზანდუკელი პედაგოგიკის წინაშე აყენებს აქტიური პიროვნების აღზრდის აუცილებლობას, პიროვნებისა, რომელიც იმოქმედებს არა ინსტინქტურად, არა ინტუიციით, როგორც არას ძველი სკოლა ნერგავდა, არამედ შეგნებულად, შემოქმედებითად, კოლექტიურად. ახალმა სკოლამ უნდა შეძლოს "მთლიანი პიროვნების ჩამოყალიბება", ამასთან ეს უნდა მოხდეს ძალდაუტანებლად, წინააღმდეგობათა დაძლევისა, და ამ პროცესში ხასიათის წრთობის გზით. აი, სწორედ ასეთია, ავტორის აზრით, თანამედროვე პედაგოგიკის წინაშე არსებული მოთხოვნილებანი, ყოველივე ამის გათვალისწინებით კი აგებულია ე. წ. შრომის სკოლა, რომელიც თურმე ახალია ჩვენში, მაგრამ თავისი შინაარსით უცხო როდია.

შ. ზანდუკელი თვლის, რომ შრომის ელემენტები ქართველ პედაგოგებს იდითგანვე შეჰქონდათ სასწავლო პროცესში, მაგრამ მას

---

1 შ. ზანდუკელი, ესთეტიკური აღზრდა მთლიან შრომის სკოლაში, თბილისი, 1922, გვ. 4.

2 იქვე, გვ. 6.

სისტემატური სახე არ ჰქონდა და სწორედ ახლა უნდა მიეცეს. აქედან გამომდინარე, ავტორის აზრით, ახალი სკოლისათვის დამახასიათებელია უტილიტარიზმის წინა პლანზე წამოწევა. ეს უკანასკნელი ერთი მხრივ სასურველ ნაყოფს არ ქმნის მოწაფის ინდივიდუალური გრძნობებისა და ესთეტიკური მხარეების განვითარებისათვის, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ თვისებებს შორის სკოლა გაცილებით უკეთ აყალიბებს, ვიდრე აქამდე არსებული რომელიმე კლასიკური თუ რეალური.

მ. მანჯუკელი სვამს პრინციპულ კითხვას: "კონკრეტულად რა მიზანი და გზა უნდა ჰქონდეს ესთეტიკურ განვითარებას სკოლაში... რატომ ძველი სკოლა ვერ აღწევდა მიზანს და შრომის სკოლა კი ძალდაუტანებლივ, ბუნებრივად აღწევს?"

ძველი სკოლის მიერ აღზრდილ ინტელიგენციას, ავტორის აზრით, ნება, გრძნობა და განათლება არ აქვს. ისინი მზად არიან კეთილი საქმეების საკეთებლად, სამოღვაწეოდ, მაგრამ მიღებული აღზრდის გამო ის ადამიანები უძლურნი და უსუსურნი არიან, მათ უმძიმთ ცხოვრება, ასევე ღირს ამ ტიპის ინტელიგენტი სრულიად გულგრილია ცხოვრებისადმი, იგი განმარტოებული და "ნიადაგს მოწყვეტილია". არა აქვს სურვილი ემსახუროს საზოგადოებას, სამშობლოს, იმოქმედოს, იბრძოლოს საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის. იგი კმაყოფილებას ვერ პოულობს ადამიანებთან, ხელოვნებასთან ურთიერთობაში. მას არა აქვს არც აზრი და არც მიზანი. ავტორი მიიჩნევს, რომ ასეთ ახალგაზრდას "აკლია საერთო სულიერი განწყობილება... მოთხოვნილება ჩაერთოს საზოგადო ცხოვრებაში, როგორც ნაყოფიერი მუშაკი სხვებისათვის" /გვ. 13/. ეს თვისებები ყალიბდება ისტორიული, ეკონომიური თუ სხვა პირობების ზეგავლენით და ძველი სკოლაც ფაქტიურად მხოლოდ მის კვე-

ტივირებას უწყობდა ხელს. ახალ სკოლაში კი, ავტორის აზრით, ყურადღება უნდა მიექცეს არა მარტო გონების ფორმალურ განვითარებას, არამედ გრძნობების, წარმოდგენების ფორმირებასაც, იმ მიზნით, რომ ადამიანში შექმნას მუდმივი, განსაკუთრებული სულიერი განწყობილება-ინტერესი, გემოვნება ცხოვრებისა, ჰპოვის მასში სიტკბოება, როგორც საერთოდ ხელოვნებაში, ისე თვით ადამიანში, მისწრაფება თვით განსპეტაკებისა და განვითარებისათვის, კეთილშობილური მოქმედებისათვის" /გვ. 14/.

მ. ზანდუკელი მიიჩნევს, რომ ესთეტიკური განვითარება მიზნად ისახავს "შეძლებისდაგვარად შექმნას ადამიანი ბედნიერი და მასთან ერთად არამც თუ ნაყოფიერი, არამედ ცოცხალი და საზოგადოებრივი მიდრეკილებით. ესთეტიკური აღზრდა არის ადამიანის აღზრდა სილამაზეში და გრაციაში, სიყვარულში, სიმშვენიერისა და მაღალი იდეალებისადმი, და არა მარტო სიყვარულში, არამედ მუდმივ მოქმედ მისწრაფებაში მისადმი, ე.ი. მისწრაფებაში მშვენიერი იდეალებისადმი, რითაც ასეთი აღზრდა ხელს უწყობს ზნე-ჩვეულების განსპეტაკებას /გვ. 14/. ავტორი არსებითად სწორად განსაზღვრავს ესთეტიკური აღზრდის რაობას. იგი ორ ძირითად მომენტზე აჩერებს ყურადღებას, ერთი ესაა საკუთრივ პიროვნების სრულყოფა მშვენიერებისა და სილამაზის საშუალებით და მეორე მასში ისეთი პოზიციის გამომუშავება, რომელიც პიროვნებას აღჭურავდა აქტიური შემოქმედებითი თუ გარდამქმნელი საქმიანობისათვის, ამ თვალსაზრისით ავტორის მსჯელობა უაღრესად პროგრესულია და ეხმაურება ესთეტიკური აღზრდის შინაარსის თანამედროვე გაგებას.

ესთეტიკური აღზრდის შინაარსის დახასიათების შემდეგ ავტორი გადადის საკუთრივ ესთეტიკური მოვლენების ანალიზზე,

ცდილობს ერთმანეთისაგან გამიჯნოს და ახსნას ცნებების "ლა-მაზი"-ს და "მშვენიერი"-ს შინაარსი იმ გაგების ფარგლებში, როგორადაც ისინი ესთეტიკური აღზრდის კონტექსტში იხმარე-ბა.

ნ. ზანდუკელის აზრით, გარემოში არსებობს ისეთი საგნები, რომელთაც აუცილებელი საჭირო მოთხოვნილებით /ჰაერი, წყალი, ბინა და სხვა/ პრაქტიკული გამოყენება არა აქვთ, უფრო მე-ტიც, ისინი თითქოს საჭიროც არაა, მაგრამ სამაგიეროდ ისინი "ჩვენ გვაძლევენ სიამოვნებას... უალერსებენ ჩვენს თვალს, ყურს. ასეთია მაგალითად ვარდი, სიმთა ჟღერის აკორდი, ყვა-ვილი, შეხამებული თაიგული..."[1] /გვ. 15/ და სხვა. ამ სილა-მაზეს ყოველი ცოცხალი, ნორმალური ადამიანი გრძნობს, ასეთი შეგრძნება კი, - ავტორის აზრით, - სილამაზის შემეცნების უმარტივესი საფეხური. "ეს არის სილამაზის შემეცნება-შეგ-რძნობა განვითარებული მხედველობის, ან სმენის მეოხებით... ეს სილამაზე, ასე ვთქვათ, ფორმალურია, გარეგნული, რომელიც გამოიხატება ხაზით, ფერით, ფორმით და ხმათა შეხამება-ში"/გვ. 15/. ავტორი მიიჩნევს, რომ ამგვარი სილამაზის აღქმაში გონება და შინაგანი გრძნობები არც კი მონაწილეობს, იგი ზედაპირულად მიმდინარეობს, რადგან საგნები ამ შემთხვე-ვაში უშუალოდ ალამაზებენ გარემოს, ისინი დეკორაციის როლში გამოდიან, გვართობენ წუთიერი სიამოვნებით და "ამ მხრივ თუ განვსჯით, მათ აქვთ სრული უფლება არსებობისა" /გვ. 15/. ამრიგად, ნ. ზანდუკელი თვლის, რომ სინამდვილეში არსებობს ესთეტიკური საგნები და ისინი გვანიჭებენ სიამოვნებას და მასთან ერთად უშუალოდ უანგაროს/ ე.ი. როდესაც ადამიანი არ ფიქრობს ამ საგნის ღირებულებაზე და სარგებლობაზე/ /გვ. 15/.

---

1 ციტატები აქ და შემდეგში გვერდებზე მოყვანილია ნ.ზანდუკე-ლის დასახელებული ნაშრომიდან.

ბოლო იმისათვის, რომ ეს სიამოვნება უცილობლად მივიღოთ, საჭიროა მაღალგანვითარებული ესთეტიკური გემოვნება, ხაზების, ფერების, ფორმებისა თუ სხვა შეხამების აღქმის უნარი /გვ.16/.

მ. ზანდუკელის ესთეტიკური პოზიციის უდაო პროგრესულობა იმაშია, რომ იგი არსებითად უარყოფითად ეკიდება შინაარსისაგან მოწყვეტილი ფორმით ტკბობის ფაქტს და მას მშვენიერების აღქმის დაბალ საფეხურად მიიჩნევს. "როდესაც, - აღნიშნავს იგი, - საგნის შინაარსისა და აზრის მოქმედებით დამოუკიდებლად სტკბებით ლამაზი საგნებით, თქვენ განიცდით უმარტივეს პირველ საფეხურს ესთეტიკური გემოვნებისა /გვ. 16/. მ. ზანდუკელის აზრით, სწორედ ასეთი ტიპის ესთეტების აღზრდა იყო ძველი სკოლის ყველაზე პრინციპული შეცდომა და ნაკლი. აქედან გამოსულ ინტელიგენციას ხომ ესთეტიკური ტკბობის უნარი ჰქონდა, მაგრამ სრულიად უსუსური იყო საზოგადოებრივ-ესთეტიკური ქმნადობის სფეროში. ისინი, ავტორის აზრით, ესთეტებად რჩებოდნენ მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე, თითქოს ყველაფერი იცოდნენ, მაგრამ სინამდვილეში საკუთარი თავის მეტი არა ახსოვდათ რა და გულგრილად ეკიდებოდნენ სიკეთესა თუ ბოროტებას. მ. ზანდუკელი თვლის, რომ ასეთი პიროვნებების აღზრდა-ჩამოყალიბება საზოგადოებრივი ცხოვრების უკულმართი წესის შედეგია და ამიტომაც ახალმა ცხოვრებამ ასეთი შეხედულება სილამაზისა ანუ ლოზუნგი "ხელოვნება ხელოვნებისათვის" დიდი ხანია უარყო.

საგულისხმოა, რომ საგანთა გარეგნულ-ფორმალური სილამაზის ასეთი მკაცრი შეფასების შემდეგ მ. ზანდუკელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იგი ფორმალური სილამაზის წინააღმდეგ როდი გამოდის საერთოდ. უფრო მეტიც, მისი აზრით, "ლამაზი ფორმა პირველი და უმთავრესი პირობაა არა თუ იმ მხატვრული ნაწარმო-

ებისა, როგორც უარისოდ, რაც უნდა ლამაზი და სიმპატიური იყოს თავისი შინაარსით, არ მისცემს ადამიანს სიამოვნების განცდას. აი, რისთვისაა, რომ სილამაზის ადგილს აღწერდა, პლასტიკური /მხატვრობა, სკულპტურა, არქიტექტურა/ და ფონიური /მუსიკა/ - არის პირველი პირობა ესთეტიკური გრძნობების განვითარებისა" /გვ. 19/. უფრო ქვემოთ ავტორი განვრცელებით ეხება პიროვნება-ში ესთეტიკური აღქმა-გრძნობის ჩამოყალიბების საკითხებს ბუნების ესთეტიკურ მოვლენებთან მიმართებაში: იგი წერს, რომ ადამიანს შეიძლება არ ჰქონდეს საშუალება ხელოვნების ნიმუშებთან ურთიერთობისა, მაგრამ ეს უბედურება როდია, მთა-ვარია მას სილამაზის განცდის უნარი გააჩნდეს, ხოლო დანაკ-ლისს არის შემდეგ იოლად აინაზღაურებს ბუნების მჭვრეტით, მისი მოვლენების, პეიზაჟების, ცხოველთა, მცენარეთა, და მინერალ-თა დათვალიერებით: "საბრალოა ის ადამიანი, რომლისთვისაც ბუ-ნება მხოლოდ მკვდარი, უსულო, დახურული წიგნია.

ბუნება არის საუკეთესო ნიადაგი ესთეტიკური აღზრდისათვის /გვ. 20/, ამასთან ავტორი აქვე გვაფრთხილებს, რომ ბუნებისადმი დამოკიდებულებაში არ უნდა დავკმაყოფილდეთ მისი ფორმების ესთეტიკური ჭვრეტით. ბუნება ტაძრად არ უნდა ვაქციოთ, სადაც ადამიანი პასიური ლოცვით დაკმაყოფილდება. რ. ჩანდუკელი ამ საკითხში იზიარებს რუსული "რაზნოჩინური" დემოკრატიული კლასის პოზიციას, რომელიც გამოხატულია ი. ტურ-გენევის გმირის ბაზაროვის ფრაზაში "ბუნება ტაძარი როდია, არამედ იგი სახელოსნოა, ადამიანი კი მუშაა მასში". მ. ჩან-დუკელის აზრით, ადამიანი ბუნებაში ისევე უნდა იღვწოდეს, როგორც მუშა სახელოსნოში, მაგრამ არა ისე, რომ ეს მოქმე-დება მოკლებული იყოს ესთეტიკურ განცდას, სილამაზეს, სიხა-

ლეს. მაგრამ რა არის ამისათვის საჭირო, როგორ უნდა განხორციელდეს ამგვარი მოქმედება? – სვამს კითხვას ავტორი.

რ. ზანგურელის აზრით, ფორმალური სილამაზის გვერდით, რომელიც ესთეტიკური აქტის მარტივ დონეზე გვევლება, არსებობს სულიერი სილამაზე. მასში თავმოყრილია გულისა და გონების საშუალებით შეგრძნებული ცხოვრების აზრი, ადამიანთა სიყვარული, მაღალი წარმოდგენები, ფანტაზია, თვით ნებისყოფა, ცრემლები, მისწრაფებები და ა.შ. ავტორი თვლის, რომ ასეთ მაღალ სილამაზეს აქვს მშვენიერება" /გვ. 21/. ეს უკანასკნელი, ავტორის აზრით, გულისხმობს შინაარსისა და ფორმის სილამაზეს, მათ ერთიანობას, "ასეთი მაღალი ზნეობრივი სილამაზის განცდა ცხოვრებაში თუ ხელოვნებაში აძლევს ადამიანს განსაკუთრებულს, შეუდარებელ სიტკბოებას, რომელიც ამაღლებს და ამხნევებს მის სულს, აძლევს მას ფართო შეხედულებას მთელს მსოფლიოზე, კაცობრიობის ცხოვრებაზე, შეჰყავს იგი აქტიობის, მოქმედების სფეროში"..: / გვ. 22/. სილამაზის საშუალებით ასეთი სრულყოფილი პიროვნების ჩამოყალიბება სხვადასხვა საფეხურიანია, მაგრამ მათ შორის, – ავტორთა აზრით, – სამი ძირითადი მომენტი შეიძლება გამოიყოს.

პირველი კააა სილამაზის, მეორე სიმართლისა და ჭეშმარიტების, მესამე კი სიკეთის ალღო. მ. ზანგურელი თვლის, რომ ასეთია სწორედ ფართო გაგებით აღზრდილი ადამიანი და ამის მიღწევა ესთეტიკურ აღზრდას შეუძლია, რადგან იგი ადამიანში სპობს ეგოიზმს, მეშჩანობას, ყოველდღიურ ჩვეულებრივობას, სამაგიეროდ აძლევს მას ინტერესს სიკეთისათვის, სილამაზისათვის, ყოველდღიურ ცხოვრებაში მისი შეტანისათვის. ესთეტიკურ აღზრდას, – ავტორის აზრით, – მივყავართ ბუნებასთან, საზოგადოებასთან, სამშობლოსთან, ხელოვნებასთან ფართო ესთეტიკურ და-

მოკიდებულებაში. ეს უკანასკნელი კი სულიერ სიმშვიდეს ანიჭებს თვით პიროვნებას, ხელს უწყობს მისი ყოველმხრივ ჰარმონიულ განვითარებას, საზოგადოებრივად სასარგებლო პიროვნებად მის ჩამოყალიბებას.

უნდა ითქვას, რომ მ. ზანდუკელის აქ მოტანილი ნააზრევი უთუოდ დგას პედაგოგიკის საუკეთესო პოზიციაზე და მთელი სისრულით ეხმაურება ესთეტიკური აღზრდის თეორიისა და პრაქტიკის თანამედროვე დონეს. ავტორი სამართლიანად და სწორად განსაზღვრავს ესთეტიკური აღზრდის ისტორიულ და სოციალურ მნიშვნელობას, სწორად მიუთითებს მის ისტორიულ წარსულზე და იმ ამოცანებზე, რომელიც ახალი სკოლის პირობებში უნდა გადაწყდეს. ამ უკანასკნელმა მ. ზანდუკელის აზრით, მოსპო, და სრულიად სპობს, კლასობრივი პრივილეგიები. ძველი სკოლა, - ავტორის აზრით, - გზას უხშობდა ქვეშევრდომთა განათლებას, რადგან ეს უკანასკნელი გაბატონებული კლასის პრივილეგიად რჩებოდა.

ძველი სკოლა მრავალსაფეხურიანი, წოდებრივი, კლასობრივი კი იყო. ავტორის აზრით, "იქმნებოდა თითქოს კასტიური დაწესებულება, სადაც მოსწავლენი იზრდებოდნენ განსაკუთრებულ კასტურ ატმოსფეროში, ხშირად, ძალიან ხშირად ცხოვრებასთან, სრულებით დაშორებული" /გვ. 28/. ავტორი გახაზავს იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც ახალ რევოლუციურ პოლიტიკას ჰქონდა აღზრდა-განათლების ჩამოყალიბებისათვის, მიუთითებს, რომ დღეს შრომის სკოლის დაწყებითი საფეხური სავალდებულო და ყველასათვის ერთია. ამასთან ძველი, რუტინული, ცხოვრებას მოწყვეტილი საგნები აღარ ისწავლება, დიდი გასაქანი აქვს შემოქმედებით აზრს, ინიციატივას, თვითშემოქმედებას, რაც ხელს უწყობს გონებრივ და მხატვრულ განვითარებას; ახალი სკოლის საფუძველს, მ. ზანდუკელის აზრით, წარმოადგენს შრომის - მოქმედების - წარმოების პრინციპი /გვ. 20/.

ამდენად, სწორედ შრომის სკოლა უთმობს ძირითად ყურადღებას მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდას, რომელიც ხორციელდება აქტიობისა და თვითშემოქმედების მეთოდის საშუალებით /გვ. 32/.

ჩ. ზანდუკელი იზიარებს იმდროინდელი მოწინავე პედაგოგიური აზროვნების ძირითად თეზისს იმის შესახებ, რომ გონების შემოქმედებითი ხასიათის მუშაობა მხოლოდ მდიდარი ემოციონალური განცდების ფონზე ხდება და აქედან დასკვნის შრომის სკოლაში ხელოვნების სწავლების აუცილებლობის შესახებ. ავტორის აზრით, შრომის სკოლაში ხელოვნების შესწავლა თვითმიზანი არაა და ამიტომაც მისი დარგები ძირითადი საგნების დამატებად როდია გაგებული, როგორც ეს ძველ სკოლაში იყო. ეს საგნები და საერთოდ ესთეტიკური აღზრდის ყველა საშუალება შრომის სკოლაში "ორგანულადაა შედუღებული შრომის პრინციპებთან, ორგანულად არის შესისხლხორცებული მთელი შრომის სკოლის ცხოვრებასთან, მის მდგომარეობასთან" /გვ. 32/.

ავტორი თვლის, რომ შრომის სკოლა ფრთხილად ადევნებს თვალს ბავშვის ფსიქიკურ განვითარებას, მისი შემეცნების ობიექტურ ზრდას და ამიტომ "ხელოვნების შესწავლა ესთეტიკური აღზრდისათვის შრომის სკოლაში შემდეგ სამ დებულებაზეა აგებული:

1/ იგი ხელს უნდა უწყობდეს ბავშვის ემოციური ცხოვრების განვითარებას;

2/ იგი ხელს უნდა უწყობდეს ბავშვის ყველა მოქმედებაში შემოქმედების ენერგიის განვითარებას;

3/ თვით ამ საგნების /ხატვის, ძერწვის, გამომსახველობითი ხელოვნების/ მეთოდი დამოკიდებულია ბავშვის შემოქმედების ანალიზზე" /გვ. 33/.

ამის შემდეგ ავტორი კონკრეტულად აანალიზებს, სასკოლო ასაკის ყოველ ცალკეულ საფეხურს და მიუთითებს ესთეტიკური აღზ-

რდის შინაარსის ამ საფეხურთან შესაბამისობის აუცილებლობაზე. საგულისხმოა ავტორის მოსაზრებები ხელოვნების განვითარების ცალკეული ეპოქების, მხატვრის ინდივიდუალური ხელწერის შესწავლის, განზოგადებელი დასკვნების გაკეთებისა თუ მოწაფის საკუთარი შემოქმედებითი აქტივობის განვითარების შესახებ. ამასთან უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ავტორის რიგი მოსაზრებანი ხარკს უხდის თავისუფალი აღზრდის თეორიას, თუმცა არა ყოველთვის და არა ყოველი საკითხის გაშუქებისას.

მ. ზანდუკელი 20-იან წლებში ესთეტიკური აღზრდის შინაარსის ფართო გაგებაზე იდგა. "შრომის სკოლაში, - წერდა იგი, - ესთეტიკური აღზრდა არ წარმოადგენს განსაკუთრებულ, ცალკე სპეციალურ საგანს, ის გადახლართულია სხვადასხვა საგნების სწავლების პროცესში, ის შრომის სკოლაში ხდება... ბუნებრივად, როგორც შედეგი მთელი სკოლის ცხოვრებისა" /გვ. 40/.

საუბრობდა რა ესთეტიკური აღზრდის განხორციელების მეთოდსაშუალებებზე მ. ზანდუკელი ძირითად ყურადღებას მიაქცევდა ამ საქმეში ცოცხალი ბუნების გამოყენების აუცილებლობას.

მისი აზრით, ბუნებასთან უშუალო კონტაქტს, მის სილამაზეზე დაკვირვებას, ექსკურსიას გაცილებით მეტის მიცემა შეუძლია ბავშვისათვის, ვიდრე წიგნში ამოკითხულს. ამასთან, მისი აზრით, ბუნების მშვენიერების აღქმაში დიდი როლის შესრულება შეუძლია მასწავლებლის მიერ სწორად დასმულ აქცენტებს, მინიშნებებს, სიტყვიერ დახასიათებებს. მ. ზანდუკელთან ბუნება გულგრილს არ დასტოვებს არც ერთ ნორმალურ ადამიანს. სანიმუშოდ ის მოჰყავს და აანალიზებს ბუნებისადმი გამოჩენილ პოეტთა თუ მოაზროვნეთა — ნ. ბარათაშვილის, მ. ლერმონტოვის, ბაირონის, ჟან-ჟაკ რუსოს დამოკიდებულების ხასიათს. ამ უკანასკნელთა, - წერს იგი, - ისე განიცდა ბუნების ესთეტიკური ზეგავლენას, რომ მთელი პედაგოგი-

ური სისტემაც კი შექმნა, რომლის მიხედვითაც მხოლოდ ბუნების წიაღში შეიძლება აღიზარდოს ნამდვილი, ბუნებრივი ადამიანი. შ. ჩანდუკელის აზრით, ძველმა სკოლამ ვერ გაუგო რუსოს და ვერც მისი პედაგოგიური სისტემის გამოყენება შესძლო. ახალმა სკოლამ კი სულ სხვა თვალით უნდა შეხედოს ბუნებას. ადამიანში ბუნებისაგან განუყოფლობის გრძნობის ფორმირებას უნდა შეუწყოს· ჩან ხელი.

შ. ჩანდუკელის აზრით, "ესთეტიკური აღზრდის ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე სიმღერა-მუსიკა" /გვ. 46/. მუსიკისადმი საერთო დადებითი დამოკიდებულების გამ[illegible]-მავლენისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბავშვ[illegible] კარგი სიმღერის და მუსიკალური ნაწარმოების ნიმუშით მიღებულ შთაბეჭდილებებს. შრომითმა სკოლამ დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს თამაშობების გამოყენებას, რომელშიც ჩართული იქნება მუსიკა-სიმღერა, "შრომის სკოლაში, - წერს შ. ჩანდუკელი, - მუსიკის რიტმს შეადგენს აამოძრავებს და გააღვიძოს... უშუალო, წმინდა მუსიკალური შეგრძნება ცხოვრებისა. გუნდების მოწყობა, მუსიკალური ნაწარმოების მოსმენა, მუსიკალური შემოქმედება, საბავშვო პიესები, კონცერტები უნდა გადაიხლართოს, ჩაიქსოვოს შრომის სკოლის ცხოვრებაში. შრომის სკოლა უნდა ეცადოს, შეაჩვიოს მოწაფეები შეგნებულად მოისმინონ, შეიგნონ და შექმნან მუსიკა და ამასთან ერთად შეაჩვიოს მუსიკალური ნაწარმოების კულტურულად შესრულებას" /გვ. 47/.

შ. ჩანდუკელს მუსიკის სწავლების შინაარსი ფართოდ აქვს წარმოდგენილი. ამასთანავე მისი სწავლების პროცესის საფუძვლად აღიარებს პედაგოგიკის ზოგად დებულებას "გადა[illegible] ნაცნობიდან უცნობზე". ამიტომ მისი აზრით, სიმღერა-მუსიკის შესწავლა

უნდა დავიწყოთ ქართული ხალხური სიმღერებით, რომელნიც ბავშვს სულ პატარაობიდანვე ესმის. ამასთან ავტორის აზრით, შევეცდოთ ჩავიდენით, თუ ქართლსა და კახეთში დაბადებულ ბავშვს გურულ ან იმერული კილოს სიმღერით შევიყვანოთ მუსიკის სამყაროში; მას უნდა ის მოვასმენინოთ და ვამღეროთ, რითაც მის ირგვლივ არსებული გარემოა გაჟღენთილი. ამ გზით ბავშვს თანდათანობით შევიყვანთ მუსიკის ინტერნაციონალურ სამყაროში.

მ. ზანდუკელი მუსიკის მოსმენის ძირითად გზად სიმღერასა და სიმღერა-თამაშობებს მიიჩნევს. ამასთან იქვე ასძენს, რომ მარტო სიმღერით არ შეიძლება მუსიკით გამოწვეული მრავალი განცდების მიღება. მისი აზრით, სკოლაში მეტანილ უნდა იქნას ყოველი ინსტრუმენტი. ამასთან ერთად უნდა მივდიოთ პრინციპს "მარტივიდან რთულისაკენ" და მუსიკის მოსმენა სწორედ მარტივით, ხალხური საკრავებით:-სტვირი, სალამური, ჩონგური-დავიწყოთ და თანდათანობით მივიდეთ ვიოლინჩელოს კეთილხმოვანების აღქმამდე. მხოლოდ ამ გზით შეიძლება, რომ ბავშვები "თანდათან გაღვიძებული ინტერესით და სიყვარულით გატაცებულნი შევიდნენ ჩაიკოვსკის, მოცარტის, ბახის, ლისტის, ბეთჰოვენის, სკრიაბინის მუსიკალური სამეფოს ერიში და შეძლონ რამე გაგება" /გვ. 55/.

მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის მიზნებით და ძლიერ საშუალებად მ. ზანდუკელი მიიჩნევს ცეკვას, საერთოდ სახვით ხელოვნებას. ავტორი იზიარებს ფსიქოლოგთა მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ამ წლამდე ასაკის ბავშვი მოქმედი არსებაა და მიიჩნევს, რომ სწორედ ამ ასაკში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხატვა-ძერწვის სწავლებას. მისი აზრით, ბავშვის სახვით მოქმედების საფუძვლად უნდა ედოს პრინციპი "ცოტა სიტყვა, ბევრი

საქმე". აქედან გამომდინარე, რ. შანდუკელი თვლის, რომ 7-8 წლის ბავშვის ნორმალური განვითარებისათვის მომგებიანი საშუალებაა ფანქრით, საღებავებით, პლასტელინით მუშაობა. იგი უნდა ჭრიდეს ქაღალდს, ხეს, ამზადებდეს სათამაშოებს. ნასწავლებელმა კი ამ დროს ხელი უნდა შეუწყოს ბავშვს მასალა-იარაღების ხმარებაში, მან ბავშვი არ უნდა შემოფარგლოს ჯუეში რითითებებით. სწავლების მეორე წლიდან ნახატის საგანთან ან ამხანაგის მიერ შესრულებულ ნამუშევრებთან შედარებით ბავშვი მიაჩვიოს საგნის შეგრძნებულ დანახვას. ამასთან პედაგოგი მოვალეა ბავშვს სისტემატურად აჩვენებდეს სამუშაო მასალის /თიხა, ლითონი, ხე, ტყავი და სხვა/ თვისებებს.

დაკვირვებისა და თვალის შესაძლებლობათა განვითარებაზე პედაგოგი განსაკუთრებით უნდა მუშაობდეს სწავლების მესამე და მეოთხე წელს, თუმცა ავტორის აზრით, იგი უნდა ერიდოს ნამუშევრის შესწორებას.

ამ დროისათვის მოსწავლეები უნდა მუშაობდნენ, როგორც ბუნების სურათების, ასევე ილუსტრაციების ხატვაზე.

სწავლების მეხუთე წელს პედაგოგის ყურადღება მახვილდება საგანთა ფერის, ფორმისა და ნახატის კომპოზიციურ წყობაზე, ამიტომ სასურველია კლასში სპეციალისტი პედაგოგი შედიოდეს სწორედ სწავლების მე-5 წლიდან. მისი საერთო მიმართულება კი შეიძლება ასეთი იყოს "მხატვრობა, სკულპტურა, ბუნებიდან გადღება" /გვ. 59/. იგი თვლის, რომ სურათის ან სკულპტურული ნაწარმოების გაცნობა უნდა იწყებოდეს ორიგინალების ან მისი ასლის დათვალიერება-გაცნობით. ამ გზით ბავშვები შედიან ხელოვნების ისტორიის სფეროში და ამყარებენ კავშირს საზოგადოების ისტორიასთან.

მ. ზანდუკელი სწორად შენიშნავს, რომ სურათიდან გადახატვა ან სხვის მიერ დამზადებული მოდელით სარგებლობა არ შეიძლება. ყოველივე ეს ბავშვმა თვითონვე უნდა შექმნას. იგი ყოველთვის შემოქმედის მდგომარეობაში უნდა იმყოფებოდეს. უფრო მეტიც, ავტორის აზრით, სამუშაო მასალებიც კი თვით მოსწავლეებმა უნდა შეამზადონ ხელმძღვანელის მითითებითა და მეთვალყურეობით. ბავშვი, რომელიც თვითონ დაამზადებს სხვადასხვა ფერს, ცხადია, მასში მეტ ნიუანსს, სილამაზეს დაინახავს, ვიდრე ის, რომელიც სხვის მიერ მომზადებული ფერებით სარგებლობს. აღნიშნული დებულების დასამტკიცებლად მ. ზანდუკელს მოჰყავს ფსიქოლოგების შეიმანის, რეისის და სხვათა დაკვირვების შედეგები.

ამის შემდეგ მ. ზანდუკელი ჩერდება სახატავი რვეულების გამოყენების პრაქტიკაზე და აკეთებს პროგრესულ დასკვნებს, რომელიც სამწუხაროდ არა თუ მაშინ, არამედ მის შემდეგაც ვერ გაითვალისწინა სკოლამ.

მისი მართებული აზრით, რვეული ერთგვარ წესრიგს აჩვევს მოსწავლეს, მაგრამ იმის გამო, რომ ბავშვს მუდამ თვალწინ აქვს საკმაოდ პრიმიტიული ნახატები, მისი გემოვნებაც თანდათან ქვეითდება. გარდა ამისა, რვეულის ფურცლები სტანდარტულია და სწორედ ამის მიხედვით "უნდა გაადიდოს ან დააპატაროს ბავშვმა თავისი სულიერი განცდა, სურვილი აზრის გამოსახვისა - რაც პედაგოგიური და ესთეტიკური თვალსაზრისით ყოვლად მიუღებელია"

ყოველთვის ერთი ზომის ტილოზე თვით პროფესიონალი მხატვარიც არ იმუშავებსო-, შენიშნავს ავტორი.

შემდეგ: რვეულში ერთნაირი ქაღალდია, ბავშვს კი სწყინდება სულ ერთსა და იმავე საგანზე ხატვა: მას მასალის ხშირი ცვლა

ესაფიროება, ყოველივე ამის გამო შ. ზანდუკელი სრულიად სამართლიანად წინააღმდეგია სახაზავი რვეულისა.

ამის შემდეგ ავტორი გადადის ფერადი სალებავების დამზადების ტექნოლოგიაზე და პედაგოგებს სთავაზობს მეთოდურ რეკომენდაციებს. მომდევნო პარაგრაფში ავტორი გახაზავს ფიზიკური ვარჯიშის როლს ესთეტიკური აღზრდის საქმეში, ხოლო ნაშრომის დასასრულს ვრცლად ჩერდება სასკოლო თეატრის მუშაობაზე. ავტორი ფართოდ მიმოიხილავს სათამაშო დრამატიზაციის ფსიქოლოგიურ პრობლემებს.

შ. ზანდუკელი ასკვნის, რომ "თეატრი, სცენა, დრამატული მოქმედება არის არსებითი მოთხოვნილება ბავშვის ბუნებისა, ამისათვის დრამატულმა ხელოვნებამ სრულიად სამართლიანად უნდა დაიმკვიდროს საპატიო ადგილი შრომის სკოლაში, როგორც ერთი საუკეთესო იარაღთაგანი ესთეტიკური აღზრდისათვის" /გვ. 76/.

ავტორის აზრით, ახალ სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს დრამატიზაციას, "რომელიც გულისხმობს ყოველივე სახეს დრამატული მოქმედებისა - დაწყებული დრამატული თამაშობით და გათავებული წმინდა მხატვრულ-სცენური მოქმედებით, ერთი მხრივ, და დაწყებული იმპროვიზაციიდან და გათავებული უკვე დაწერილი დრამატული ნაწარმოებით, მეორე მხრივ" /გვ. 78/.

შ. ზანდუკელის სამართლიანი შენიშვნით დრამატიზაცია არის საუკეთესო სკოლა ესთეტიკური აღზრდისა, რადგანაც ის ორგანულად აერთიანებს მხატვრობას, მუსიკას, პლასტიკას, სიტყვას, მოქმედებას და ა.შ. სწორედ ამით დრამატულ ხელოვნებას მოძრაობაში მოჰყავს ბავშვის ფსიქიკის სხვადასხვა მხარე: გონება, გრძნობა, წარმოდგენა, ნებისყოფა და სხვ. ამიტომ დრამატიზაცია "უნდა ჩაითვალოს ნაწარმოების ყოველმხრივი შესწავლისა და სკოლის მთელი ცხოვრების დაგვირგვინებად" /გვ. 79/.

ამის შემდეგ რ. ჩანდუკელი იძლევა ლიტერატურათმცოდნეობის საჭირო მასალისა და მეთოდის დახასიათებას. იგი მკაცრად მიიჩნევს, რომ ლიტერატურული ნაწარმოების შესწავლისა და თავისებური სპეციფიკის მომზადების დროს არ დაირღვეს ასაკობრივი პრინციპი, სხვა საგნების მსგავსად აქაც მარტივიდან რთულისაკენ სვლის წესით ვიხელმძღვანელოთ და დასაწყისისათვის ფართოდ გავეცნოთ ქართულ-ხალხურ ლიტერატურულ ნიმუშებს: სიმღერაფერხულები, ბერიკაობა, ყეენობა და სხვა. ამის შემდეგ კი გადავიდეთ იმპროვიზაციაზე. ავტორი მიიჩნევს, რომ ლიტერატიზაცია თავისი ფართო გაგებით მოითხოვს ლიტერატურულ-მუსიკალური დილა-საღამოების გამართვას სკოლაში. მხოლოდ ამ ტიპის ფართო სამზადისის შემდეგ შეიძლება კლასიკური ლიტერატურის გაცნობიერებაზე ფიქრი. ავტორი ამის შემდეგ იძლევა პიესაზე მუშაობის თანმიმდევრობის ზოგად დახასიათებას, ჩვევის ინდივიდუალობისა და კოლექტივიზმის გრძნობის აღზრდის დასაბუთებას. მისი აზრით, სწორედ ასეთი მეთოდის გატარებაში შეიძლება სკოლამ პოვოს ესთეტიკური აღზრდის განხორციელების ნამდვილი გზა.

რ. ჩანდუკელის მიერ ამ წიგნში გამოთქმული რიგი დებულებებისა შემდგომში საფუძვლად დაედო მის ნაშრომს "ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა", რითაც რ. ჩანდუკელი აღიარებულ იქნა ქართული ლიტერატურის სწავლების მეცნიერული მეთოდიკის ფუძემდებლად საქართველოში.

აღსანიშნავია, რომ რ. ჩანდუკელის ჩვენს მიერ გაანალიზებული ნაშრომი მოწონებული იყო საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის მიერ, ხოლო დაიბეჭდა იგი მის მიერვე გამოცემულ კრებულში.

ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ დოკუმენტი ოფიციალური ხასიათისა იყო და განათლების ხელმძღვანელი ორგანოს პოზიციას

გამოხატავდა. მიუხედავად ამისა, თავის პრაქტიკულ საქმიანობაში განსახკომმა 10-იან წლებში მაინც მხარი ვერ აუბა მ. ზანდუკელის მოწინავე პოზიციას, თუმცა გარკვეული სამზადისი კი ჩაატარა, რითაც საფუძველი ჩაუყარა წიგნში წამოყენებული იდეების მეტ-ნაკლები სისრულით რეალიზაციას უკვე ჩვენი საუკუნის 30-იანი წლებიდან.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველი ათი წლის მანძილზე შეიქმნა და ჩამოყალიბდა თანმიმდევრულად ერთიანი სასკოლო სისტემა.

უზრუნველყოფილ იქნა სრული სოციალური თანასწორობა მოსახლეობის ყველა ფენის ბავშვების, მოზარდებისა და ახალგაზრდებისათვის. ამის გარდა, გათანასწორდა ვაჟთა და ქალთა უფლებები ყველა ტიპისა და საფეხურის სკოლაში. საქართველოს განსახკომის თანმიმდევრული მუშაობის შედეგად პირველი ათი წლის განმავლობაში მომზადდა პირობები, რათა რესპუბლიკის სკოლები დაწყებით საფეხურზე საყოველთაო განათლების განხორციელებაზე გადასულიყო.

ქართული საბჭოთა სკოლის უდიდესი მონაპოვარი ათი წლის განმავლობაში იყო სწავლა-განათლების ეროვნულ ენაზე გადაყვანა.

ამის შედეგი იყო, რომ სასკოლო საქმის წარმოება და სწავლება სკოლის ყველა საფეხურზე დედაენაზე მოეწყო.

გარდა ზემოაღნიშნულისა სკოლის მიღწევა იყო ისიც, რომ მან საბოლოოდ უკუაგდო ძველი სკოლის ფსევდომეცნიერული სახე და სული. სასწავლო პროგრამები გაიწმინდა ანტიმეცნიერული, ცხოვრებისაგან მოწყვეტილი, ფორმალისტური მოთხოვნებისაგან. გაუქმდა საღვთო სჯულის სწავლება. მისი ადგილი მეცნიერულმა

ცოდნამ და მისი მოთხოვნებისათვის ზრუნვამ დაიპყრა. ამის გარდა სკოლაში მისთვის კუთვნილი ადგილი დაიჭირა საბუნებისმეტყველო დისციპლინებმა, გზა გაუხსნა ბუნებისა და საზოგადოებრივი მოვლენების ფართო შესწავლას. სკოლის აღმზრდელობითი მუშაობის ცენტრში მოექცა მეცნიერული და ბუნების შესახებ მატერიალისტური ცოდნით აღჭურვილი მოზარდის აღზრდის ამოცანა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა იდეოლოგიური პლანის საკითხებს, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, საზოგადოებრივი აქტივობისა და შრომისადმი დადებითი დამოკიდებულების გამომუშავებას.

20-იანი წლების ქართული საბჭოთა სკოლის მნიშვნელოვან ამოცანებს შორის საპატიო ადგილი უჭირავს მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის ამოცანებს. სკოლის შესახებ შექმნილ ყველა ძირეულ დოკუმენტში ხაზგასმითაა მითითებული მოზარდი თაობის ესთეტიკური აღზრდის აუცილებლობის შესახებ. ამის შესაბამისად შექმნილია ძირითადი სასკოლო დოკუმენტაცია, პროგრამები, მეთოდური მითითებები და ცალკეული გამოკვლევებიც კი. მართალია, საქართველოს განსახკომის პოზიცია ამ საკითხში ყოველთვის თანმიმდევრული არაა და ხშირად არც ნაკლოვანებისაგანაა დაზღვეული, მაგრამ მიუხედავად ამისა, საკითხისადმი ყურადღების გამახვილებასა და მისი მოგვარების გზების ძიებას არ შეიძლებოდა საბოლოოდ სასურველი შედეგი არ მოჰყოლოდა.

ესთეტიკური ციკლის საგნების სწავლების მეთოდიკა, პროგრამების შინაარსი და ძირეული სტრუქტურა საქართველოს განსახკომის მესვეურებს ხშირ შემთხვევაში ნასესხები ჰქონდათ საკავშირო რუსული ანალოგებისაგან, მაგრამ საინტერესო ისაა, რომ ამგვარ გადმოღებას მარტო კოპირების ხასიათი არ ჰქონდა.

რესპუბლიკის სკოლებისათვის შედგენილ პროგრამებში თუ მეთოდურ რეკომენდაციებში გათვალისწინებული იყო ადგილობრივი პირობები, ქართველი ბავშვის ხასიათი და ეროვნული ხელოვნების ბუნება. მოწინავე ქართველი პედაგოგები და მეთოდისტები ხელოვნების ცალკეული დარგის სწავლებაში ბავშვისათვის ნაცნობი ხალხური ხელოვნებიდან დაწყებას ურჩევდნენ და მიიჩნევდნენ, რომ ამ გზით უფრო სწრაფად, შინაარსობრივად და სწორად ხორციელდება მარტივიდან რთულზე, ნაცნობიდან უცნობზე გადასვლა.

გარდა აღნიშნულისა, ისიც უნდა ითქვას, რომ მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის 20-იანი წლების პრაქტიკა საქართველოში გამოირჩევა თავისი შემოქმედებითი ხასიათით. მეთოდისტები პედაგოგებს ურჩევენ, ხელი შეუწყონ მოსწავლის თავისუფალ, შემოქმედებით განვითარებას. ამისათვის კი გამოიყენონ ხატვის, მუსიკის, ძერწვის, ხელგარჯილობისა და სხვა სასწავლო საგნის შესაძლებლობანი. მართალია, ამ საკითხების გაგებაში მეთოდისტთა ნაშრომებში ზოგჯერ თავს იჩენს თავისუფალი აღზრდის წვრილბურჟუაზიული თეორიის რეციდივები, მაგრამ თუ ისტორიული სიტუაციის სირთულეს გავითვალისწინებთ, ამგვარ ნაკლს მაშინდელი პედაგოგიური აზროვნება, ცხადია, ვერ ასცდებოდა. ძირითადი მაინც ისაა, რომ პედაგოგიურმა აზროვნებამ საბოლოოდ მაინც ადრე ჩამოიცილა მისთვის არასასურველი თეორიული მემკვიდრეობა და უკვე 20-იანი წლების ბოლოსათვის ესთეტიკური აღზრდის საგნებს მეცნიერულად დასაბუთებული სწორი თეორიული და მეთოდიკური პოზიცია მოუძებნა.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ:

1. საბჭოთა საქართველოს არსებობის პირველი ათწლეული მეტად ნაყოფიერი ეტაპი აღმოჩნდა ქართული საბჭოთა სკოლის განვითარების ისტორიაში. ეს უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოიხატება, რომ შეიქმნა თანმიმდევრული, ერთიანი სასკოლო სისტემა, უზრუნველყოფილ იქნა მოსახლეობის ყველა ფენის ბავშვთა სრული თანასწორობა განათლების დარგში; მომზადდა ნიადაგი დაწყებითი სკოლის საყოველთაო განათლების პრინციპზე გადაყვანისა და ახალგაზრდობის უმაღლეს სასწავლებლებში შესვლისათვის სწავლის გასაგრძელებლად ქალთა და ვაჟთა თანაბარი უფლებების პირობებში.

2. სწავლა-განათლების სისტემა გახდა ეროვნული. სწავლების პროცესი ყველა ტიპის საშუალო სკოლაში დაეფუძნა დედაენას. ამაში კი გამოიხატა სახალხო განათლების დემოკრატიულ პრინციპებზე გადაყვანა-გარდაქმნის რევოლუციური ხასიათი.

3. სახალხო განათლების სისტემამ საბოლოოდ დაძლია ძველი, რევოლუციამდელი სკოლის ფსევდომეცნიერული სულისკვეთება. ეს უკანასკნელი კი ვ.ი.ლენინის სამართლიანი შეფასებით იმაში გამოიხატა, რომ "ძველი სკოლა აიძულებდა ადამიანებს შეეთვისებინათ მრავალი გამოუსადეგარი, ზედმეტი, მკვდარი ცოდნა, რომელიც ახალ თაობას თავს უტენიდა და ერთ ყალიბში გამოყვანილ მოხელეებად აქცევდა"[1].

ახალი სკოლის პრინციპულად განმასხვავებელი ნიშანი სწორედ ის იყო, რომ საფუძვლიანად შეიცვალა სწავლა-აღზრდის მი-

---

1 ვ.ი.ლენინი, თხზ. ტ. 31, გვ. 342.

ნარსი, რასში ძირითადი ადგილი დაიჭირა მეცნიერებათა სა-
ფუძვლების შესწავლის პრინციპს: გაძლიერდა სწავლების აღ-
ზრდელობითი მიმართულება. წინა პლანზე წამოიწია იდეოლოგიურ-
მორალური, ესთეტიკური და პატრიოტულ-ინტერნაციონალური აღზ-
რდის საკითხები. უკუგდებულ იქნა ძველი სკოლის რელიგიური
სულისკვეთება.

სასწავლო პროგრამებში, მეთოდურ რეკომენდაციებსა და სხვა
ოფიციალურ დოკუმენტებში სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა
მოსწავლეთა შემოქმედებითი და საზოგადოებრივი აქტივობის,
სინამდვილის ესთეტიკური აღქმისა და მისი გარდაქმნის უნარის
გამომუშავებას.

საქართველოს განსახკომი დიდ ყურადღებას აქცევს საბავ-
შვო წიგნების გამოცემას. იზრდება ტირაჟი, პოლიგრაფიული დო-
ნე. წიგნს სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანთა შე-
გნების, მათი კულტურულ-ესთეტიკური მოთხოვნილებების ჩამოყა-
ლიბებაში. ამას ხელს უწყობს საერთო კულტურული სულისკვეთე-
ბაც: კერძოდ, სულ უფრო იზრდება კლუბების, ქოხ-სამკითხველო-
თა, წითელი კუთხეების, ბიბლიოთეკების რიცხვი. დიდი მუშაობა
წარმოებს იდეოლოგიურ-აღმზრდელობით საქმიანობაში ხელოვნების
ფართოდ ჩართვის მიზნით. იქმნება და ყალიბდება გარკვეული
თეატრალური ტრადიციები, ფართოვდება კლასიკური მუსიკის პრო-
პაგანდა, იზრდება მუსიკალური სასწავლებლების რიცხვი. იწყება
ხალხური სიმღერის აღორძინება, იხსნება სახვითი ხელოვნების
ეროვნული გალერეა. უკვე 1921 წლისათვის შეიქმნა პირველი
ორი საბჭოთა ქართული კინოფილმი, სულ 1921 -1928 წლებში ქარ-
თულმა კინომრეწველობამ მისი რიცხვი 23-მდე გაზარდა. ბუნებ-
რივია, ხალხის ესთეტიკური აღზრდისათვის გაწეული ასეთი ფარ-

თო პროფილის მუშაობა ასახვას პოულობს სასკოლო ესთეტიკური აღზრდის საქმის მოწესრიგების თვალსაზრისით.

4. 20-იან წლებში გარკვეულ წარმატებას აღწევს ქართული პედაგოგიური აზრი.

იქმნება ცალკეული ნაშრომები, რომლებშიც დროის კვალობაზე სწორადაა გააზრებული სწავლებისა და აღზრდის, მათ შორის ესთეტიკური აღზრდის როლი და მნიშვნელობა, მითითებულია მისი სრულყოფის გზა-საშუალებებზე.

5. მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, განათლების სისტემის და კერძოდ, ესთეტიკური აღზრდის პრობლემების სრულყოფას ჯერ კიდევ ბევრი სიძნელე ელობება წინ. ამის უმთავრესი მიზეზი კი ისაა, რომ განათლების საქმე ერთგვარად ჩამორჩება საერთო რევოლუციური გარდაქმნის, სამეურნეო მშენებლობის ფრონტზე მიღწეულ წარმატებებს. ეს მოვლენა საყოველთაო ხასიათისა იყო და ამდენად იგი ყურადღებიდან არ გამორჩენია პარტიას. XVI ყრილობის / 1930 წლის ივლისი/ რეზოლუციაში საგანგებოდ იყო აღნიშნული, რომ "XV ყრილობამ სავსებით სწორად წამოაყენა რეკონსტრუქციის პერიოდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, კულტურული რევოლუციის პრობლემა, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში კულტურული მშენებლობის განვითარების ტემპები ჯერ კიდევ სრულიად არასაკმარისია. საყოველთაო-სავალდებულო პირველდაწყებითი სწავლების გატარება და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია უნდა გახდეს პარტიის საბრძოლო ამოცანა უახლოეს პერიოდში"[1].

---

1 სკკპ ყრილობების, კონფერენციების და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. III, მე-7 გამოცემა, გვ. 22, 1956 წ.

სახალხო განათლების სრულყოფის ამოცანა, რომელსაც პარ-ტია თავის უახლოეს მიზნად სახავდა მომდევნო პერიოდისათვის გახდა სწორედ ის ფაქტორი, რაზედაც დაშენდა 30-იანი წლე-ბის ქართული საბჭოთა სკოლის, კერძოდ, მოზარდი თაობის ესთე-ტიკურ-აღმზრდელობითი სისტემა.

## შინაარსი


1. შესავალი 3

2. მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის ზოგიერთი საკითხი რევოლუციამდე საქართველოს სკოლებში .10

3. ესთეტიკური აღზრდა 20-იანი წლების ქართულ საბჭოთა სკოლაში და მისი ჩამოყალიბების ძირითადი ტენდენციები /1921-1930 წლები /. სახალხო განათლების საბჭოთა სისტემის შექმნა და განვითარება საქართველოში /1921-1930 წლები/ 25

4. მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის ძირითადი ტენდენციები 20-იანი წლების საბჭოთა პედაგოგიკასა და სკოლაში 41

გამომცემლობის რედაქტორი თ. ჩახვაური

კორექტორი ე. ხურცია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 3.08.88

უე 07939. საბეჭდი ქაღალდი №60X84. პირობითი

ნაბეჭდი თაბახი 6,5. სააღრ.-საგამომც.

თაბახი 4,12.

ტირაჟი 600. შეკვეთის №1289

ფასი 15 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,

თბილისი, 380028, ი.ჭავჭავაძის პროსპექტი,14.

Издательство Тбилисского университета,

380028, Тбилиси, пр. И.Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,

თბილისი, 380028, ი.ჭავჭავაძის პროსპექტი,1.

Издательство Тбилисского университета,

380028, Тбилиси, пр. И.Чавчавадзе, 1.